

652  
1977/3

ՀՀ  
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ  
ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ



1 , 7 7 5



წინ, წინ, სამშობლო მხარევ!  
ჩვენ წინ მიგვიძლვის წრთველი  
ის ოქტომბერი, რამაც  
შესძრა მხოფლიო მთელი!

გალაკტიონი






ოქტომბრის ბელადი

# კლასიკი ილია ქ ლენინი

მარტინ ა. გირასიმოვის შრატილან

საყდესის ფოტო

კ. ბარქების ხელი ხა. სახ. სახ. სახ. სახ.



სკპპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური  
მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმის თავმჯდომარე

**ლეონიძ ილიას ქა გაეგევი**

# მინარესი

3. პაპული — ღიღი ინტომბრის  
იდეების ტრიუმფი . . . . . 3

## პოეზია. პროზა

სიმღერები ქმოგისა თარგმანი

გ. სალუკვაძის

6. ტიხონოვი — ცველა განედის

უმაღლეს ტერტილს ლექსი 11

8. ნაგიზება — ბერმზინა ლექსი 13

9. ჩარენი — გამოთხვების

პოეზია ლექსი 14

9. უშლივი — ძაბ ხარ ჩიმი

ლექსი 16

8. აგზამინი — თაობათა საუბა-

რი ლექსი 17

10. სარივალი — ბედიერების

უფლება ლექსი 18

8. უკამინი — ღიღა მუვიჭოგის,

საქართველოს! ლექსი 19

8. ვარგარი — ჩიმი დედულეთი

ქრონიკები 20

9. ხალვაში — უზაგული

მოთხოვბა 45

8. ეპთამინი — ორი ლექსი 52

9. თელორამი — მი სოფლელი

გარ ლექსი 54

6. აგაზიმი — სელის სახელისა

მოხვევა ნარკვევი 55

ხალხის გულისტემა ლექსები 63

პუგლიკაცია, მოგონებები

11. ნოვიცი, 8. გოლუზი, 9. აია-

ული — უხეველრა ათი ტლის

შემდეგ ფრაგმენტი კინოსცენარი-

და 3. კიკიძეზე 67

## წერილები

7. ეური — ინტომბრი და მზე-

რლობა 74

6. თურნება — საგონია კავშირის

იდუ ეგიპტის 87



ლიტერატურულ-მხატვრული და  
საზოგადოებრივ-კოლექტივური  
ურნალი

საქართველოს საგონია  
მზერლების კავშირისა და  
აჭარის განყოფილების  
ორგანო

## რედაქტორი ა. შონია

ხარედაქტორ კოლეგია: ხ. ახვლედიანი, მ. ვარშანიძე (პ. მგ. მღივანი),  
პ. ლორია, ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21.  
ტელეფონი — 3-33-71.

წელმოწერილია დასაბეჭდად 28. 9. 77, საბეჭდი თაბაზი 6, საგამოცემლო 5,  
შეკვეთის № 4558, ემ 00402, ქალალდის ზომა  $60 \times 901/16$ , ტირაჟი 2.040.

\* \* \*

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა  
და წიგნის გაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აჭარის პოლიგრაფიულ  
საწარმოო გაერთიანება, ბათუმი, ლუქსემბურგის 20.

# ԷՐԵՐ ՊԵՏՈԹԱԿՈՒՄ ՈՒՂԱԿՈՒՄ ՑԻԿՍՅԱՅՐ

**ՅԱԿԵՑՎԱԾ ԱՎԱՅԱԿՈՒՄ**  
 ԽԱՎԱՐԾՈՎԱԾՈՒՄ ԿՈԹԱՐՄՈՒՄ ԱԿԱՐՈՒՄ ՍԱՌԱՋՈՒՄ  
 ԿՈԹՈՒՄ ԱՌԱՋՈՒՄ ՑՈՒՑԱՅՐՈՒՄ ՑՈՒՑԱՅՐՈՒՄ

աելու, հռուս սանցումունք, ամսպաց զլակարայութ ոչիրովերիս პորթ-  
 շուս — սածկուա յեցնուս մեռուլուու-ստորովուլ ցամարչցեցեցիւ, հայ-  
 ուն ամրու, ցոյքու դա ցրմենքա սպորտցելուսաւ մոմարտուլու ցամլունու-  
 թու ջուածու პարտուսայեն, հռուսուու յեցմենա դա հազորուլուցուր ծրմո-  
 ւցեցի ցամարժութու პարուլութուս սբորութուցարմա ծելաճմա զլա-  
 ճումեր օլուս եց լցենինիւ.

Պարտուս և օծունենուս, პարտունենուս, և օծունուս, սօմբուս, պայլա-  
 ժուրդասու տասուեծուս յանորցելուսու ցամոմթաթցուլու տայաճ լցենինու ոյու.  
 Սբորուց ամանց ամենու դա դու սածկուա პուրու ցլաճումեր մասայո-  
 ւըց:

Мы говорим — Ленин,  
 подразумеваем —

Мы говорим — партия,  
 подразумеваем —

Ленин

Լցենինուս պարտու թուսկուու մանումելու մոլունենուս մայլու, հրամակմուլու սանցագուցուս լանցրուցուս դա աելուս ցամարչցեցու-  
 նաւցուս մմույթ ծրմուլուցիւ.

Լցենինուս պարտուս ոչիրովերիս լուցենդարուլ լուցեցիւ դաշոյ-  
 շուս և ստորուլու սայմե մուշպաց սմալլուս մունամուլու — ցամլունու-  
 թուս ցամարչցեցամուլու — ամ ցիշանց դումնութցելուցան նունանսութու թար-  
 մոաճցցնու աեալու սածկուա ցանեսթութցուս — մեռուլուս պարուցու-  
 նայրութուս սանցալու սուպուալուսթուրու սանցումթուցուս սուրուածու ցանոնես մուղցածու.

„հայն, — ցանացեաճա լ. օ. ծրայնեցմա սար ցացնուս սմալլուսու  
 սածկուա հոցցարց մեցութու սեսանց, — աեալ ցանեսթութցուս դու ոչիրովերիս սուպուալուսթուրու հազորուլուցուս մց-60 թլուստացուս թին

ვიღებთ. ეს ქვეყნის ცხოვრების ორი უდიდესი მოვლენის უფლებულობა ქრონოლოგიური დამთხვევა როდია. მათ შორის გაცილებით უფრო ღრმა კავშირია. ახალი კონსტიტუცია, შეიძლება ითქვას, საბჭოთა სახელმწიფოს მთელი სამოცი წლის განვითარების კონცენტრირებული შედეგია. იგი ნათლად მოწმობს, რომ წარმატებით ხორციელდება ოქტომბრის მიერ გამოცხადებული იდეები, ლენინის ანდერძი».

ახალი კონსტიტუცია მშევრდებს ჩვენი ქვეყნის განვითარების ახალ ისტორიულ მიჯნას — განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენებას. ამ მიჯნის სიმაღლიდან, დიდებული სახალხო ზეიმის დღეებში სასურველი და სასიამოვნოც არის თვალი გადავაკლოთ განვლილი ცხოვრების გზას, ვნახოთ როგორ ვიზარდეთ, გულრიად ვთქვათ რა გავაკეთეთ, რა ვიყავით და რანი ვართ.

საქართველოს, მისი განუყრელი ნაწილის — აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა მიერ მოპოვებული წარმატებები-იმის ნათელი დემონსტრაციაა, თუ რა მოუტანა ფართო მასებს ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ, თუ რა შეუძლია სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლებულ ხალხს.

შემთხვევითი არ იყო, რომ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის მაღალი ტრიბუნიდან დეპუტატმა ე. ა. შევარდნაძემ მოგვაგონა ცნობილი ქართველი ბელეტრისტის ნიკო ლორთქიფანიძის მიერ დახატული რევოლუციამდელი საქართველოს დუხშირი ცხოვრების სურათი.

ეს არის უაღრესად რეალისტური სურათი.

ყოველ ფეხის ნაბიჯზე იყიდებოდა საქართველო, ფეხქვეშ ითელებოდა ჩვენი ხალხის ეროვნული ინტერესები, იგი სისხლისაგან იცლებოდა, და მანც არ დაუკარგავს მომავლის იმედი. ურიცვე მტრებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში, როგორც ცეცხლის ქურაში, გამოაწროთ თვისი მგზებარე სული, შეინარჩუნა შემოქმედებითი ენერგია და მხნედ შეეგება ახალი დროის რევოლუციურ ქარტეხილებს.

საქართველოს კუთხეებს შორის, თვისი ისტორიული ბედუეშულმართობის გამო, სიღუპშირეს ყველაზე მძაფრად მანც აჭარა განიცდიდა. ოსმალთა სამსაუკუნოვანმა ბატონობამ მძიმე დაღი დაასვა მის ეკონომიკასა და კულტურას, მთელ ცხოვრებას. დედასამშობლოსაგან მოწყვეტამ, სოციალურმა და ეროვნულმა ჩაგვრამ, უუფლებობამ დიდად შეაფერხა მოსახლეობის სულიერი განვითარება. დამპყრობლებმა მანც ვერ მიაღწიეს საწადელს; აჭარის მოსახლეობამ საშინელი ძალმომრეობის პირობებში მედგარი წინააღმდეგობა გაუწია მომხდურებს, გაუძლო მძიმე განსაცდელს, შეინარჩუნა მშობენის გადასაცემა.

ბლიური ქართული ენა, ეროვნული თვითმყოფობა და ასე მოაღწია 1878 წლამდე, ოცა რუსთა ლაშქარმა ქართველ მხედრობასთან ერთად ბრძოლით გაანთავისუფლა აჭარა ოსმალთა ბატონობისაგან და სამუდამოდ დაუბრუნა დედასამშობლო საქართველოს.

ამად შემორთებულ აჭარას მშობლიური კალთა გადააფარა მთელმა საქართველომ. ერთს საუკეთესო შვილებმა ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, ნიკო ნიკოლაძემ, იაკობ გოგგბაშვილმა, ალექსან-დრე ყაზბეგმა, ვაჟა-ფშაველამ, სერგეი მესხმა და სხვებმა ბევრი რამ იღონეს მოსახლეობის გათვითცნობიერებისა და განათლებისათ-ვის; გაიხსნა სკოლები, სოფლებშიც შეაღწია ქართულმა წიგნმა, ახალგაზრდები თბილისა და კულტურის სხვა ცენტრებში მიავლინეს სწავლა-განათლების მისაღებად. ეკონომიკურ დახმარებასაც უწევდნენ, მაგრამ ამ მხრივ ძალიან მძიმე მდგომარეობა იყო.

ესნის იმედი რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციურ მოძრაობაში ჩანდა მხოლოდ. საქართველოს მშრომელები ებმებოდნენ ამ მოძრაობაში და ემზადებოდნენ თვითმყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ იერიშისათვის. ბათუმში იმთავითვე მიიქცია ყურა-დღება მუშათა პოლიტიკური მანიფესტაციებითა და დემონსტრაციებით, ორგანიზებული გამოსვლებით. აქ მოღვაწეობდნენ გამოჩენილი რევოლუციონერები ი. სტალინი, ა. წულუკიძე, ს. ჭავთარაძე, მ. კახიანი და სხვები. ბათუმის მუშათა კლასის გმირულ ბრძოლას ცხოველი ინტერესით ადევნებდა თვალს და მაღალ შეფასებას აძლევდა ვ. ი. ლენინი.

ბათუმის პარტიული ორგანიზაცია იშვა და იწრობოდა რევოლუციურ ბრძოლებში. მას განსაკუთრებით მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ მძიინერე, რეაქციის პერიოდში, ასევე მენშევიკების ბატონობის, ინგლისისა და თურქეთის ჯარების შემოსევის დროს, მაგრამ სიძნელეებს არად აგდებდა და მშრომელებს რაზმავდა გადამწყვეტი იერიში-სათვის.

1921 წლის 18 მარტიდან, მას შემდეგ, რაც მეთერთმეტე არმიის დახმარებით აჭარიდან განდევნეს მენშევიკები და თურქი ოკუპანტები, აჭარის ისტორიაში დაიწყო ახალი ხანა, ახალი ცხოვრება. ლენინური ეროვნული პოლიტიკის მეოხებით შეიქმნა აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელიც მტკიციდ დაადგა ეკონომიკური და კულტურული აღორძინების, სოციალური განვითარების გზას.

ამ ისტორიული თავისებურებებითაც შეიძლება აიხსნას ის განსაკუთრებული ინტერესი, რომელსაც განახლებული აჭარის მი-

მართ იჩენდნენ ჩვენი მეგობრებიცა და მტრებიც. ჩვენთვის მეტად  
ძვირფასია ბულგარეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის  
გამოჩენილი მოღვაწის გიორგი დიმიტროვის აზრი. იგი აჭარაში ჯერ  
კიდევ ომამდე იყოფებოდა სტუმრად. საკუთარი თვალით ნახა აჭ-  
ჭესი, ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა, სხვა საწარმოები, ახალ-  
მშენებლობანი, გაეცნო მეურნეობებს, სახალხო განათლების სის-  
ტემას, მშრომელთა ყოფაცხოვრებას და მიღებული შთაბეჭდილე-  
ბების საფუძველზე გააკეთა შესანიშნავი დასკვნა: „თუმცა აჭარის-  
ტანის რესპუბლიკა არა დიდი, მაგრამ მსა უდიდესი ინტერნაციო-  
ნალური მნიშვნელობა აქვს... აჭარისტანი საბჭოთა ავანპოსტია ახ-  
ლო აღმოსავლეთში და ამით იგი აღმოსავლეთისა და ბალკანეთის-  
მშრომელებისათვის წარმოადგენს იმის კონკრეტულ მაგალითს, თუ  
როგორაა შესაძლებელი მუშებისა და გლეხების კავშირის საფუძ-  
ველზე პატრიარქალურ-ფუნდალური ჩამორჩენილობიდან სოცია-  
ლიზმის საწარმოო ფორმებზე გადასვლა“.

ეს მშეიდობიანი შემოქმედებითი შრომა ღროებით შეწყვიტა  
ომა, რომელიც ჩვენს ქვეყანას თავზე მოახვიეს გერმანელმა ფა-  
შისტებმა. ყველაფერი დაუმორჩილდა ვერაგ მტერზე გამარჯვების  
მიზანს. აჭარის მშრომელებმა, ისე როგორც მთელმა საბჭოთა ხალხ-  
მა, ზურგშიც და ფრონტზეც დიდი მამაცობა გამოიჩინეს, ყველაფე-  
რი მოახმარეს ოქტომბრის მონაპოვართა დაცვას, არაფერი არ და-  
იშურეს სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკი-  
დებლობის გადასარჩენად.

ომისშემდგომ ხუთწლედებში დიდი ძვრები მოხდა აჭარის სა-  
ხალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. აშენდა ახალი  
საწარმოები, მათ შორის ელექტრომოქანიკური, ტრანსფორმატორე-  
ბის და საყოფაცხოვრებო მანქანების ქარხნები, რომელთა წლიური  
პროდუქციის ღირებულება ოცდახუთ მილიონ განერს აღემატება-  
გემშემკეთებელი ქარხანა გადაკეთდა გემთსაშენ საწარმოდ და შა-  
ლე აჭარის მრეწველობის მშვენებად იქცა, მისმა ნახელავმა წყალ-  
ქვეშაფრთხებიანმა კატარლამ მსოფლიო აღიარება პპოვა. საფუძველი  
ჩაეყარა საშენ მასალათა მრეწველობას, ჩვენი სახლსაშენი კოშბინა-  
ტი წარმოადგენს მშენებლობის საკმაოდ მსხვილ ინდუსტრიულ ბა-  
ზის. შეიქმნა და გაფართოვდა კვების მრეწველობის მრავალი დარ-  
გი, პირველ რიგში კი ჩაის ძვირფასი ნედლეულის გადამმუშავე-  
ბელი საწარმოები. ომისშემდგომ პერიოდში აშენდა რვა ჩაის ფაბ-  
რიკა. ახლა გვაქვს თოთხმეტი ფაბრიკა, რომლებმაც წარმატებით  
გაართვეს თავი წლევანდელი სარეკორდო მოსავლის მთლიანად და-  
მაღალხარისხოვნად გადამუშავებას.

ჰეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაშ არა მარტო მრეწველობა, სოფლის მეურნეობაც დააყენა მრავალი პრობლემის წილაშვილის წაშე, რომელთა წარმატებით გადაწყვეტის საუკეთესო საშუალებას იძლევა წარმოების სოციალისტური სისტემის უპირატესობანი. კი-რძოდ, აჭარაში ისეთი დარგები, როგორიცაა მეჩაიერება, მეცეტრუ-სეობა, მევენახეობა, მეთამბაქოეობა, მემინდვრეობა, ზეცხოველეო-ბა ვითარდება ონტენსიფიკაციის გზით, მეცნიერების უკანასკნელ მიღწევათა გამოყენებით, მოწინავეთა გამოცდილების დანერგვით.

აჭარის მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია ამაყობენ, რომ თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს განსაკუთრებით ამ უკანასკნელ წლებში საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელო-ბით რესპუბლიკაში მოპოვებულ, მთელს ჩვენს ქვეყანაში აღიარე-ბულ და დაფასებულ გამარჯვებებში. პირველყოვლისა აღსანიშნა-ვია ჩვენი ინდუსტრიული წარმოების უჩვეულო აღმავლობა. საკმა-რისია ითქვას, რომ აჭარის მრეწველობამ წინა ხუთწლედში შრო-მის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე გამოუშვა მთელი პროდუქციის 80 პროცენტი, სამრეწველო წარმოების ზრდამ 1971-1976 წლებში შეადგინა 31,4 პროცენტი, ნაცვლად დაგეგმილი 27,4 პროცენტია.

კიდევ ერთი მაჩვენებელი: ახლა მარტო ბათუმის ნავთობგა-დამტუშავებელი ქარხანა ერთ დღეში აწარმოებს იმდენ პროდუქ-ციის, რამდენსაც რევოლუციაშიც მთელი წლის განმავლობაში უშ-ვებდა ბათუმის მრეწველობა. ასე ვიზარდეთ და მივაღწიეთ განვი-თარების ისეთ დონეს, რომელზე ოცნებაც კი არ შეგვეძლო ამ რამდენიმე თეული წლის წინათ.

ახლა ჩვენი პარტიისა და ხალხის ყურადღების ცენტრში დგას წარმოების ეფექტურობა და ხარისხი. ლ. ი. ბრევენევის თქმით, ეს ორი სიტყვა გახდა მთელი ჩვენი სამეურნეო საქმიანობის დევიზი. ისინი გამოხატავენ სახალხო მეურნეობის განვითარების ახლანაუ-ლი ეტაპის ობიექტურ მოთხოვნებს. ამ მიმართულებით თვალსაჩი-ნო მუშაობა გასწიეს აჭარის მრეწველობის მუშავებმა. საწარმოს მარკის ღირსებისათვის ბრძოლა დიდი ოქტომბრის მესამეოცე წლი-სთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთ მთავარ პირობად იქცა. შეჯიბრების შედეგია ის, რომ ბათუმური ნაეთობ-პროდუქცია, წყალწვეშაფრთხებიანი კატარლები, კვების მრეწველო-ბისა და სხვა მანქანები, სამეურნალო პრეპარატები, მზა ჩაი სულ უფრო იკვლევს გზას მსოფლიო ბაზაზე. ბათუმური ნაწარმის მარ-კას უკვე იცნობენ მსოფლიოს 67 ქვეყანაში.

მაღლიერების გრძნობით უნდა მოვიხსენიოთ ჩვენი სატრანს-პორტო ორგანიზაციების მშრომელები, განსაკუთრებით კი სახელმ-

ვანი მეზღვაურები. საქართველოს საზღვაო სანაოსნოს წლეული  
შეუსრულდა თავისი არსებობის ათი წელი. შედარებით მოკლე  
დროში იგი ისე დავაუკაცდა, რომ ტვირთხიდვის მოცულობისა და  
სხვა ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით მას საბჭო-  
თა კავშირის 16 სანაოსნოს შორის ახლა მეხუთე ადგილი უჭირავს.

დიად დღესასწაულს ღირსეულად ხვდებიან აჭარის სოფლის  
მეურნეობის მშრომელები. გამარჯვების პირველი სიტყვა თქვეს  
ჩვენმა გამრჩე მეჩაიერებმა. მათ სამშობლოს უპატაკეს საიუბილეო  
სოციალისტური ვალდებულების ვადამდე განაღდება, ქვეყანას მი-  
ცეს 56.500 ტონა ნედლეული, საშუალო საპექტარო მოსავლიანობა  
აიყვანეს 7.560 კილოგრამამდე და თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს  
საქართველოს მეჩაიეთა დიდ გამარჯვებაში — 1980 წლისათვის, მე-  
ათე ხუთწლედის ბოლო წლისათვის დასახული მიგნის გადალახვაში.  
ახლა მეციტრუსეების ჯერია. ისინი სამშობლოს პირდებიან ასი  
ათას ტონა მანდარინს, ლიმონსა და ფორთოხალს. ეს სავსებით რე-  
ალურია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მთელს კავშირში ციტ-  
რუსოვანთა მოსავლის სამი მეოთხედი აჭარაზე მოდის. ასევე ნა-  
ყოფიერად იშრომეს მეთამბაქოებმა, მევენახეებმა და სხვა დარგე-  
ბის მუშაკებმა.

სახალხო მეურნეობაში მოპოვებულმა წარმატებებმა განაპირო-  
ბა ჩვენი მუშების, კოლმეურნეების, სახალხო ინტელიგენციის კე-  
თილდღეობის შემდგომი ზრდა, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მო-  
მსახურების მოცულობის გადიდება, კულტურული მოთხოვნილებე-  
ბის დაკმაყოფილება. სულ უფრო კეთილმოწყობილი ხდება ჩვენი  
ქალაქები და სოფლები, მშრომელთა დასვენების კერები, რომლი-  
თაც ეგზომ მდიდარია აჭარის ზღვისპირეთი. განსაკუთრებული ყუ-  
რადღება ექცევა მოსახლეობის საბინაო პირობების გაუმჯობესებას.  
1960-1975 წლებში აჭარაში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა  
1,5 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი.  
შარშან და მიმდინარე წლის ექვს თვეში მარტო ბათუმში ახალმო-  
სახლობა იზეიმა ათასზე მეტმა ოჯახმა. ახალი კონსტიტუცია აკა-  
ნონებს ბინის უფლებას. ეს კიდევ უფრო გააძლიერებს მშენებელ-  
თა პასუხისმგებლობას სახელმწიფო გეგმების შესრულებაში.

წლითიწლობით უმჯობესდება მოსახლეობის სამედიცინო მომ-  
სახურება. იგი ჩვენი პარტიის ყურადღების ცენტრში დგას. ტარდე-  
ბა მშრომელთა ჯანმრთელობის ღაცვის დიდი ღონისძიებები. საკმა-  
რისია ითქვას, რომ ამჟამად აჭარაში მუშაობს ათასზე მეტი ექიმი.  
რევოლუციამდე კი მხოლოდ რვა ექიმი მუშაობდა, სოფლები  
მთლიანად მოკლებული იყო სამედიცინო დახმარებას.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აჭარაში მოხდა ნამდვილი კულტურული რევოლუცია. ახალმა ყოფამ ახალი აზრი მისცა აღა- შიანის ცხოვრებას, ფართოდ გაულო მეცნიერების, ლიტერატური- შა და ხელოვნების კარები.

ეპლავ ციფრებს მივმართოთ.

რევოლუციამდე აჭარაში აღგილობრივ მკვიდრთაგან სამადსამი კაცი იყო უმაღლესი განათლებით. ახლა მარტო ხულოს რაიონის ყველაზე შორეულ, მაღალმთიან ხიხაძირის სასოფლო საბჭოში ასა- მდე კაცს აქვს უმაღლესი განათლება. ხიხაძირელი კოლმეურნის ხ. ხალვაშის ოჯახში უკვე უმაღლესდამთავრებულია. ამ წარმატე- ბას საფუძვლად უდევს საყოველთაო სავალდებულო სწავლების კრონის თანმიმდევრული განხორციელება.

ფართო გასაქანი მიეცა მეცნიერული აზრის განვითარებას. ამ- გამად თერთმეტ სამეცნიერო დაწესებულებაში ორასზე მეტი მეც- ნიერ-მუშაკი მოღვაწეობს. მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩი- ნო კერას, კადრების სამჭედლოს წარმოადგენს შ. რუსთაველის სა- ხელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი.

დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს თვალსაჩინო წარმატებებით ხვდებიან აჭარის შემოქმედებითი ორგანიზაციები. ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი თავიანთი მხატვრული ნაწარმოებებით, სპექტაკლებით, ფერწერული თუ სკულპტურული ნამუშევრებით დიდად უწყობებ ხელს მშრომელთა, განსაკუთრებით კი ახალგაზრ- დობის, ესთეტიკურ აღზრდას, უნერგავენ მათ პატრიოტულ და ინ- ტერნაციონალურ სულისვეთებას. სასიხარულოა, რომ აჭარის მწე- რლების ნაწარმოებები ითარგმნება საბჭოთა კავშირის ხალხთა ენე- ბზე, პიესები გზას იკვლევენ არამარტო ჩვენი ქვეყნის ბევრი თეა- ტრის სცენაზე, არამედ საზღვარგარეთაც. მხატვრებმა საკმაოდ მა- ღალი შეფასება დაიმსახურეს რესპუბლიკურ და საკავშირო გამო- ფენებზე, სადაც ისინი სისტემატურად მონაწილეობენ. ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამის თეატრის კოლე- ქტიომა მოსკოველ მაყურებელსაც მოაწონა თავისი სპექტაკლები, მოძრე ბულგარეთშიც დაიმსახურა სიყვარული. სიმღერისა და ცე- კვის სახელმწიფო ანსამბლმა არაერთხელ გამართა ტურნე მოძმე რესპუბლიკებში და საზღვარგარეთაც, მრავალრიცხვან მაყურე- ბელს გააცნო ქართული მუსიკალური კულტურისა და ქორეოგრა- ფიული ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები.

აჭარის მშრომელებმა დიდი რუსი ხალხისა და საბჭოთა კავ- შირის სხვა ხალხთა დახმარებით, ლენინური კომუნისტური პარტი- ის დაუღალავი ზრუნვით დასძლიეს საუკუნეობრივი ჩამორჩენა და

გამოვიდნენ ნამდვილი ადამიანური ცხოვრების ფართო გზაზე. მო-  
კოვებული გამარჯვებების აღიარებაა ის, რომ აჭარის ავტონომიუ-  
რი რესპუბლიკის დროშას ამშვენებს სამშობლოს უმაღლესი ჯილ-  
დოები — ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის და ხალხთა მეგობ-  
რობის ორდენები. ამასვე ცხადყოფს უკანასკნელ წლებში საკავში-  
რო სოციალისტურ შეჯიბრებაში ზედიზედ ოთხერ გამარჯვება და  
სკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს,  
საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკ ცენტრალუ-  
რი კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის ზედიზედ ოთხერ  
მიღება.

ეკონომიკისა და კულტურის, საზოგადოებრივი ცხოვრების  
ყველა სფეროში მიღწეული გამარჯვებები შეუძლებელი იქნებოდა  
იმ დიდი პოლიტიკური ძვრების გარეშე, რომლებიც უკანასკნელ  
ხანს მოხდა საქართველოში და სათავეს იღებს პარტიის თბილისის  
საქალაქო კომიტეტის შესახებ სკპ ცენტრალური კომიტეტის ცნო-  
ბილი დადგენილებიდან. ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ შეუ-  
პოვარმა ბრძოლამ, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჩანსა-  
ღებამ ღრმა კვალი დაჩინია ჩვენი საქმიანობის ყველა მხარეს და  
კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა პარტიის გეგმების განხორ-  
ციელებაზე.

მოპოვებული წარმატებები, ეკონომიკის დარგში იქნება ეს თუ  
კულტურისა, წარმოადგენს მტკიცე საძირკველს ახალ-ახალი გამა-  
რჯვებებისათვის, ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლო-  
ვანებებისა და ხარვეზების აღმოფხვრისათვის.

საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუცია, განვითარებული სო-  
ციალიზმის კონსტიტუცია, რომელიც შთაგონებულია ხალხთა მე-  
გობრობის კეთილშობილური იღეთ, მშრომელი ადამიანის სიყვა-  
რულით, კომუნისტური მომავლის ღრმა რწმენით, ახალ, მძლავრ  
სტიმულს მისცემს ჩვენს შემდგომ განუხრელ წინსვლას ოქტომბრის  
გზით.

# სიმღერები ძმობის

დადი იქტომის შესამოცე წლის იუბილესთან დაკავშირდით მკითხველს ვთავაზობთ ჩვენი ქვეყნის მოძმე ერების მგოსანთა ლექსებს.

განყოფილება შეადგინა და თარგმნა გიორგი სალურგაძემ.

## ნიკოლოზ გიხეონოვი

რ ს ფ ს რ

ყველა მიანედის უმაღლეს წერტილს...

სადაც პოლარეთს დაუდგამს ტახტი,  
ატომმავლები მძლავრად მიღიან.  
ლეგენდასა ჰგავს ლაშქრობა მათი,  
გაცოცხლებული თითქოს მითია.

ისინი ზღაპრულ ტრასებს გახსნიან,  
მათ დანებდება სივრცე სასტიკი  
და სელუხლებელ ყინულს დაფშვნიან  
„ლენინი“, „ციმბირი“, „არქტიკა.“

თუ სადმე არის ადგილი ერთი,  
სად საუბრობენ გარდაცვლილები,  
ლომონოსოვი პეტრე ღიღს ეტყვეს:  
— გაოცებულხარ, ძმაო, ცვლილებით.

აკი ვამბობდი: „ციმბირის მიწა  
ზღაპრულ განძეულს ინახავს დრომის.“

და იტყვის პეტრე: — ფლოტიც არ მინდა,  
 თუნდაც ერთ ფრეგატს დავჭერდებოდი.

ნახავდნენ, რომ ზღვას არ ვუშინდები.  
 მაგრამ, რას ვამბობ! სად ჩემი ფლოტი  
 და სად ხომალდი — დიდის დიდებით,  
 ყინულის ჭავჭანის მსხვრევით რომ მოდის!“

ატომმავალმა ყინულს შეჰქედა,  
 მძიმე ზოდები დალეწა მკერდით —  
 და, ჰა, „არქტიკა“ პოლუსს ეკვეთა —  
 ყველა განედის უმაღლეს წერტილს.

---

## ბ ე რ ე ზ ი ნ ა

არ ბრიალებენ აბეზარ ქარში,  
მოიქანცნენ და დროა ძილისა  
და მოცურავენ მიმწუხრის ცაში  
ტყეები ჩემი ბერეზინისა.

ანარეკლი რომ იხილეს წყალში,  
არ მოუწონათ და გადაწყვიტეს,  
დაისის ლამპა აანთონ ცაში,  
და აისრულეს წაღილი კილეც.

გადაბრიალდნენ გეორგინები  
და, მაინც, მწუხრმა, ვით წყლის ბალახმა,  
ცა ჩამუქა გულმოლგინებით,  
დაისის შუქი ალარ ალალა.

ტყეებს კი ძილში მოგონებები  
თან ჩაპყოლიათ სიზმარში ნისლად.  
ფიჭვებს ჭრილობა თითქოს ეხსნებათ,  
ვინ იცის, როდის დაჭრილან ვისგან.

ხანდახან ისმის შრიალი მათი,  
თითქოს სიზმარში წამით კრთებიან.  
ცის ქვეშ სიჩუმეს დაუდგამს ტახტი  
და ტყეებს ისევ ჩასძინებიათ.

არა მგონია, მართლა სძინავდეთ,  
უნდათ დააფრთხონ ძილი ჯინაზე,  
რათა იხილონ, როდის ინათებს  
დილის ნათელი ბერეზინაზე.

## გამოთხოვების პოეზია

ერევან,  
 შენ მოგმართავ  
 ჩახლეჩილი ხმით:  
 ერთი წლით ვტოვებ  
 შენს ლარიბ ქუჩებს —  
 ჩრდილოეთს მივალ,  
 კვლავ ვნახავ მოსკოვს.  
 იღინოს ზანგამ —  
 არ მენაღვლება  
 არც მე, არც აბოვს,  
 რადგან მოვარეზეც  
 თავს ისე ვიგრძნობთ.  
 თითქოს შინა ვართ.  
 ჩვენ სხვა სიმღერით  
 ვართ მოხიბლული.  
 იცი?  
 იქ გული ადამიანის  
 დოლად იქცევა  
 და გსურს იფრინო.

იქ ადამიანს უნარი შესწევს  
 შეწყვიტოს ფრენა და დაიურვოს,  
 როგორც ჭენებით დაღლილი რაში.

იქ დრო გაჩქარებს:  
 მოგცეს — აიღე...  
 მაინც —  
 ნახვამდის...  
 მაინც მშვიდობით!..

განა არ იცი? — ბუზიც კი გიყბენს,  
თუ შენი გული შაქრისა არის.

როგორაც უნდა  
ამაჩქარონ ოქროს დღეებშა  
რუსეთისაკენ,  
ეს შაქრის გული,  
ესოდენ შყიფე,  
არ დაგივიწყებს,  
თუ შენი გულიც  
შაქრისა არის...

როგორაც უნდა  
ამაჩქარონ ოქროს დღეებშა —  
ეს შაქრის გული  
ესოდენ ნაზი,  
არ დაგივიწყებს,  
სულისდგმავ ჩემო...

გჯეროდეს ჩემი  
შენ — ღვიძლო ჩემო,  
შენ — ერევანო,  
შენ — სათაყვანო,  
შენ — გულო ჩემო!

---

## ძმა ხარ ჩემი

ზღვის პირას ცხოვრობ, თუ მთის კალთებზე,  
მოძმედ მიგულე, თუკი აფასებ  
მთელ დედამიწას, ტყეებს, ნაოესებს  
და მოლს, რომელიც ლურჯად ხასხასებს.

რომელ ენაზე, სიმღერის რომლის  
ხარ წამომწყები, ეგ სულერთია,  
ძმა ხარ, თუ მადლი გიგრძვნია შრომის  
და თუ სიკეთე შენი ღმერთია.

გინდ იყავ თეთრი, გინდ შავი იყავ,  
თუკი კაცობას უდგარარ მცველად,  
ძმა ხარ, თუ შენი საქმე და სიტყვა  
კაცს გასაჭირში წამოეშველა.

შენ ძმა ხარ ჩემი, ფიცი არ უნდა,  
შენც გაწუხებდეს ჩემსავით მხოლოდ:  
იმათზე დარდი, ვინც ვერ დაბრუნდა,  
იმათთვის ზრუნვა, ვინც ქვეყნად ცხოვრობს—



## თაობათა საუბარი

— ჩემო შავთვალა ცუგრუმელებო,  
ყური დამიგდეთ, აბა!

ფერად-ფერადს რომ მოგიყვეთ ზღაპარს,  
მინდა ვიცოდე, რას იტყვით მაშინ?

— დღეგრძელი იყავ, პაპა!

— ჩემო იებო და ზიზილებო,  
მე რომ სკოლაში მოვიდე თქვენთან  
დილით, ფანჯრებში შუქი რომ ფეთქავს,  
გულში ჩავიკრა ყოველი ბავშვი,  
მერე კი გავჭრე, რას იტყვით მაშინ?  
— დღეგრძელი იყავ, პაპა!

— ჩემო ცელქებო, ეშმაკუნებო,  
თქვენთან ერთად რომ ავფრინდე ცაში,  
გზა გავიკვლიოთ ვარსკვლავთა ზღვაში.  
რას იტყვით მაშინ?

— დღეგრძელი იყავ, პაპა!

— კუდრაჭებო და ჭინკა ბიჭებო,  
თქვენდა საამოდ მე რომ ვინებო —  
რაც უზბეკეთში მწიფლება ხილი,  
ნაირნაირი, თაფლივით ტკბილი  
და ყვავილები, გაშლილი ველად  
თქვენ მოგიტანოთ საჩუქრად ყველა,  
ჩემო კარგებო, რას იტყვით მაშინ?  
— დღეგრძელი იყავ, პაპა!

15799

## გედნიმრების უფლება

ჩვენს ტიდ კანონში არის სიტყვები.  
 თვით უკვდავების გამომხატველი  
 და ჩაწული გვაქვს გულში სხივებად  
 მათი სიკეთე, მათი ნათელი:  
 აქ სიმართლე და სიბრძნეა ერთად,  
 ძალმოსილება, სიუხვის კალო.  
 მე საოცნებო მომავალს ჭრედავ,  
 როცა გვითხულობ ძირითად კანონს.  
 თანასწორობა, შრომა და ძმობა  
 ქარიშხლიანი გზებით ვატარეთ.  
 ჩვენ ავაცილეთ ამ სიტყვებს გმობა  
 და ამ სიტყვებით ზეცა ვადარეთ.  
 ერთმანეთს ძმურად ვედექით მხარში  
 და ერთგულება ძალის გვმატებდა.  
 განსაცდელის ფამს — ნისლში და ქარში  
 კრემლის ვარსკვლავი გზას ვვინათებდა.  
 გადაიკითხე!

თავი ყოველი  
 ფეთქვაა ჩვენი სამშობლის ძარღვის,  
 შემართებაა გამრჯე შშრომელის  
 და გაზაფხულის სუნთქვაა ლალი.  
 სივრცეებია უკიდეგანო,  
 უღრმესი ზეცა, ვრცელი ველები.  
 ჩახდე ჩვენი ცხოვრების კანონს —  
 უფლებას ჩვენი ბედნიერების.

## დილა მშვიდობის, საქართველოვანი!

დილა მშვიდობის, საქართველოვ — მიწაო წმინდავ.  
პიტალო კლდეებს თეთრი ნისლი შემოპფენია.  
მაკედონელი შემოსული აქ ბისრი ხმლითა...  
ტაძრებს და კოშკებს მომხდურების კვალი შთენია.

ვერ დაგაჩოქეს... ახლა გტრობის დრო გარდასულა:  
საგაზაფხულოდ მორთულია შენი მთა-ბარი.  
მიწა დაჭრულა, გამრჯვ ხელით ვაზი გასხლულა,  
შრომობს ქართველი მარჯვენით და გულით მაგარი.

ჩაის ბუჩქები ამ გორიცებს როგორ ჩატავენ!  
შე ვხედავ, რარიგ მძიმე არის აქ კაცის გარჯა,  
რომ სამური ჩაი მუდამ ედგას ალტაელს,  
როცა ყინვაა, ანდა როცა ზორშაკი ტანჯავნ.

„დილა მშვიდობის!“ შენი ხალხის სალამი არის  
და ალტაელსაც წამცხებია შენი მირონი.  
დროა ისეთი, ახლოვდება სივრცეთა ზღვარი,  
ახლოვდებიან ალტაი და კავკასიონი.

გამია ვაჩანიძე

# ჩვითი ფილოსოფია

ა მ გ ა ვ ი ა ვ ა თ ე

მისმენთ თუ არა, ჩემო საყვარელო ადამიანებო?

— კი, როგორ არა, გისმენთ.

მაშ, მე ჯემალი, თქვენი მონა-მორჩილი, ვიწყებ „ჩემი დედულეთის“ კითხების. სანამ ქაზიმ მეჩონგურის და ვენერას სიყვარულზე მოგიყვებოდეთ, სანამ ვენერას მამის კოწია ბიძის და ქაზიმ მეჩონგურის მამის ქიბარალის, ქარხანაში მუშაობა რომ დაიწყო, ახალ ამბებს მოგიყვებოდეთ, ცოტა ისტორიის ფურცლები გადავთურცლოთ. ეს ყველაფერი წიგნებში სწერია, მაგრამ თქვენთვის უცნობია. მე თავს არ შეგაწყენთ, არ გავაჭიანურებ, სულ მოკლედ, მოკლედ გადმოგცემთ წარსულს, როცა ჩემი ქალაქიც იღვიძებდა და ახალ ცხოვრებას ელტვოდა; როცა შავრა-ზმელთა შავი ხელიც მახვილს ატრიალებდა, ვის ზურგიდან ჩასცემდა და ვის პირდაპირ; როცა ჩემი გონება ერთობ დაბნელებული იყო და ძმა ძმას ვერა სცნობდა, ერთნი ჭოგრიტს მიაშველებდნენ ხოლმე, ყველაფერი ნათლად რომ დაენახათ, ხოლო მეორენი ჭოგრიტს ხელიდან აცლიდნენ და გონებას უბნევდნენ, სულს უფორიაქებდნენ, ძმის მოსაკლავად ხელში თოფს ააღებინებდნენ, ჩაუსაფრებდნენ სადმე ხევში და წუთისოფელს გამოასალმებინებდნენ. ზოგს შიმშილით კუჭი სტკიოდა, ზოგი კი ვერაგული ხრიკებით ოქროებს იხვეჭდა და ქისებს ივსებდა.

აი, ზოგი რამ...

გაგრძელება. დასაწყისი „ჭოროხის“ 1975, №№ 5, 6, 1976, №№ 3, 4, 5, 6,  
1977, №№ 3, 4.

ერთი ღამის ინციდენტი. ეს ძველი ამბავია, თუმცა არც ისე ძველი. ქიბარალას და მის ტოლებს კარგად ემახსოვრებათ. ეს ამბები მამაჩრეში ძალიან კარგად ახსოვდა და კიდეც მიამზობდა ბავშვობაში, როცა ავდარი იყო, წვიმა ან თოვლი მოდიოდა და მამა სახლში იყო, უყვარდა ძველი ამბების მოყოლა. ეს ერთი ღამის ინციდენტი მამამ მიამზო ერთ წვიმიან ღამეს. მოვუსმინოთ მამაჩრემს...

— შვილო, მახსოვს, კარგად მახსოვს, ჩემს ტოლებს ყველას ემახსოვრება სოფელში. პო, ეს იყო მაშინ, როცა ნიკოლოზის ჯარი დამარცხდა იაპონიასთან ომში. არა, ერთი წლის შემდეგ, მგონი. შვილო, შენ ალბათ იცი, რომ ჩვენს ქალაქში ძველთაგანვე სომხები ბლომად ცხოვრობენ. ჩვენ კაი ურთიერთობაც გვაქვს ერთმანეთთან; ჩემს ნაცნობ სომხებთან დოსტივითა ვარ, ჩემთან მოლიან, მათთან მივღივართ, გვეხმარებიან, ვეხმარებით. ასეც უნდა. ეს შურდათ ბოროტ ადამიანებს. იფიქრეს, იფიქრეს ამ ბოროტმა ადამიანებმა, როგორ გადაეკიდათ ერთმანეთისათვის ქართველები და სომხები; და კიდევაც მოიგონეს ხერხი. ერთ ღამეს სომხების საცხოვრებელ სახლებს წითელი საღებავით ჯვრები დაუსვეს. ეს იმას ნიშნავდა, რომ ჯვარდასმულ ოჯახებს ღამით მოულოდნელად თავს უნდა დასხმოდნენ და ამოეუუყათ. მერე კველაფერი ეს ქართველებისათვის, ჩვენთვის უნდა გადაებრალებინათ, შვილო.

— პო, მე მახსოვს, მახსოვს ეს ამბავი, — თქვა სულო ბიძამ, — აქანკალებული, ენაგადმოგდებული ამოვარდა ჩვენთან სოფელში ოვანესა; ახლა კალიაევის ქუჩაზე წისქვილი რომაა, იქ ვაჭრობდა, პატარა დუქანი ჰქონდა, მაგრამ რას არ ნახვდით მის დუქანში — კანფეტს, კარაქს, ყველს, თხილს, ზეითუნს, ზეთს და კიდევ ვინ იცის რას!?

— მეც იქ არ ვიყავ, შენთან სახლში გულგახეთქილი რომ ამოვარდა, ოვანესა! — თქვა ქიბარალამ.

— პო, შენც ჩემსას იყავი მაშინ. ტყეში ტყეჩები ერთად დავამზადეთ და კალათებს ვწინავდით. აბა, რა უნდა გექნა სოფლელ კაცს — ან ნახშირი უნდა გამოეგწვა და გაგეყიდა ქალაქში, ან კალათები უნდა დაგეწნა, ბაზარში ჩაგეტანა და მუშტარს დალოდებოდი; ხან ხილი უნდა გაგეყიდა; ხან ორმოში თოვლი უნდა შეგეგროვებინა და ზაფხულობით გასაყიდად ქალაქში ჩაგეზიდა. აბა, ისე ფულს საძი იშოვიდა კაცი. ახლა ძიავ, მიდი და ხვეტე აქროები ჩაისა და მანდაჩინის პლანტაციებში, — თქვა სულო ბიძამ; მას ღიმილიანი სახე ჰქონდა. უცებ ჩიბუჩი გატენა, ნაკვერცხალი დაადო და ერთი მაგრად გააბოლა. უყვარს ბერიკაცს გაბოლება და რას ერჩი, გააბოლოს. მისი წილი ქვეყანა ჯერ კიდევ არ მოუჭამია.

— პო, მერე რა მოხდა, რა შემოგჩიდლათ ოვანესამ? — იყითხა დედა ხატიჯემ. სულო ბიძამ ჩაახველა და განაგრძო.

— ოვანესამ თქვა, დღეს თუ ხვალ ჩვენ ქართველები ამოგველეტა-

შენ. — ცრუმლი ვეღაპ შეიქავა. — ცოლ-შვილი მეცოდება თუ არა;  
ჩემს თავს სულ არ ვჩივი. შვილების სიკადილს როგორ უუყურო, ან, ლერთო, მის ოჯახში  
ლებმა მამის სიკადილს როგორ უნდა უუყურონ. ას, ლერთო, მის ოჯახში  
კოჯოხეთი დატრიალე, ვინც ჩვენ ერთმანეთს გადავვიდათ... და მიამბო  
რაშიც იყო საქმე. მამაჩემა, უთხრა, მე რა შემიძლია დაგეხმაროო. არა  
ფერი მინდათ მეტი, ერთხანს ჩემი ცოლ-შვილი შენთან შეიხიზნეო და მე-  
რე ვნახოთ. დროებით დუქანს დავკეტავო. მართლაც ჩვენს სახლს  
შემოახიზა ცოლ-შვილი ივანესამ. დუქანი დაკეტა და, ისიც ჩვენს სახლს.  
შეეფარა, მაგრამ არაფერიც არ მომხდარა... მერე ივანესა ისევ დაუბრუ-  
ნდა ქალაქს.

— პოდა, მერე იცით, ვისი წყალობით ასცდა ეს ხალხი საშინელ  
ხოცვა-ულეტას? — კითხე მე.

— ამბობენ, მემედბეგ აბაშიძემ უშველა ხალხსო, — წამოიძახა  
ქიბარალამ.

— აბა, ახლა სიტყვა კიდევ მამაჩემს მიყცეთ. აი, რა მითხრა მამაში...

— მემედბეგი რომ არა, რა ეშველებოდა ამ საქმეს არ ვიცი. არა,  
მარტო მემედბეგს არ უშველია სომხებისათვის, — თქვა მამამ, — აქ  
მთავარი ძალა სხვა იყო. მემედბეგს ეს ამბავი რომ აცნობეს, ძალიან შე-  
წუხდა, დაფიქრდა და თქვა: ამ საქმეს მხოლოდ ჩვენი ქალაქის ბოლშევკ-  
აჟი თუ უშველიან, მე მარტო რას გავქდებიო... და ყველაფერი აცნობა  
ჩვენი ქალაქის ბოლშევკიების კომიტეტს, აცნობა ხალხში გამოსულ ქარ-  
თველებს. კომიტეტი მიხვდა ვისი მოფიქრებულიც იყო ეს შავი საქმე.  
როგორც თქვეს, ეს შავრაზმელებისა და რეაქციონერების ობიბაზობა  
იყო. — პოდა, რაც გრძა ის დავარქვათ, შვილო. ერთი სიტყვით ხალხის  
შტრები კი იყვნენ და... — თქვა მამამ, მერე ერთი ჩახველა და განავრძო.  
— შეიქმნა მეთვალყურე კომისია, რომელსაც სათავეში ჩაუყენეს მემედ-  
ბეგი... ერთი ქალაქში ვარ და, მოედანზე ბევრი, ბევრი ხალხია შეგრო-  
ვილი. თურმე მიტინგი ყოფილა. ადიოდნენ ტრიბუნაზე, პყვიროდნენ,  
ილანძლებოდნენ, იმუქრებოდნენ. აი, მემედ აბაშიძეც ავიდა ტრიბუნაზე,  
მან ჯერ წყნარად დაიწყო, ხოლო შემდეგ თანდითან ხმას უმატა, ღვლავდა.

— ძვირფასო ხალხო, ძვირფასო ადამიანებო! — თქვა მან. წამით და-  
დუბლდა, ხოლო შემდეგ განაგრძო: — სომეხი და ჭართველი ხალხი ადა-  
მისწლიდან ძმები არიან. ჩვენ კარგ რამეს თუ ვაკეთებდით, ერთად ვაკე-  
თებდით, თუ ვიბრძოდით, ერთად ვიბრძოდით, ერთად ვიცავდით საშმო-  
ბლოს, თორემ მტრები ძირულსვიანად ამოგვაგდებდნენ. ბევრი ჭირი ვა-  
დაგვეხომია თავზე. ჩვენ მუდამ ძმურად ვუჭერდით ერთმანეთს. მხარს და  
ჩვენს ძმობას ვერავინ დაფუშავს; ჩვენს წმინდა წყალს შხამს ვერავინ  
გაურევს, ჩვენ მას ხელებს მოვჭვეთავთ. მტრებს უნდა დაიღვაროს ძმოს

სისხლი, მაგრამ ეს უბედურება არ მოხდება, არ აღსრულდება მტრების განხილვა. სომხებო და ქართველებო, ხელი ხელს მიეცია და ჩაეწევოთ ერთმანეთს, თქვენ განუყრელი ძმები შართ!

შემედის ამ სიტყვაშ ვიღაც ააცრებლა კიდეც. ტრიბუნაზე ავიდა ვიღაც შავგვრუმანი კაცი. მან სომხურად ილაპარაქა და თითქმის მემუდბეჭვის სიტყვა გაიმუორა. ბოლო სიტყვები ქართულად თქვა:

— გაუმარჯოს ქართველი და სომხები ხალხების ძმობას! — და უიჯერ შემედბეგს გადაეხვია, ხოლო შემდეგ სხვებს.

— ჰო, მერე ისიც მახსოვს, — თქვა სულო ბიძიამ, — ქალაქს სულ იციდნენ დარჩეული შეიარაღებული ბიჭები... და არაფერიც არ მომხდარა.

— მაღლობა ღმერთს, რომ არაფერი მოხდა, — ჩაილაპარაქა ჭიბარდამ და მუგუზალი დაანაუკერჩელა.

— ჰო, მამაჩემს მოვუსმინოთ კიდევ.

— მოვუსმინოთ.

— მემედბეგს ახლოდან ვიცნობდა. აქ, ჩვენს სოფელში ხომ სამი აბაშიძის სახლი იყო — რიზაბეგის, ალიბეგის და ფეხლიბეგის. მემედბეგი ხშირად მოდიოდა აქ ბიძაშვილებთან. ჰოდა, მემედბეგსაც კარგად ვიცნობდი, მეც ისინი კარგად მიცნობდნენ. მემედბეგმა იცოდა რა კაციც იყო მამაჩემი და ამ საქმეში დახმარება თხოვა. მამაჩემმა, მე და ვიდგვ თხინი ჩვენი ბიძაშვილი შეგვაიარალა და... მივეშველეთ ქალაქს, შავშა ჭირშა, რომელიც ქალაქს ემუქრებოდა, მშვიდობიანად ჩაიარა.

**ინციდენტი მეორე.** ესეც მამაჩემის ნაამბობაა. მაგრამ მამაჩემს შეც წამოვეშველები და უფრო სხარტად გადმოვცემ.

— შენ როგორც გნებავს, — თქვა დეიდა ხატიჯემ. — და ჟერტალი დატრიალა. ღაზლას ართავდა, თან გულისყურით მისმენდა.

— აბა, სმენა იყოს და გავონება, ჩემთ საყვარელო ადამიანებო.

ისევ ის წელი იყო. ესე იგი 1905 წელი. ისევ შულლი, ისევ მტრობა, ისევ პროვოკაცია და ძმათა გადაკიდება. მე დავაყურადებ იმ ბნელ წლებს და თითქოს ვიღაცების საუბარი მესმის. საუბრობენ კი არა, ჩხავიან, კავიზნ, შხამს ლესავენ, რომ ვინმეს შეაპარონ და მოსპონ. ნეტავი ვის უნდა დაალევინონ ეს შხამი, ვინ უნდა მოსპონ? ვინ იცის, ვინ იცის!

ხმა პირველი: — უნდა მოვითიქროთ ისეთი რამ, მუსლიმან ქართველებს და ქრისტიან ქართველებს ურთმანეთს რომ გადაჰკიდებს.

ხმა მეორე: — რა ვიღონოთ? რა მოვიგონოთ?

ხმა მესამე: — ამას რა დიდი ფიქრი უნდა. აი, მე გეტუვით რა გამევთოთ. ცნობილი კაცია მოლა მემედ ეფენდი ყოჩიოლიზადე. აჭარაში მას პატივს სცემენ, აფასებენ.

— მერე? — გაოცებული კითხულობს ხმა მეოთხე.

— ხმა მესამე: — მერე და მოვკლათ მოლა მემედ ეფენდი. მოვკლათ ზა თან აჭარლები წაგაქეზოთ, ქრისტიანებმა მოკლეს-თქო. შევუსისინოთ, გვაღიზიანოთ, ეს ამბავი გუდასავით გავტეროთ, შიგ შხამსამსალა ჩავასხათ და გათავდა, ბნელ ხალხს მეტი რა უნდა; ვუბრძანებთ და, ხელში იარაღს აიღებენ, მერე ერთი ჩვენთაგანი წარუძლვეს წინ ყოლაუზად და დაიგრიალონ თოფებმა...

და ერთ ღამეს თითქოს ყაჩალები დახვდნენ მოლა მემედ ეფენდის და წუთისოფელს გამოასალმეს. დილით ხევში ჩაგდებული ნახეს გვამი. სასტრად დაესახიჩრებინათ. ეს ამბავი არ გაგიგონია სულო ბიძია, ან შენ ქიბარაღა?

— რაღაც ბუნდოვნად მახსოვს, — თქვა სულო ბიძიამ და დაფიქრდა.

— მე კარგად მახსოვს, კარგად. — თქვა ქიბარაღამ. — რა ამბავი იყო მაშინ! ვინ რას ამბობდა და ვინ რას!

— შენ გვიამბე ჯემალ, შენ, გისმენთ! — თქვა დეიდა ზატიჯემ.

— არა, ეს მამაჩემის ნაამბობია, მაგრამ ჩემი სიტყვებით გადმოგცემთ. მე მივეშველები მამაჩემს.

— ყური დამიგდეთ ძვირფასო ადამიანებო. მე გაგახსენებთ ყველა ფერს... დრო იხელთეს ორგულებმა, კაცთმოძულებმა, ჭირიკანებმა, შანტაჟისტებმა. შხამის მთესველებმა. ესენი იყვნენ ერთი გაყოლა ბეგება, რომლებსაც სათავეში ედგა ზემო აჭარელი ბეგი ჯემალ ხიმშიაშვილი. ვინ იყო ჯემალტეგი? იგი იყო ზემოაჭარის მმართველის შერიფბეგ ხიმშიაშვილის შვილი. შერიფბეგი, ალბათ, გაგეგონებათ, კაი მამულიშვილი იყო. ეს კაცი არაფერს ზოგადა, არაფერს უშინდებობა, რომ თურქები განშორებოდნენ სამხრეთ საქართველოს, რომ აჭარა კვლავ დაბრუნებოდა დედა-საქართველოს. მოწინავე ქართველ მოღვაწეებთან პქონდა მიმოწერა, და ურთიერთობა. მან რუსის ჯარს ყოველმხრივ ხელი შეუწყო დამკვიდრებულიყო აჭარაში. და თქვენ იცით, რომ 1878 წელს აჭარა დაუბრუნდა დედა-საქართველოს. მაშინ შერიფბეგი ერთ-ერთ გაზეთში წერდა: „მუდამ ვცდილობდი ჩემი თავის და ჩემთა მოძმეთა გამოხსნას ჩემი ქვეყნის თურთ ასმალთა ხელიდან... როდესაც ჩვენ ძმებთან, ქართველებთან შევრიგდით, ღამის უკუნი ბნელი ბრწყინვალე დღეთ გადამექცა, სიმწუხარე — სიხარულად და ჭირი ლხინად შემეცვალა“. და მერე კიდევ, აი, რას ამბობს: „ვერასოდეს ვერ დავივიწყებ მე ჩემს დღეში, ქართველთა მოქათეობას, კაცთმოყვარეობას და მიღებულებას. ღმერთმა ქნას, რომ მოსალოდნელი კეთილშობილური მოქმედება, შეერთებულიყოს მტკიცელ ძმურად ზა დაშორებულ ძმებთან სულითა და გულით ყოველივე კეთილ გაწყობილებითა“.

რა დიდი აზრია გამოკონილი შერიფების ამ სტრიქონებში! კიდეც აფა  
სებდნენ მას მოწინავე ქართველი მოღვაწეები, კიდეც უყვარდა იგი თუ  
ნალხს. აი, რას წერდა უურნალი „თეატრი და ცხოვრება“ 1915 წელს:  
„შერიფებების სახელი დიდების სხივით შემოსილია, მისი ქართველური  
შეგნება საძირკვლად გაუხდება ქართველი ქრისტიანების და ქართველი  
მაჰმადიანების დღევანდველ ერთობას“.

პოლა, ასეთი მამის შვილმა ჯემალბეგმა თავის მხარეს, აჭარას ულა-  
ლატა, დედასა და მობლოს ულალატა და იგი იქცა აჭარაში ოსმალების და-  
საყრდენ ბოძად. თურქები მას თავიანთ ემისრად, ესე იგი, აჭარაში ოსმა-  
ლეთის წარმომადგენლად თვლიდნენ და დიდ იმედებსაც იმყარებდნენ მამულიშვილთა გამყიდველზე.

პოლა, ეს ჯემალბეგი ჩაუდგა სათავეში რეაქციონერ ბეგებს, რომ-  
ლებმაც მესვეურთან ერთად ააფორიაქს ხალხის გული, დაარწმუნეს  
იმაში, რომ ქრისტიანმა ქართველებმა მოჰკლეს მოლა მემედ ეფენდი;  
რომ ქრისტიანი ქართველები ჩვენ ხვალ და ზეგ ამოგვხოცავენო; ზოგი-  
ერთი სარწმუნოებრივ ზიზღს თესავდა, ზოგი ეროვნულ ზიზღს. ზოგი-  
ერთმა კიდევ ეს შემთხვევა დაბრალა რევოლუციურ ორგანიზაციებს,  
ბოლშევკიებს.

ამოძრავდა ჯემალბეგი. დრო თავისად მიიჩნია და რად დააყოვნებდა.  
ამოძრავდნენ მისი მომხრე ბეგები. რა სიცრუეს, რა მოქორილს არ ჩა-  
გონებდნენ ხოლმე ხალხს... ბოლოს და ბოლოს მოწმლეს ხალხის გული.  
აიყოლიეს, შეაირაღეს ხალხი და შურის საძიებლად გამოსწიეს ქალაქი-  
საკენ.

მცირე როდი იყო ჯემალბეგის შეიარაღებული ძალა... და რა მოე-  
ლოდა ჩვენს ქალაქს ვინ იცის. შეიარაღებულნი აჭარისწყალზე დაბანაკ-  
დნენ იმ მოლოდინით, რომ მაღვ თავს დასხმოდნენ ქალაქს.

ფეხზე დადგა ქალაქის მოწინავე ინტელიგენცია. ფეხზე დადგა ბა-  
თუმის ბოლშევკიური კომიტეტის ყველა წევრი. ფეხზე დადგა ყველა ის,  
ვისთვისაც ძვირფასი იყო მშვიდობიანად ღამით ძილი ნებისა... თრთოდა  
ქალაქი... ხმაურობდა ქალაქი... თავზარდამცემ ელდას ელოდა ქალაქი...  
მაგრამ...

22 მაისს ქალაქის გამგეობის ეზოში გაიმართა დიდი მიტინგი.

— მე ვესტრებოდი იმ მიტინგს, — თქვა ქიბარალაშ.

— მერე, აბა შენ გვიამბე, რაც მოხდა იქ, — ვუთხარი მე ქიბარალას.

— მე ის მახსოვჭ, რომ სიტყვით გამოვიდა მემედ აბაშიძეც. რა  
თქვა, არც კი გამიგონია, ბევრი ხალხი იყო და ტრიბუნასთან ახლოს ვერ  
მივეღდი.

— პოლა, მე გატყვით, რა თქვა მემედმა. ესეც მამაჩემის ნააშპობია,  
აქ იყო თურქე, სულ ახლოს ტრიბუნასთან. ჩვენი ბრალიაო, თქვა მემე-

დმა, ეს შურისძიების მრისხანე ტალღები, რომ მოასკდა ქილაქს. ხოჭი მოკლე გვდიოდა ხმები იმის შესახებ, რომ ქრისტიან ქმებს აბრალებდნები შოთა გვლელი შემედ ეფენდის შევლელობას. ზოგი რევოლუციონერებს აბრალებდა, ზოგი სომხებს. ვერ გამოვაჩინეთ სიფრთხილე, ვერ გავედით ზალებში და ვერ აცუქსენით რა იყო მართალი და რა იყო ტყუილი. პიდა, ამით ისარგებლეს ჩვენმა ორგულმა ბეგვებმა... და აი, საცა სისხლი დაიღვრება, და მერე რასთვის. უკეუობა იქნებოდა შეიარაღებულნი შევბოლით იმ გადა-ლებულებს. მე გამაყოლეთ რამდენიმე კაცი და ასე უიარალოდ წავალთ; წავალთ, შევხვდებით მათ აჭარისწყალზე. ჩვენ ვიტყვით სიმართლეს, და ისე ვიტყვით, რომ უგრძურმაც დაიჯეროს და ვონიერმაც. მაა, აა: შზად უარ ზეარაკად შევეწირო ხილხის სიკეთეს, თუ მომკლავენ, მე მომკლა, მე მივდივარ მათთან...

— შენ გენაცვალე მემედბეგ, შენ! — გაისმა ქალის ნაზი, ათათოლებული ხაბა.

და მაა კიდევ რამდენიმე ზალხის რჩეული აღამიანი გაპყვა. „აბა, შენ იციო მემედ, უთხრეს კომიტეტის წევრებმა, შენი იმედი გვაქვსო.

ასე იყო თუ ისე, ისინი აჭარისწყალზე შევხდნენ აჯანყებულოთ.

ასე იყო თუ ისე, მათ იდავეს, ისაუბრეს... და მემედბეგის კეთილმა, ვონიერმა სიტყვამ, მამული შვილურმა სიტყვამ გაიმარჯვა. კემალბეგი თავისი ამალით ზემო აჭარაში გაისტუმრეს.

მაგრამ ჯემალბეგი... ჰო, მერეც შევხვდებით მას „ჩემ დედულეთში“.

ინციდენტი შესამე, ანუ დაჭრილი არწივი.

— ჰო, რა დღეები იყო, — თქვა მამაჩემმა და ამოფობრი, და მან შიამბო დაჭრილი არწივის ამბავი. (ეს მე შევარქვი „დაჭრილი არწივი“)-მე შინდა წამოვეშველო მამას და სხარტად გიამბოთ...

ჩვენს ქალაქში ტყავში ძრებონდნენ შავრაზმელები და ცდილობდნენ, როგორმე მოეწყოთ აჭარლებისა და სომხების ხოცვა-ულეტი. მერე ფვა-თონაც დააჩხევდნენ ხალხს, დაარბევდნენ რევოლუციონერთა თჯახებს...

— რა ვიღონოთ? — გაისმა ბნელში პირველი შავი ხმა.

— ამსა რა დღი ფიქრი უნდა! — აჩხავლდა მეორე შავი ხმა.

— ვაშ, თქვი ბარემ, სული მელევა, — ისმის მესამე შავი ხმა.

— მემედბეგ აბაშიძეს ხომ იცნობთ? რა თქმა უნდა, იცნობთ, ჰო ის უნდა მოვაკვლევინოთ ვინმეს, სახელდობრ სომებს... და გათავდა. მემედბეგი ძალიან უყვართ აჭარლებს, მკვლელობას გადააბრალებენ -შთელ სომებს ხალხს... ალსლვებიან აჭარლები და იარაღით ამოხოცვენ სომხებს. გესმით? რა კარგი იქნება, აირევა მონასტერი. ვინ მოვნახოთ? მოინახება ერთი კაცი, რომელიც ერთი ოქროსათვის მოჰკლავს კაცს. ჩვენ

მას... თუ იქნოს ვაჩუქებთ... და შავრაზმელებმა დაიქირავეს ვიღაც ვიგრძელებით დარა სომხეთი შემედებების მოსაკლავად.

1907 წლის 17 აგვისტოს წყნარი საღამოა. მემედი დასეირნობს ბულვარში. უცემ ვიღაც ბუჩქებიდან გამოვარდება ბებუთით ხელში და მაიჭრება მემედთან, სწრაფად ორ-სამჯერ დარტყამს დანას. მემედი ვანღონით საგვა ახალგაზრდა იყო და ბოროტგანშერახველი შეიძყრო, შეთოვა და იქვე ვიღაცას პოლიცია მოახმობინა.

მემედი სავადმყოფოში მოათავსეს.

ერთმა მეორეს უთხრა, მეორე მესამეს... და ასე მთელ საქართველოს მოედო მემედბეგის დაჭრის ამბავი.

ლელავდნენ მემედის ნათესავები, ახლობლები.

ლელავდნენ ქალაქში ნაცნობები.

ლელავდნენ ის აჭარლები, რომლებიც მემედს იცნობდნენ და ეთაყვანებოდნენ, როგორც აჭარის გამოჩენილ და განათლებულ კაცებს, რომელსც ბევრი სიკეთე დაუთვისია.

აჩხარუნდნენ ხანგლები.

აჩხაკუნდნენ მაჭახლები.

აგერ ვიღაცამ ჭუჩაში სომხეთი დაჭრა და ვაიქცა.

აგერ ვიღაცამ ღამით კარზე დაიყაულნა და, კარი რომ არ გაუღეს, შეიგინა და დაემუქრა: მე მემედბეგის კაცი ვარ, სისხლი უნდა აკილო დღეს დაჟემალები, ხვალ საღ წამითვალო.

აგერ ერთი შუახნის სომხეთი ასე სცემეს, რომ გონზე ვეღაპ მოიყვანეს და სავადმყოფოში შაიყვანეს ფაიტონით. იქ გარდაიცვალა. ყოველდღე რაღაც ძნციდენტი ხდება. თუკი მემედს რაიმე მოუვა, ყველა სომხეთის ოჯახს გადავწრვაცთო... მემედმა ამის შესახებ არაფერი იცოდა.

მემედს გამოყეოთხის პირი უჩანდა.

ერთ დღეს საავადმყოფოს ერთი დარბაისელი სომხეთი ქალი მიაღვა. მემედბეგის ნახვა მინდაო. მემედის ნათესავები არ უშვებდნენ, მაგრამ მიეძალა ქალი. მაშინ მემედს უთხრეს, ერთ, ვიღაც შუახნის სომხეთი ქალი შენი ნახვა უნდაო. შემოუშვითო, ბრძანა მემედმა. შეუშვეს. მოეხვაა დაჭრილს, ფრთა, ზრდილობიანად მოიკითხა. მემედმა ქალის შეწუხებული სახე რომ ნახა, ჰეითხა, რა გაღარდებსო. მაშინ სომხეთი ქალმა უამზო ყოველი. მემედმა დააიმედა:

— თქვენ წაბრძანდით, ნუ იდარდებთ. მე ახლავე ზომებს მივიღებ. ვიქრობ, აწ აღარაფერი მოხდება.

ქალმა მაღლობა უთხრა და დაემუშვილობა. მემედმა უმაღვე ჭოიხმო თავისიანები და სთხოვა, მშვიდობა ჩამოეგდოთ აჭარლებსა და სომხებს ჰორის. ეს რასაც ნიშნავდა, იცოდნენ თავისიანებმა და ჭმალვე შეუდწენ შემედის თხოვნით ასრულებას.

— მეც მომაკითხეს სახლში, — თქვა მამაჩემმა. — ჩვენ სამწრო შემაშვილები შეიარაღებულნი დავდიოდით და მუქარის ვუთვლიდგი შემაშვილების: — ვაი თქვენ დღეს, თუ მემედბეგს რაიმე მოუვა. — ვერ გვაჩერებლნენ სახლში, სისხლის აღება გვინდოლა, მაგრამ, მემედის ახლო კაცებმა მოგვაითხეს სახლში და გვითხრება: ხელი არავის ახლოთ, არავინ არც გალახოთ, არც დაჭრათ და არც მოპელათო. ეს თვითონ მემედბეგის თხოვნაა და მისი ხათრი ხომ გაქვთო. მემედბეგი უკვე კარგადაა, მალე გამოვა მავადმყოფოდანო... და ჩვენც ხელი ავიღეთ შურისძიებაზე.

მართლაც შემდეგ არავინ არცა. მოუკლავთ და არცა დაუჭრიათ.

მემედბეგი მალე განიკურნა და კვლავ ჩვეული სიღარბაისლით და აბიჯებდა მშობლიურ ქალაქში.

### ა მ გ ა ვ ი მ ე თ ვ რ თ მ ე ტ ე

დიდი ინციდენტი ანუ ძმათა სისხლი. ესეც ძეველი ამბავია, მაგრამ უნდა გიამბოთ იმიტომ, რომ აქ ადრევე იყო რევოლუციური კომიტეტი და იგი იმთავითვე დაკავშირებული იყო ხალხთან — მუშებთან და ღარიბ ვლეხებთან. მას წითელი დროშა ეჭირა ხელში და ეძიებდა ხალხის თვის სუფლებას, ეძიებდა და ვერ პოულობდა, მაგრამ იმედს უნერგავდა ხალხს — დადგებაო ეს დღეც, ჩვენს ქუჩაზეც იქნებაო გაზაფხული. მას სრევნიდნენ, ემუქრებოდნენ, სტანცავდნენ, კატორლაში გზავნიდნენ, მაგრამ ვერაფერი დააკლეს. ის ჰგავდა ისეთ ზოაპრულ პურის მარცვალს, რომელსაც ბოროტნი სპობლნენ და ვერ მოსპეს... და მე მაგონდება დიღი შოტლანდიელი პოეტის რბერტი ბერნსის შესანიშნავი ბალადა „ქერის მარცვალი ჭონი“. ვინ არ ეცადა მოესპო ქერის მარცვალი ჭონი, მაგრამ არა, ვერ მოსპეს, იგი მაინც თავს იჩენდა სადღაც, იგი მაინც ცოცხლობდა. ამიტომ ამბობს პოეტი ნიშნისმიგებით:

ჭონის სისხლს ძალა ფიცხელი  
არ დაუკარგავს დღესაც,  
მხნეობას წერგავს, დარღს აქრობს,  
გულში სიხარულს თესავს.

ბათუმის კომიტეტი ცოცხლობდა, მუშაობდა და მუშათა გულებში ანთებდა რევოლუციის ხანდარს, რომ გაეგოთ მუშებს ვინ იყო მათი მტერი და როგორ უნდა ებრძოლათ, რა უნდა გაეკეთებინათ. „შეიარაღებაა სპოლოოდ ჩვენი მხსნელი!“ გაისმოდა მისი ომაჩიანი ხმა.

მაშ, გიამბობთ ერთ ამბავს, სისხლი რომ დაიღვარა, მართალ ადამიანთა სისხლი. ხომ იცით ჩვენს ქალაქს გარეთ ძმათა სასაფლაო?



— კი ვიცით, კი, — თქვა ქიბარალამ.

— პოდა, ის ამბავი მინდა მოგითხოთ, რატომ დაიღვარა სისტემა და ვინ ამოულიტა ისინი, რომლებსაც აქ უდევთ ძმათა სასაფლაო, დღე-საც რომ სასოებით იგონებენ და ყვავილებს აყრიან. არა, მე კი არა ვარ მთქმელი ამისა, მე წამოვეშველებით ხოლმე ერთ ძალზე მოხუც რევოლუციონერს, რომელიც აგრე ახლო სოფელში ცხოვრობს, ჰყავს შვილებიც, შვილიშვილებიც. ვინ არის იგი? მას ბუხუტია მესტვირეს ეძახიან. ერთ-ხელ გაზეთის რედაქტიამ დამავალა, მენახა ბუხუტია მესტვირე და გაზეთისათვის დამწერა მოზრდილი ნარკვევი. დიახ, ვნახე ბუხუტია მესტვირე და კილეც დაწერე ნარკვევი, რომელიც დაიბეჭდა გაზეთში ასეთი სათაურით: „ჩემი ქალაქი და ბუხუტია მესტვირე“.

— ბუხუტია?! — გაკვირვებით წარმოთქვა ქიბარალამ, — მე რომ ქარხანაში დავიწყე მუშაობა კოწიას წაქეზებით, მაშინ ჩემთან მუშაობდა ბუხუტია. მე კარგად ვიცნობ მას. ბევრი ამბავი გადაგვხვდენია.

— მეც კარგად ვიცნობ. შენს ბინაზე ხშირად მოღიოდა მამაჩემო, უაკიდევ... — თქვა ქაზიმ მეჩონგურემ.

— რომელი წელი იყო, ხომ არ გახსოვთ?

იფიქრა, იფიქრა ქიბარალამ, ბოლოს ასწია თავი და ორჭოფულად თქვა: მგონი 1918 წელი.

— პოდა, მე ბუხუტია მესტვირეს ნამბობს გეტყვით. ხან მეც წამვეშველები. მას ხომ ყველაფერი არ ახსოვს, მე კი ბევრი რამ წამიერთხავს ჩვენი ქალაქის რევოლუციური წარსულიდან, ჩვენი მოზრდილი არქივიც გადავქერე და რაც მინდოდა ყველაფერი ამოვაწერა. წავიდითხე წიგნებიც. ასე რომ, იმდენი მასალა დამიგროვდა, ნარკვევების ერთ მოზრდილ წიგნს დაწერ... ალბათ დაგაინტერესებთ თუ საიდან ჩამოვიდან ვენს ქალაქში ბუხუტია მესტვირე.

— რავი სტვირი ჰყავარებია, რაჭველი იქნება, სტვირი რაჭველებს უყვართ, — თქვა სულო ბიძიამ.

— არა, — თქვა ქიბარალამ.

— არა, სულო ბიძია, იგი სუფსელი გლეხის შვილია. მე ვკითხე ბუხუტი ბიძიას, ვინ გასწავლა სტვირის დაკვრა გურულ კაცს, გურიაში ხომ სტვირს არ ეტანებიან-მეტენ. აი, რა მიამბო ბუხუტია მესტვირემ:

— ვინ მასწავლა და მამაჩემმა. — თქვა, ჩაფიქრდა და მერე უარყო მისივე სიტყვა. — არა, რაჭველმა მესტვირემ გიორგიმ მაქტავლა. თვე-თონ დურგალი იყო, ჩვენს სოფელში ჩამოღიოდა სამუშაოს საშოვნელად. დურგალი იყო, მაგრამ სტვირსაც თან დაატარებდა. რატომლაც მამაჩემი და ჩვენი ოჯახი შეიყვარა და ბიძას. ჩვენთან იდებდა, საღამობით სუფრას რომ გავშლილით და ორ-სამ ჭიქა ლვინოს მოვწრუპავდით, მამაჩემი უტყოდა გიორგი ბიძიას, — ახლა ჩაუბერე შენს სტვირსო. ისიც მომარ-

თავდა სტვირს და ჩაუბერავდა, ჩაუბერავდა და მერე როგორ! უკრიფან  
და თანაც მღეროდა. სულ სიყვარულზე მღეროდა ლექსებს. მთლიანი აკადემიური  
ლგაზრდა არ იყო, მაგრამ ეტყობოდა, ვიღაც უვარდა, გული ეთუთქე-  
შოდა, თუმცა საიდუმლოს არავის უმხელდა. დედაჩემს ეცოდებოდა და  
მამას თხვე, მარტო რო დარჩებით, ერთი პეიონე მავ. ოჯახშენებულს;  
ასე დარდიან ლექსებს რატომ მღერისო. ლექსებს თვითონ თხზავდა,  
მოშაირეც იყო. მამამ მარტოდ რომ დაიხელთა, პეიონა კოდეც, გონივრ  
შიძიას, არ დაუმალავს, უამბირა. თურმე მეზობელი სოფლის ვოკო შეკ-  
ვარებია, ქალიშვილის მამა შეძლებული კაცი ყოფილი, თანაც მთავრო-  
ბაშიც სახელიანი. ელჩი რომ მიუგზავნა, სისაცილოდ არ ეყო: რაო, მაგ  
ბაღლინგოიყნს ჩემს გოგოს მივცემ და სიძედ მივიღებ, მერე საღ გამოვ-  
ყო თავი, წადით ძევდან, დამეკარგეთო, უთქვამს ელჩისათვის და თან  
დაუბარებია, მეორეჯერ ასეთი რამეს გაფიქრებიც კი არ გაბედოსო, თო-  
რემ... იმ დღიდან გოგო სახლში ჩაეკეტა, მერე თავის ნებაზე გაათხოვა.  
ჯულმოკლული გიორგი იმის შემდეგ არავის ჟყვარობს. უყვარს მხოლოდ  
ის ერთი, მშეხა. მისი სულიერ კი სხვის მქლაბზე წევს და ვინ იცის რას  
ფიქრობს. „იქნებ მიგონებს კიდეც, იქნებ ტირის კიდეც“, გაივლება  
ჭულში და ქვითინი აუვარდებოდა. ჰოდა, დედაჩემმა ეს რომ გიგო,  
იტირა და იტირა, ებრალებოდა სიყვარულით გულდამწვარი გიორგი.

მამაჩემს ჩონგური უყვარდა და კარგდაც უკრავდა. ახლა სტვირის  
დაჭრა მოესურება და გიორგის თხვე, მე ჩონგურს გასწავლი, შენ სტვი-  
რი მასწავლეო. კარგით, უთხრა გიორგიმ. მამამ მას ჩონგური ასწავლა და  
კიდეც აჩუქა ჩონგური, ჩემდა სახსოვრად გქონდესო. გიორგი ბიძრებ  
სტვირის დაკვრა ასწავლა მამაჩემს და სტვირიც აჩუქა, მამაჩემთან ერთავ  
მეც გსწავლობდი სტვირის დაკვრას და ისე შემიყვარდა სტვირი, რომ  
ჩონგურს მეტაზინა. მეზობლები თავს რომ შეიყრიდნენ ჩვენს ქვემო მა-  
ნდორზე, საღაც დიდი წიფლის ხე იდგა, მე დამიძახებდნენ, სტვირი ჩა-  
მოიტანე და გაგვამხიარულეო. მეც დიდი სიამოვნებით ვასრულებდი მე-  
ზობლების თხოვნას, გით უმეტეს, რომ მამაჩემიც მაქეზებდა — ჩაუბჯ-  
რეო. ჩემო ჯემალ, კარგა რომ წამოვიზარდე, ერთმა ჩემმა მეზობელმა  
კვალისტრატემ, რომლის შვილი ყაისარა ბათუმში მუშაობდა ქარხანაში,  
მამაჩემს უთხრა:

— ხომ ხედავ, რა გაშირვებაა სოფელში, კაპიტან ვერ იშოგი. გააყო-  
ლე შენი ბუხუტია ყაისარას, მასთან ქარხანაში დააწყებინებს მუშაობა  
და თრ კაპიტანაც იშოვის, ცოტას ხელს მოგიმართოვს...

— აბა, რა, აბა რა. აუცილებლად გავაყოლებ, აუცილებლად. ყაის-  
არა, ბიჭო, ბინა? — პეიონა მამაჩემმა ყაისარას.

— მაგი ნუ გადარდებს ჩემთ ბიძია, გინდ ბარაქებში დავაბინავებს!

ვიწდი ჩემთან იყოს ნაქირავებ ბინაში. პო, ჯობია, ჩემთან იყოს,

უთხრა ყაისარაშ და გულკეთილად გაიღიმა.

ყაისარამ ჩიმიყვანა ბათუშში და მასთან, შანთაშევის ქარხანაში დამა-  
წყებინა მუშაობა (ის ცხონებული შარშან გარდაიცვალა). ხე-ტყას, სახერხ  
საამქროში განმაწესეს. ერთ კვირას ყაისარასთან ვათევდი დამეს, ხოლო  
შერე ბარავებში გადავედი, მერე ჩემი გულა-სტვირიც ჩიმოვიტანე და სა-  
ლამობით მუშებს ვამხიარულებდი. სიყვარულით ბუხუტია-შესტვირე  
შემარქეს.

— ბატონი ბუხუტი, რას აკეთებდი მაშინ, როცა მეფე ნიკოლოზ  
მეორემ ომი დაიწყო იაპონიასთან? არა, მე ვიცი წიგნებით, მე მინდა შენ  
მიამბორ ერთი სიტყვით, იმ წლების ამბებიდან რა გახსოვს?

ბუხუტიმ ერთი ჩახველა, დაფიქრდა და დაიწყო...

# 1

— პირველ დღეებში ყველაფერი მეუცხოვა, მაგრამ მალე შევეჩვიყ,  
ასი უზრი გამოვიბი, გონება გამომიფხიზლდა. ერთ დღეს ჩემთან ქარხა-  
ნაში კაცი მოვიდა, სფუბარი უნდა ჩავატაროო. ვინ არის მეთქი და მიპასუ-  
ჭეს, ქალაქის კომიტეტიდანაა, პროპაგანდისტია. შესვენებისას ამდე-  
ნიმე წუთით თავი მოვიყარა და ვესუბრა: ვინ არის კაპიტალისტი, ვინ  
არის მუშა, რა წინააღმდეგობანია მათ შორის, რა უნდა ვაჭროთ და  
ა. შ. ეს კაცი ხშირად დადიოდა ქარხანაში და ხშირადც გვესუბრებო-  
და. მე რაღაც თვალში მოვხვდი და ერთ დღეს ხამუშაოს შემდევ თან წა-  
მიყვანი. თურმე რევოლუციურ კომიტეტში არ უნდა მიმიყვანოს! თურმე  
რაღაც-რაღაცეები უნდა დამავალონ. პორა, იმ დღიდან კომიტეტში ხში-  
რად მიძხებდნენ, მეც დავდიოდი და ხალისით ვასრულებდი ყველაფერს,  
რასაც კი დამავალებდნენ. კომიტეტი არალეგალურად მუშაობდა. კომი-  
ტეტს ჭავდა პროპაგანდისტები, თითოეულ პროპაგანდისტს ჰყავდა რა-  
მდენიმე ჯგუფი სხვადასხვა ქარხანაში და კომიტეტის დავალებით ეწეო-  
და ავიტაცია-პროპაგანდის მუშათა შორის. ო, რა მიმზიდველი პროპაგა-  
ნდისტები იყვნენ! კომიტეტთან შექმნილი იყო პროპაგანდისტთა ჯგუფი,  
შადაც აშეცადინებდნენ პროპაგანდისტებს ძალიან განათლებული რევო-  
ლუციონერები. კომიტეტს შექმნდა არალეგალური სტამბაც, სადაც იქ-  
ვდებოდა ფურცლები, პროკლამაციები სამ ენაზე: რუსულად, ქართულად,  
და სომხურად. ერთხელ მე დამავალეს პროკლამაციის გატანა და დარიგე-  
ბა ჩვენს ქარხანაში. ყველაფერს სიფრთხილით ვაჭროთებდი, მაგრამ ერთ-  
ხელ კინალამ პოლიციას ჩავუკარდი სელში. ბარგივით ბოსხაში გამოკრუ-  
ლი მიმქონდა და ერთ-ერთი ქუჩის მოსახვევში ორ პოლიციელს არ შე-  
ვეჩხება!..

— ჰეი, შენ, რა გაქვს მაგ ბოხჩაში?

- არაფერი, ჩემი ტანისამოსი.
- საღაური ხარ?
- სოფლიდან ვარ, მგზავრი ვარ.
- აბა, გაჩერიცე, — უთხრა მეგობარს. მე გაჭერა დავაპირე და გავიძეო კიდეც.

— გაჩერდი თუ არა, გესვრი. გაჩერდი თუ არა, გესვრი! — ჰყვიროდა პოლიციელი, მაგრამ მე შევვარდი ეზოში, იქ გასასვლელი ვიპოვე, მერე ქუჩაში გავვარდი და მერე იქიდან მოვცოცხე და მოვცოცხე. გავაშწარი, ძლივს გავაშწარი, თორემ არ დავიღუპებოდა! პროკლამაციები ქარხანაში მივიტანე დილით და ისე დავფანტე ყველგან, არავის დავუნახივარ. მერე ის ფურცლები მუშებმა აიტაცეს, ვისაც კითხვა შეეძლო, კითხულობდა, ვისაც არა, სხვას უშმენდა. მეც მკითხეს, ვინ მოიტანაო, მაგრამ ვდუმდი, არ ვიცი მეტე. პროკლამაცია მოუწოდებდა ყველა ერის მუშას, ერთობლივად ებრძოლათ კაპიტალისტებისა და ცარიზმის წინააღმდეგ.

— ახლა მეც წამოვეშველები ბუხუტია მესტვირეს. პოლიციის არქივში ინახება ასეთი ცნობა: 1903 წლის 27 ნოემბერს ბათუმის ვაგზალში უანდარმერიის უნტერ-ოფიცერმა დააკავა უცნობი კაცი, რომელსაც გაჩერეკის დროს ჩემოდანსა და კალათში აღმოაჩნდა ათას ფურცელზე მეტი პროკლამაცია სამ ენაზე: — რუსული, ქართული და სომხური. მაგრავის უცნობი კაცი ისეთი გაქნილი ვინმე ყოფილა, რომ ოფიცერს ხელიდან დაუძვრა და მიიმალა.

— ასეთი შემთხვევები ხშირად ხდებოდა, — თქვა ბუხუტია მესტვარემ. — ასე, მაგალითად, ჩემს თვალშინ პოლიციელმა ვაგონში შეამჩნა ძველი ჩემოდანი, ეცა და გახსნა. მასში აღმოაჩნდა ბროშურები, გაზეთები — „პროლეტარიატის ბრძოლა“. ყველაფერი ეს კეთდებოდა ბათუმის რევოლუციური კომიტეტის და გურიის კომიტეტის ხელით, ერთობლივად. პროკლამაციები იბეჭდებოდა სადღაც სარდაფებში, ხოლო შემდეგ მტრედებივით მიფრინავდნენ ჯარში, მახლობელ სოფლებში, გურიაში.

ჩვენი კომიტეტი თანდათან ტოტდებოდა და იფოთლებოდა, იზრდებოდა, სოფლებშიც იდგამდა ფესვებს. — სოფელ ნაინგლისევში რომ ჯგუფი ჩამოაყალიბა ჩვენმა კომიტეტმა, სათავეში ჩაუყენა ბობოვგათელი სულეიმან მანელიშვილი. ასეთი ჯგუფები სად არ იქმნებოდა. ერთ დღეს ამ ჯგუფებმა გადაწყვეტეს სოფელ მოცვნარში მიტინგის მოწვევა და მოიწვიეს კიდეც. ხუთასამდე გლეხი დაესწრო ამ შეკრებას, შათუმიდან ერწრებოდნენ მუშებიც, მათ შორის მეც ვიყავი, მე ბუხუტია მესტვირე. ორა ცეცხლი დაანთეს ორატორებმა! უტევდნენ მემამულეებს. ღელავდნენ ღარიბი გლეხები, ლამის იარაღით შებმოდნენ მოძალადეთ. მიტინგმა მა-

იღვია საქონი გადაწყვეტილება: მემამულეებისათვის გადაეხადათ მოსავლის  
მხოლოდ მეათედი, ჩამოერთვათ ტყე, საძოვრები.

ამ მიტინგის ამბავი გაიგო ქუთაისის გუბერნატორმა სმაგინმა და  
ნატანებში ჩამოვიდა პოლიციელებით. მიიკითხ-მოიკითხა და გამცემიც  
აღმოჩნდა. ეს იყო თავადი გურიელი. დააპატიმრეს რამდენიმე გლეხი,  
რომლებიც მოთავეებად ცნეს. მაგრამ იმ გურიელსაც არ დაადგა კაი დღე.  
მისი თავიდან მოშორება უცილებელი იყო და მოშორეს კიდეც. უინ  
მოკლა, მიდი და გაიგე. თავადი კი მიწას მიებარა, და...

ასევე კომიტეტის აგიტატორები მოქმედებდნენ ზემო და ქვემო. აჭა-  
რაში. ღარიბ აჭარლებს აიმედებდნენ და გაბედულებას ნერგავლნენ მათ-  
ში, რომ წინ აღდგომოდნენ აღა-ბეგებს, არ გადაეხადათ მათთვის გადასა-  
ხადი, ჩამოერთვათ მიწები და დაენაშილებინათ ღარიბებს. მაგრამ ყვე-  
ლაფერი ეს ერთ დღეს არ გაკეთდება, კეთილი ასე აღვილად როდი იმა-  
რჩევებს. ხომ ხედავ, ჯემალ, ქაჭეთის ციხის დალეშვას და წესტან-დარეჯა-  
ნის გამოსხსნას რამდენი ამბავი დასჭირდა, რამდენი კაცის სისხლი დაიღ-  
ვარა! ასე იღვრებოდა რევოლუციონერების სისხლიც, მუშების სისხლი.  
რაც მინახავს, რაც გადამხდენია, ყველა ამის მოყოლა ძალიან გამიჭირ-  
დება, მექსიერება მღალატობს, ჩემო ჯემალ. შენ ნაკითხი კაცი ხარ, და  
ვიცი წამომეშველები, მაგრამ მთავარს მაინც გეტყვი. წათქვამია, მთავარ  
ჯაჭვს უნდა ჩასჭიდონ ხელი და დასძრა, ხოლო დანარჩენი მას მოჰყვებაო.

— მართალი ხარ ბუხუტი ბაბუა, მართალი. შენ რაც გინდა ის მიამ-  
ბე; თუ რამ შეაკლდება შენს ნათქვამს, მე წამოგეხმარები, მე, — ვუთ-  
ხარი მოხუცს. ენაწყლიანი მოხუცი ნელ-ნელა განაგრძობდა ამბავს. გინა-  
ხავთ კამეჩი რომ წევს და ზანტად იცოხნის? ასეც ბუხუტია მესტვირე,  
სულ არ ჩქარობდა, არც მე ვჩქარობდი, იმ დღეს თუ ვერ მოვასწრებდი,  
ხვალ, ზეგ, შემოვივლიდი. მერე და პატარძალმა ცხელ-ცხელი ხაჭაპურე-  
ბი შემოტანა, ჭაჭის არაყიც თან მოაყოლა. ბუხუტიამ დასხა და ჭიქა-  
მომაწოდა, აჭა, დალიეო. მანვე დააყოლა სადღეგრძელოც: — ეს გაუმა-  
რჯოს დღევანდელ ჩვენს ბედნიერ დღეებს, მშვიდობიან დღეებს, იმედით.  
სავსე დღეებს — თქვა და გადაპყრა. წარბიც არ შეუხამხამებია. მე რომ  
გადავკარი, ყელში ცეცხლი მომიკიდა და კინაღამ შევხტი, მაგრამ თავი-  
როგორლაც შევიკავე. მეორე სადღეგრძელოთ ადღეგრძელა თხუთმეტა  
მოკლული ამხანგი, რომელთაც რევოლუციისათვის თავგანწირულნი-  
უნდა. მერე მოგიყვები მათ ამბავს. მესამე სადღეგრძელოში აღლე-  
გრძელა რევოლუციონერი ქალები, მოიგონა დესპინე შაფათავა და კატო-  
ვალიანი.

”

— შენ კი გეცოდინება დესპინეც და კატოც. — განაგრძო ბუხუტია,  
მესტვირემ, — ჩვენი სახელოვანი ქალები იყვნენ. კატომ დიდხანს იცოცხ-  
ლა, იგი მოესწრო ოქტომბრის რევოლუციას. დესპინე აღრე მიიცვალა. რა-

კარგი ქალი იყო! აი, რაც ვიცი, გეტივი. გურული იყო. ბათუმში ჩამოიყავა  
ნა მძმა რევოლუციონერმა ძმამ მათე რუსიძემ. მათეს ბინაში კომიტეტს  
გახსნილი პეტრი არალეგალური პატარა სტამბა, საღაც იბეჭდებოდა ფუ-  
რცლები, პროელამაციები. დესპინე შეუყვარდა რევოლუციონერ ივანე  
შავათავას და კიდეც იქორწინეს. ამის შემდევ დესპინე გახდა ყველას მა-  
რჯვენა ხელი. უყვარდა კითხვა და კითხულობდა პოლიტიკურ ლიტერა-  
ტურას. კარგი რევოლუციონერიც დადგა. კომიტეტი მას ივალებდა ქალთა  
შორის აგიტაცია-პროპაგანდას და ისიც თავს არ ზოგავდა, ფათერაკს არ  
უშინდებოდა. დამიჭერენ? კატორლაში გამგზავნიან? აპა, მზად ვარ, არც  
შეფის შიში მაქეს და არც მასი არამზადა უანდარმეტისო, იტყოდა ხოლ-  
მე დესპინე. მას ჰყავდა მშვენიერი ამხანაგი ქალები მაგდანა მგელაძე და  
ოლღა კოხტეიძე. ისინი ავრცელებდნენ არალეგალურ ლიტერატურას აქ  
და დასავლეთ საქართველოშიც. დესპინეს სახლში თავს აფარებდნენ რე-  
ვოლუციონერები. მე აღტაცებული ვიყავი, როცა მუშათა კრებებზე დეს-  
პინე გამოდიოდა. რა დინჯად, რა მოხდენილად და დამაჯერებლად ლაპა-  
რაკობდა!

გამცემი კაცსაც გასწირავს და ქალსაც. დესპინე გამცემში არაერთხელ  
დაასმინა უანდარმერიასთან. იბარებდნენ და იბარებდნენ პოლიციაშ-  
მეცარად ეპყრობოდნენ. დაკითხების დროს დანითაც კი დასტრეს, მაგრავ  
ვერაფერი ათქმევინეს. ადრე გარდაიცვალა, 1904 წლის ზამთარში. მე კა-  
რგად მახსოვეს ის დღე. სასაფლაოზე ათას კაცამდე შეგროვდა. დასაფლა-  
ვების შემდეგ გაიმართა მიტინგი. ვინ რა თქვა და ვინ რა.

— შენ რა სოჭვი ბატონო ბუხტია, შენც ხომ იქ იყავი. — და მე  
თვალებში ჩავაცერდი.

— მე, ჩემო ჯემალ, სტვირიც თან მქონდა. მიტინგის ერთ-ერთმა თა-  
ვიძაშმა მითხრა, აბა ჩაუბერეო შენს გურას. და მეც ჩაუბერე და დავა-  
ლერე. ჩემს სიმღერას ბანს აძლევდნენ სხვები.

— მაინც რა თქვი ბატონო ბუხტი?

— აი, რა:

დიდება, დიდება რევოლუციას,  
დიდება მისთვის თავდადებულებს,  
დიდება დესპინე შავათავას,  
დიდება რევოლუციისათვის დაცემულს ყველას,  
ძირს თვითმშერობელობა!

— ძირს თვითმშერობელობა! — ეს ქალის ხმა იყო. მივიხედვ და  
ევდოკია ფირცხალაიშვილი შევნიშნე, აქამდე რომ არ მინახავს. ო, შესა-  
ნიშნავი რევოლუციონერი იყო. საიდანღაც სტრაჟნიკები მოგვეპარენ  
და გვესროლეს კიდეც. ჩვენ უმალვე გავიფანტენით.

— როგორ არა. რაკი კატო ვახსენე, მასზე გეტყვი ცოტა რამეს. ძალიან მამაცი ქალი იყო კატო ავალიანი. იგი ბათუმში ჩამოვიდა ქუთაა-ჭიდან. მახსოვს, კარგად მახსოვს მარტის გაფიცვები... და ჩვენს გვერდით კატო. უშიშარი ქალი იყო, რა დავალებას არ შეასრულებდა, ვერ მოახე-რხებდა თუ რა, შეშრინდებოდა თუ რა. ამიტომაც ხშირად აპატიმრებდნენ. ბოლოს კატორდაში გაგზავნეს, იქნებ „მორჯულდესო“, მაგრამ არა. იგი ბოლომდე რევოლუციის ერთგული დარჩა. ბოროტზე კეთილის გამარ-ჯვებასაც მოესწრო. ფაშიზმშე ჩვენს გამარჯვებასაც მოესწრო... და ივი მიიცვალა 1951 წელს ქალაქ თბილისს. ცხონება მის სულს. მის დასაუ-ლავებას მეც დავესწარი. აქაც კაი კაცი იყო, იქაც წათელი დაადგესო, რომ იტყვიან, სწორედ კატოზე ითქმის.

რაკი კომიტეტთან ახლოს ვიყავი, ვინ არ გავიცანი. კიდევ გვყავდა მამაცი რევოლუციონერი ქალები — რახილ კალანდაძე, მართა რამიშვი-ლი, მინადორა გორგილაძე და სხვები. აბა, ეს ამ მამაცი ქალების საღლე-გრძელო იყოს.

— იყოს, — დავუდასტურე მე, ერთი-ორი სიტყვით რევოლუციო-ნერი ქალები ვალიდე და გადავყარი. — მაგარი ჭაჭა, გულში ცეცხლად მომეტილა, — წამომცდა მე.

— ყველაფერი მაგარი კარგია, ულელიც, ტაბიკიც, გუთანიც და გუ-თნის დედაც, — თქვა ღიმილით ბუხუტია მესტვირემ და თან დასძინა — პატარ-პატარა მოწრუპე, მე ხომ არ გაძალებ; აი, ხომ ხედავ, მე წვეთწვე-თობით ვსვამ.

— დღეს ამით მოვათავოთ ბატონო ბუხუტი, თქვენ დაიღალეთ. ხვალ კიდევ მოვალ, — კარგი? — და თვალებში ჩავაცქერდი.

— კარგი, ჩემო ჯემალ, კარგი. თხუთმეტი მოკლული ძმის ამბავს ხვალ მოგიყვები. იმ დღეს სისხლიან დღეს უწოდებენ და ბათუმის რე-ფოლუციური მოძრაობის ისტორიაში სისხლითაა ჩაწერილი. აქ ბევრი რამ მოხდა, ბევრი რამ მახსოვს, მაგრამ ისეთი! თხუთმეტი კაცის სისხ-ლი დაიღვარა ერთ წამს... და მე ბუხუტია მესტვირე იქ ვიყავი. მეც მტრის ტყვიაზე მკერდი მქონდა მიშვერილი. რას იზამ, რევოლუციის ინტერესები ამას მოითხოვდა. რა რევოლუციონერი ხარ თუ სიკვდილის გეშინია.

მე და ბუხუტია მესტვირე ერთმანეთს დავემშვიდობეთ ხვალემდე. ჭიშკრამდე მიმაცილა და იქიდან მითვალთვალებდა, ვიდრე თვალსაწიერს არ მოვეფარე.

მეორე დღეს დილის თერთმეტ საათზე ვეწვიე ბუხუტია მესტვირეს. ლიმილ-ლიმილით შემიპატიყა სახლში. ბაგჟვები სკოლაში წავიდნენ, შვილები და რძლები სამსახურში, ასე რომ, მხოლოდ მე და შენ ვართ სახლშიო. მერე დაუმატა, საჩქაროდ ხაჭაპურებიც გამოაცხვეს, ქვევრიდან ღვინოც ამოილეს. აპა, აგრე დგას დოქი. დავჭდეთ, ნელ-ნელა ვწრუპოთ ჩემი დაწურული ღვინო და თან ვილაპარაკოთ, ვისაუბროთ, ჩემო ჯემალ.

მე გავუღიმე კეთილ მოხუცს. კვლავ იმავე დარბაზში დაესხედით. ბერიყაცმა აღარ დააყოვნა და განაგრძო გუშინდელი ამბავი.

— მე გუშინ თხუთმეტი მოკლული ამხანაგის საღლეგრძელო დავლიე. ვინ იყვნენ ისინი და რა მოხდა? დიახ, გიამბობ ამის შესახებ, მაგრამ შარაგზას რომ მიჰყები, ხანდახან გზაზე პატარ-პატარა ქვებზეც წამოიკრავ ფეხს. ვერ მიმიხვდი? ვითომ ქარაგმულად ვლაპარაკობ. ვიდრე დიდ ამბავს ვიტყოდე მეთქი, პატარ-პატარა ამბებსაც ჩავრთავ ჩვენს საუბარში.

— აგრე იყოს ჩემო ბუხუტია ბაბუა, შენ როგორც გსურს, რაც მოგავონდება, ყველაფერი მიამბე. ჩემთვის ყოველივე საინტერესოა, — ვუთხარი მე. ალერსის ნიშნად ხელი მკერდზე დამარტყა, ერთი ჩახველა და დაიწყო...

— ერთ ქუჩაზე მიყვარდა გავლა. მე მას „ჩემი ქუჩა“ დავარქვი. აღბათ, მყითხავ, რატომ გიყვარდათ და რომელია ის ქუჩა. აპა, კათოლიკური ეკლესია რომ არის, იმასთან ახლოსაა. იმ სახლში ჩემი გულის ტრფიალი ცაცუნია მეგულებოდა. ექიმის ქალიშვილი იყო. მამამისი, ექიმი ნიკო შაინიძე ქალაქის საავადმყოფოში მსახურობდა. ცაცუნია აფთიაქარად მუშაობდა. არც ის აფთიაქი გახლდათ შორს — ცაცუნიას სახლთან ახლოს იყო. ეს აფთიაქიც მიყვარდა. სად შევხვდი პირველად ცაცუნიას? — ბაღში კვირა დღეს. მოწყენილი იჯდა სკამზე და ჩამავალ მზეს გაჰყურებდა, ისეთი სახე პერნია, შემეცოდა, გული აძიჩეულდა, ლამის ტირილი და ვიწყე. მე გუნებაში ვთქვი, ქალი ხომ არ ვარ, ასე ტყუილად ავტირდეთვალი დავატანე, თვალი ნაზად დამატანა, გავუღიმე, თავი ჩაღუნა. მერე გვერდით მივუჭვი.

— რატომ დაღონებულხართ ქალიშვილო? — ხმა არ გამცა და კვლავ გავუმეორე.

— არაფერი, ისე, — თქვა მორცხვად და თავი ჩაღუნა.

— ჰო, ბოდიში, თუმცა რა ჩემი საქმეა, მე ვინა მყითხავს, მაგრამ დაღონებული რომ გნახე, შემეცოდე. რატომლაც ჩვილი გული მაქვს, — გუთხარი მე. მან გაიღიმა. მერე უცებ თავს წაგვადგა ასე ორმოცი წლის ქალი, დედააო ჩემი.

— გაიცანი დედა, ჩემი ამხანგის ძმაა.

— ბუხუტია კალანდაძე, — ვთქვი მე და ხელი ჩამოვართვი. გოგომ ზომ ჩემი სახელი არ იცოდა და მე კი მისი. დედამ რომ უთხრა მოფერებით, ცაცუნია, ზღვისპირად გავიდეთ შენი ამხანგის ერთადო, წელში გავიმართე, გოგოს სახელი ვისწავლე და ახლა თამამად შემეძლო სახელით მიმერართა მისთვის. ჩვენ ზღვისპირად მივედით და დიდხანს გავყურებდით მზეს, ვიდრე ზღვაში არ ჩაიძირა ის დალოცვილი. ერთხანს ვიარეთ ბაღში და მერე ცაცუნის დედამ ელეონორამ სახლში წასვლა ისურვა. მიგაცილე სახლამდე. ჯერ დედას დავემშვიდობებ და მერე ქალიშვილს, ცაცუნის, დამშვიდობებისას ხელი გამომიწოდა, სელი ხელს რომ გაეკრა, ურუანტელმა დამიარა, გულმა ფანცქალი დამიწყო.

ნახვამდის ყმაშვილო. ზრდილობიანი ყმაშვილი ჩანხარ. არ დაგვივეჭყო, სახლში გვესტუმრეო, მომაძახა ელეონორამ. მაღლობა გადავუხადე და სირბილით გავყევი ქუჩას, თუმცა გული და თვალი უკან მრჩებოდა.

იმ დღიდან დავუახლოვდი იმ ოჯახს. ნიკოლ გავიცანი, მასაც შევაჭვარე თავი. მშობლებს ეგონათ მე და ცაცუნია დიდი სხის ნაცნობები ვიყავით. მოვახერხეთ ტყუილის თქმაც. ასე იყო თუ ისე, მას შემდეგ ცაცუნისა ოჯახში მისვლა აღარ მერიდებოდა, მით უმეტეს, რომ ელეონორაც და ნიკოლ კაცთმოვეარე ადამიანები გამოდგნენ და მე შვილივით მეალერსებოდნენ. თანდათან ისე შევეჩვიო ცაცუნის, უმისოდ ვეღარ ვძლებდი, ყოველდღე ნახვა მინდოდა, მაგრამ განა ყოველდღე მოვიცლიდი?“ იქნებ შემიყვარდა. აბა, რატომ ვერ ვძლებ უმისოდ?“ — ვფიქრობდი მე. გამოუცდელმა ყმაშვილმა აბა რა ვიცოდი სიყვარულისა, ან მან რა იცოდა. პოდა, ბოლოს კი წამომცდა სიტყვა „მიყვარხარ“. არ გაოცებულა, არც უთქვამს, მეც მიყვარხარო, მაგრამ თვალებით მითხრა, მეც მიყვარხარო. და იმ დღიდან თითქოს მთელი ქვეყანა ჩემი იყო, თუმცა რა გამაჩნდა ერთი სტეირის გარდა. „არა, სოფელში ზომი მყავს დედა, მამა, ხომ მაქეს სახლი. რა ვუყოთ, რომ აქ ბარაკებში ვარ, მაგრამ შენ გლეხის შვილს, ღატაკ მუშა ბუხუტიას ექიმი მოგათხოვებს ქალიშვილს?“ ვფიქრობდი და სევდამ ამიტან. ვატყობდი ცაცუნის უმისოდ სიცოცხლე გამიშირდებოდა. ჩემო ჯემალ, ახლა დავანებოთ თავი ჩემს ცაცუნის და სხვა ამბები გავისენოთ, ცაცუნიაც ჩვენთან იქნება, ის არსად არ მიგვატოვებს...

კომიტეტში მიბარებდნენ. პროპაგანდისტმა მითხრა. დამიბარეს და მივედი კიდეც ღამით. ბლომად გამატანეს პროკლამაციები ბარაკებში. ბოხჩაში გამომიკონეს. მხარხე შევიღე და ქუჩაში გამოვედი. ვაგზალს რომ მივუახლოვდი, ვიღაცამ უკანიდან მომაძახა: — ჰეი, გაჩერდი! ვის ჰეონდა გაჩერების თავი და მოვკურჭებლე. ცხენოსანი პოლიციელი იყო და ქუჩაში რომ მევლო, ვერ გავასწრებდი, ამიტომ გადავახტი ღობეს და

ეზოში შევიჭრი. ეზოდან ეზოში გავიჭრი და ცაცუნიას ეზოს არ მიაწერა  
დექი!

— ბიჭო, ბუხუტია, ეს შენა ხარ? — გაოცებით მკითხა.

— დიახ, მე ვარ, უნდა მიშველო, დამმალე საღმე, პოლიციელი მო-  
მდევს, — ჩუჩჩულით ვუთხარი მე. სასწრაფოდ კარი გამიღო და სახლში  
შემიყვანა. ელეონორა სახლში არ იყო და გამეხარდა, ქუთაისში წასუ-  
ლიყო ავადმყოფი ძმის სანახავად. ნიკო კი სასწრაფოდ გამოიძახეს საა-  
ვადმყოფში.

— რა გაქვს ამ ბოლჩაში? — ცნობისმოყვარეობით მკითხა ცაცუნიამ.  
ყველაფერი ვუამბე. მალე ყველა ქარხანაში გაფიცვები დაწყება მეტქა-  
ყველაფერი ვუამბე.

— მერე და შენ ერთმა უნდა არიგო პროკლამაციები ყველგან? და-  
გიჭრენ უბეღურო და კატორლაში გაგისახლებენ. — შეცტუნებული მა-  
ცქეროდა ცაცუნია.

— ვინც რევოლუციას და თავისუფლებას ემსახურება, ივი არც შე-  
უშინდება ფათერაჟის. მე რევოლუციის ჯარისკაცი ვარ და თავიც უნდა  
დავდო ხალხისათვის, თავისუფლებისათვის, — აძაყად ვუთხარი მე. ვი-  
ღია აღადგინდება დააკაცუნა. ხმა აღარ ამოგვიღია. კიდევ რამდენჯერმე დაა-  
ღია დააკაცუნა და მერე ფეხის ხმა შეწყდა. ერთი საათის შემდეგ ექიმი ნიკო მო-  
კაცუნა და მერე ფეხის ხმა შეწყდა. ერთი საათის შემდეგ ექიმი ნიკო მო-  
კაცუნა და მერე ფეხის ხმა შეწყდა. ერთი საათის შემდეგ ექიმი ნიკო მო-  
კაცუნა და მერე ფეხის ხმა შეწყდა. მაგრამ მიმიხვდა. ბორჩა გახსნა  
მოგვიარეო, მე რაღაც მიგჩმახ-მოგჩმახე, მაგრამ მიმიხვდა. ბორჩა გახსნა  
და ერთი ცალი პროკლამაცია ამოიღო. „მუშებო, იარაღს უნდა მოპეიდოთ  
და ხელი დალით უნდა დაამხოთ მოძალადეები!“ ერთი გამომხედა და არ  
გამწყორმია, პირიქით გამიღიმა:

— ყმაწვილო, ძნელი საქმისათვის მოგიქიდია ხელი, სახრჩობელა არ  
აგცდება, მაგრამ ჩვენ რას გვერჩი. პოლიციამ აქ რომ დაგიჭიროს, ციხეში  
ამოგვაყოფინებენ თავს. როგორმე ისე უნდა გახვიდე აქედან, რომ არა-  
ვინ არც შეგნიშნოს, არც პოლიციას შეეჩეხო. მე შენ გასწავლი ბრელ  
ჩიხს... — და ჩვენ წამოვდექით, მიმაცილა ჩიხადე... და მერე გზა დამი-  
ჩიხს... — და ჩვენ წამოვდექით, მოგვინე ფურცლები. მეორე დღეს და-  
ლით კი ქარხანაში ვაფრინე ფურცლები... თურმე ასევე სხვა ქარხანაშიც  
არიგებდნენ პროკლამაციებს და ღელავდა მუშის გული, ღელავდა, რო-  
გორც ქარიშხალში ზღვა. საყოველთაო გაფიცვა იანვარში დაიწყო. ატო-  
რტმანდა ჯერ ბიძონის ქარხანა, ხოლო შემდეგ მანთაშევის ქარხანა. გა-  
ფიცვლები გაიძახოდნენ: ღამით აღარ ვიმუშავებთ. ზრდილობიანად მო-  
გვეპყარით. ჯარიშებს ნუ გვახდევინებთ, ხელფასი გაგვიზარდეთ, შეამ-  
გვეპყარით. სამუშაო დღე, უფასოდ გავვიწიეთ სამედიცინო დახმარებაო. ეს  
ცირეთ სამუშაო დღე, უფასოდ გავვიწიეთ სამედიცინო დახმარებაო. ეს  
კიდევ რაა, გაფიცვლებმა მოითხოვეს, რომ მუშათა წარმომადგენლების  
კიდევ რაა, გაფიცვლებმა მოითხოვეს, რომ მუშათა წარმომადგენლების  
დაუთანხმებლად არც არავინ მიეღოთ ქარხანაში და არც არავინ ვაენ-  
დაუთანხმებლად არც არავინ მიეღოთ ქარხანაში და უარი უთხრა გაფიც-

ლებს, თან პოლიცია გამოიძახა. მოვიდა პოლიციაც. იყო მკაცრი მუქარესი — დაგაპატიმრებთ და ციმბირში გაგასახლებთ, მაგრამ მუშებმა წარმიცარ შეარხიეს, არ შეუშინდნენ პრისტავს. მაშინ პოლიციამ ბევრი გაფიცული დააპატიმრა.

ახლა აღსდგნენ როტშილდისა და აკოპოვის ქარხნები. ამ გაფიცვამ არამარტო აღმინისტრაცია დააფრთხო, არამედ ხელისუფალნიც. ქალაქში გაძლიერდა პატრული, ყოველ საპოლიციო უბანს დამატებით გამოუგზავნეს სალდათები. ბათუმის ციხე-სიმაგრიდან ქარხნებში გაიგზავნა ჯარისკაცები, რომ იქ წესრიგი დაემყარებინათ, მაგრამ არა ეშველა რა. აღმინისტრაციამ არასაიმედოდ ჩათვალა გაფიცულ მუშებთან მორიგება და შთელი რიგი საამქროები დასურა. ამან უფრო აღაშფოთა გაფიცულნი და მოითხოვეს ყველა მუშის სამუშაოზე აღდგენა, გაცდენილი დღეების ანაზღაურება. ისიც მოითხოვეს, რომ ოუკი ვინმე დარჩებოდა უმუშევარი, აენაზღაურებინათ ნახევარი ხელფასი. როტშილდის ქარხნის მუშების გაფიცვა ისეთი ძლიერი იყო, რომ სხვა ქარხნებსაც გადაედო. ბათუმის კომიტეტმა გაფიცულებს ხელში მისცა მოთხოვნა. რა ეწერა ამ ფურცელზე? ის, რომ გაეზარდათ მუშის ხელფასი, აენაზღაურებინათ გაცდენილი დღეები, ზრდილობიანად მოპყრობოდნენ მუშებს.

ჩემო ჭემალ, შენ ალბათ გაგიცვირდება, რას ნიშნავს „ზრდილობიანი მოპყრობა“. არა ერთხელ და ორხელ მინახავს, ჯამბურა ქარხნის მოხელეებ როგორ გაიგდო ფეხქვეშ მუშა სიტყვის შებრუნებისათვის, ლანძღვა-გნება ხომ...

### გაფიცვა გრძელდებოდა.

მარტის ცივი ქარი ჰქილდა ქუჩებში. გაფიცულები შექუჩულ-შექული მიმოდიოდნენ. მეც მათ რიცხვში ვერიე. ვთქვი, საღაც ჩემი ამხანაგებია, მეც იქა.. მოგვდიოდა ამბავი, რომ გაიფიცნენ მემანქანეები, ცეცხლფარეშები, როტშილდის ელექტროგანყოფილების მუშები. უცხოელთა გემები ცარიელნი იდგნენ სანაპიროზე, რაღვან ნავთობს აღარვინ უსხამდა. ეს ამბავი შეატყობინეს ქუთაისის სამხელო გუბერნატორს და თხოვეს. მოგვეშველე, თორებ წავლევავენ მუშებით. სმაგინმა იუქრა, არაუერიც ისეთი საშიშროება არ იქნება, როგორც მწერენო და მისი მოადგილე დრიაგინი გამოგზავნა. იგი ეწვია ბათუმს და კინაღამ გული გაუსკდა — ლამის ეს გაფიცულები იარაღს აისხამენ და ადგილობრივ ხელისუფლებს დაამხობენო. და აფრინა დეპეშა სმაგინთან. ის სულძალიც ჩამოვიდა. და განა მარტო?! ო, რა შავი დღე დააყენა ხალხს! დაემუქრა, თუკი სამუშაოზე არ გამოხვალო, ყველას ციხეში ჩავყრი, ხოლო წინამდობლებს ჩამოვახრჩობო. მაგრამ გაფიცულებმა ფეხიც არ დასრულეს. სმაგინმა მუქარა აღასრულა. უპირველესად მთავარი დამნაშავენი დააპატიმრეს და გადაასახლეს თავიანთ სამშობლოში. „სამშობლოში“ გა

დასახლება რას ნიშნავს ჩემო ჯემალ, იცი? აქ ქალაქში ცხოვრებას უგდეთ  
რძალავდნენ და გაგასახლებდნენ შეს სოფელში, მერე შენოვის ქალაქში  
ჩამოსვლა სახიფათო იყო, გასახლებულებს პოლიცია სდევნიდა... ჰოდა,  
მერე ჩემო ჯემალ, გუბერნატორის ბრძანებით სტრაუნიკები დასხნენ  
მუშათა ბარაკებს, ბევრი დააპატიმრეს.

...და მაშინ სწრაფად შედგა ბათუმის კომიტეტის სხდომა. ეს მე  
ჩენი უბნის პროპაგანდისტმა მიამბო. ჩემთან ძალიან ახლოს იყო, ვუყ-  
ვარდი. რასაც გვეტყოდა, ყველაფერს ვიმახსოვრებდი და მერე ამხანა-  
გებს ვუმეორებდი. ოლფრთოვანებული მეტყოდა იგი — რა ნიჭიერი ხარ,  
შენგან კაი მარქსისტი პროპაგანდისტი გამოვა, ეს კომიტეტშიც ვთქვიო.  
ჰოდა, თურმე გადაწყვიტეს დიდი დემონსტრაციის მოწყობა. ყველგან  
აფრინეს პროპაგანდისტები, ყველას უხსნეს, განუმარტეს რა უნდა გა-  
აქეთონ, როგორ იმოქმედონ. უპირველესად დემონსტრანტებს უნდა მა-  
ეთხოვათ დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლება... და ჩემო ვე-  
მალ, 8 მარტს როტშილდის ქარხნის 600 მუშა მწყობრად დაიძრა ქუჩი-  
საკენ. მიდიოდა და მიირწეოდა დემონსტრანტთა ტალღა. ემატებოდა და  
უმატებოდა ხალხი დემონსტრანტებს. ეს მოტორტმანე ტალღა პოლიციის  
სამართველოს წინ შეჩერდა. ისინი გაიძახოდნენ, გაანთავისუფლეთ ჩვე-  
ნი ამხანაგები, თორემ... მაგრამ პოლიციამ ჯებირი შეაგება ტალღას. მო-  
ვარდა გაცოლებული დრაიგინიც, ვერაფერს გახდა მუქარით... უცებ უფ-  
როსის ბრძანება და... სალდათები შეიჭრნენ ბრძოში, ვინ ხმლით დაჭრეს,  
ვინ კიდევ დანით, მოისმა კვნესა. მერე ცრუშეპირებით, თქვენს ამხანა-  
გებს ახლავე გავათავისუფლებთ, დაწყნარდითო, და ხალხი მირეკე-  
ყაზარმებში. იქ კი ოთხასამდე დემონსტრანტი დააპატიმრეს და ასეული  
მიუყენეს გუშაგად.

...და მოელგარებამ შეიპყრო ბათუმის კომიტეტის წევრები, რა ვა-  
ლონოთო, იმაზე ფიქრობდნენ... ლამით დარახველიდის ბინაში მოიწვიეს  
სხდომა. ჯემალ, ალბათ მკითხავ, ჩემო ჯემალ, თუ ვინ იყო დარახველი-  
შე. კარგი რევოლუციონერი იყო.

— ვიცი, ვიცი ბატონო ბუხუტი, გააგრძელეთ. — და იგი აგრძელებს  
ამჩავს.

— ჰოდა, კომიტეტმა სასწრაფოდ იხმო ყველა თავისი უქრედის წა-  
რმომადგენელი და გაიმართა სხდომა. მეც იქ გახლდით. ილაპარაკეს, იქა-  
მათეს ზა გადაწყვიტეს მეორე დღეს, ესე იგი, 9 მარტს ჩატარებულიყო  
დიდი დემონსტრაცია. დაიტქა შეკრების ადგილიც. მეორე დღეს დილ-  
დან ქარხნებიდან დენა იწყო ხალხმა. მოდიოდნენ როტშილდის, ხაჩატუ-  
რიანის, მათაშვეის, სიდერიდისის, ნობელის და სხვა ქარხნებიდან. მო-  
დიოდნენ და დანიშნულ მოედანზე ჩერდებოდნენ.

მეც იქ გახლდი, ჩემო ჯემალ.

სად იყო და სად არა, ჩემი ცაცუნიაც გამოჩნდა. იგი ალბათ მე მეტად დებდა, მოვიდა ჩემთან და აკანკალებულმა მითხრა:

- წამოდი ჩემთან.
- ვერ წამოვალ, ვერ მივატოვებ ამდენ ხალხს.
- წამოდი ჩემთან ბუხუტია, წამოდი ჩემთან, — ეს ისე მუდარით მითხრა, რომ გული ამიჩუყდა, მაგრამ როგორ მივატოვებდი ამხანაგებს.

— შენი დიდი ხათრი მაქვს, მაგრამ ვერ წამოვალ ჩემო ცაცუნია. შენ წადი სახლში. აქ რაიმე ცუდი არ მოგივიდეს, — ვუთხარი მე და აცრემლებულ თვალებში ჩავჭედე. — შენ კიდეც სტირი, არა! ნუ სტირი ჩემო ცაცუნია, ნუ! — და მე ალერსიანად მოვკიდე ხელი. თითქოს თვალზე ნისლი გადამეფარა და ვერაფერს ვხედავდი, ჩემი ცაცუნია თავისკენ მიზიდავდა. გულს ვეღარ ვიმორჩილებდი. ამ ღროს ხალხის გუგუნმა გამომაფხიზლა. ტალღა ყაზარშებისაკენ დაიძრა სიმღერით, ძახილით, ნაღარით, სტვენით, მე დავშორდი ჩემს ცაცუნიას. გოგო ურთ აღგილას გაშეშებული იდგა და მე მომჩერებოდა. ვინ იცის რას ფიქრობდა ჩემი ცაცუნია.

თურმე ღრიაგინმა ბატალიონი გამოიძახა ჩვენდა გასაჟლეტად. დემონსტრანტებმა პატიმრების განთავისუფლება მოითხოვეს, ღრიაგინმა სასტიკი უარი თქვა. და უბრძანა სალდათებს, დაგვრეოდნენ კონდახებით, არც ჩვენ დავხვდით ჯაბანად და გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. ვერა, ვერ შეძლეს პოლიციამ და სალდათებმა ხალხის გაფანტვა.

„დაბრუნდი, უკან დაბრუნდი ბუხუტია“, — ყურში ტკბილად მეს-მოდა ქალის ხმა. ეს ხმა მეცნო და უკან მივიხედე, მაგრამ ვერსად მოვკარი თვალი ჩემს ცაცუნიას.

რაყი ვერ შეგვაჩერეს, ჯარს უბრძანეს გაესსნა ცეცხლი. გაისმა პირველი ზალბი. ხმა: არ შეშინდეთ! გაისმა მეორე ზალბი, მესამე... დაეცა ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი... ვინ უკან იხევდა, ვინ აღგილზე იყო გახევებული. მე ტალღა ნაფოტივით ხან აქეთ გამისროდა, ხან იქით.

რა მექნა, მეც დავემორჩილე ტალღას.

სროლა..

სროლა..

და კიდევ სროლა...

იღვრება სისხლი, ისმის კვნესა და გოდება. მესმის ქალის საამო ხმა — „ბუხუტია, დაბრუნდი, არ მოგელან!“ გამოვთხიზლდი და აქეთ-იქით ვიყურებოდი, მაგრამ სად არის ჩემი ცაცუნია, იგი არსად ჩანს.

დიახ, ჩემო ჯემალ, იმ დღეს თხუთმეტი კაცი მოვიდლეს, სამოცამდე დასჭრეს, ხოლო თხუთმეტი კაცი დაგვიპატიმრეს. მე როგორ გადავრჩი,

არ ვიცი. სირბილ-სირბილით ჩავიარე ცაცუნის სახლთან. იგი ფაქტორიან  
იჭვრილებოდა.

— ჰეი, ცაცუნია, გამიღე კარები! — მივაძახე მე. ერთი გადმომხედა  
და მომაძახა:

— კი ჩემო ბუხუტია, კი.

კარები გამიღო და მე შევვარდი სახლში. ჩვენ ერთმანეთს გადავეხ-  
ვით. მადლობა ღმერთს, რომ სახლში არავინ იყო, თორემ ვინ მაპატი-  
ებდა ასეთ სითამაშეს...

ბუხუტი ბაბუას რატომლაც ცრემლები მოერია, ცხვირსახოცი ამინ-  
ღო და მოიწმინდა. მე თითქოს არაზერი შემიმჩნევია. იქნებ არ უნდოდა  
ეთქვა, რა იმალებოდა ამ ცრემლებს იქით და რატომ უნდა ჩამეყენებინა-  
უხერხულ მდგომარეობაში.

— მერე, მერე ბატონო ბუხუტი, განაგრძე.

და იგი აგრძელებს სისხლიან აშპავს...

ბათუმის კომიტეტი ფეხზე იღგა, სასწრაფოდ სხდომა მოიწვია. იმს-  
ჯელეს, იკამათეს და დასკვნეს, რომ თორმეტ მარტს დაესაფლავებინათ  
მოკლულები. გამოპყვეს კომისია, დაწერეს, რა უნდა გაეკეთებინათ.

თხუთმეტი ქმის კუბო ერთად დაიდგა მოედანზე. მაგრამ თხუთმეტი  
დღედა კი არა, ათასი დღედა სტიროლა. ხუთი ათასი კაცი შეგროვდა. და-  
ყველას ეცავა შავი. შენს ბუხუტიასაც შავები ეცავა, ჩემი ჯემალ, და სტეი-  
რი ხელში ეჭირა. მე ასე შეიბრძანეს, სტეირიც გვჭირდებერ. ქალები სტა-  
როდნენ, ვაკაცნი გულს მუქარით იოხებდნენ...

და ასე ქალაქს გარეთ დაიძრა დემონსტრაცია. გზის ორივე ნაბირას  
ჯარი იყო ჩაყენებული, მაგრამ სროლას ვინ გაგვიძედავდა.

თხუთმეტი საფლავი გაიჭრა მხარდამხარ.

თხუთმეტი ახალგაზრდა ჩაასვენეს მიწაში.

თხუთმეტ ახალგაზრდას გულზე დაეყარა მიწა.

და აქვე გაიმართა დიდი მიტინგი.

ო, რა სიტყვები იოჭვა!

მტრედივით აფრინდა პროკლამაცია. ეს იყო ბათუმის კომიტეტის  
მიერ გამოშვებული პროკლამაცია, რომელიც ხელში აიტაცა ერთმა შუა-  
ხნის კაცმა და ხმამალლა დაიძახა: სიჩუმე იყოს და გაგონება, მე წავიკა-  
თხავ პროკლამაციას. აი, რას მოგვიწოდებს ჩვენი კომიტეტი: „დიდება  
თქვენ სიმართლისათვის მოკლულნო, დიდება დედებს, რომლებმაც ძუძუ-  
გაწოვეს; დიდება თქვენ, რომ თავი დაიმშვენეთ ეკლის გვირგვინით და  
კვდებოდით ჩურჩულით, მოკანკალე ტუჩებით, დიდება თქვენს აჩრდი-  
ლებს, რომლებიც ირგვლივ გვარტყია და ჩაგვჩურჩულებს ყურში: შუალ  
იძიეთ სისხლისათვის! თქვენ უჩვენეთ ქვეყანას, ვინ არის მუშა, თქვენ

უჩვენეთ ქვეყანას რაოდენი გმირობა და თავგანშირვა იუარება უბედული გმირთა გულში; თქვენ უჩვენეთ უველა კავკასიელ მუშას, რაოდენად აუცილებელია ადამიანური თავისუფლება, ამიტომ თქვენს ხსოვნას ჩვენ გულში მარად შევინახავთ. მშვიდობით ძვირფასო ძმებო! ჩვენ გავცევა იქით გაბზარული გულით თავისუფლების მოსაპოვებლად!”

— ბუხუტიავ, ერთი შენს სტვირსაც ათქმევინე ძმების შესანდობა-რი, წამოიძახა ვიღაცამ და შუაწრეში მიბიძგეს. მეც სამგლოვიარო ხმაზე მოვმართე ჩემი სტვირი და რაც ჩემს გულს უნდოდა, რაც იმათ ვულს უნდოდა, ისა ვთქვი:

თავისუფლებისათვის იბრძოდით ძმებო,  
წითელი დროშა გეჭირათ ხელში,  
ბედნიერებისათვის იბრძოდით ძმებო,  
აღსდექით მერე ამ მარტის თვეში,  
მეც ვიყავ ოქვენთან, მეც ვიყავ ოქვენთან,  
წითელი დროშა მეც მქონდა ხელში.  
ეჰ, ახლა მიწა გაყრიათ გულზე,  
ყველა ტკივილი იღვიძებს ჩემში.  
დღეს თუ დავმარტხდით, ჴე ღვიძლო ძმებო,  
ხვალ გავიმარჯვებთ და დროშებს გავშლით,  
გამარჯვებულნი ჩვენ მივალთ მაშინ,  
მარსელიოზით, სიმღერით, ტაშით.

...და ამ დროს ვიღაცამ დაიგუგუნა „ინტერნაციონალი“. ხმას მიჰყა ხმა და აგუგუნდნენ ხევები, აგუგუნდნენ მთები: ხევს კიდევ ხევება მიებანენ, მთებს მთები და სანატრელი, იმედიანი ხმა აჭარის მთებს მოედო.

„დიდება შენ სანატრელო დღევ! მეც შენთვის შევწირავ თავს!“ გავივლე გულში და სასაფლაოდან დაძრულ პროცესის გავყევო...

3

სასაფლაოდან ჩვენ ერთი ჭგუფი გვიან დავიშალეთ. ქალაქს რომ დავუახლოვდით, საიდანღაც ვიღაცებმა სროლა აგვიტეხეს. საქმე გასწრებაზე მიღდგა. „თავს ვუშეელოთ“, ვიღაცამ დაიძახა და მოკურტხლა, მაგრამ ტყვიას სად გაასწრებ, ისიც თუკი ბედად გიშურია. კიდევ ზაღპი... კიდევ ზაღპი... და მოსახვევში მე დამშრეს. არ მიმატოვოთ მეთქი, ვიყვარე, ბარძაყში მქონდა ჭრილობა. უკვე მიჰირდა სიარული. ორი ამხანაგი მხარში შემიდგა. ახლა რომ შაფათავს ქუჩაა, იქ ერთი მათი ნაცნობის რჯახში მიმიყვანეს და დამაშვინეს. დიასახლისი აწუწუნდა, რევოლუცი-

ონერი ხომ არაა. არაო, უთხრეს, ფიცით დაარწმუნეს. დიასახლის შემთხვევაში რჩება შესძლებია სახელდახელო დახმარება... და ჭრილობა კარგადაც შემიხვია. ჩემმა ამხანაგებმა უთხრეს, ხვალ ექიმს მოვიყვანთ და კიდეც წავიყვანთ.

მეორე დღეს ლინეიკით მომაკითხეს და საავადმყოფოში წამიყვანეს. თურმე ბატონ ნიკოს მოელაპარაკნენ და მან ნება დართო ჩუმად მივეყვანეთ საავადმყოფოში. თითქოს ამხანაგმა დასჭრაო... და ასე მოვხვდი საავადმყოფოში ნიკოსთან. გაიგო თუ არა ცაცუნიამ ჩემი ავადმყოფობა (ნიკოს ეთქვა), იმ დღესვე მოვარდა აცრემლებული. მეც მისი ნახვა მინდოდა. ყველაფერი დამავიწყდა, ჭრილობაც აღარ მტკიოდა. ო, რა არის სიყვარული!

(გაგრძელება იქნება)

---

## ვიღორნ ხარვაშვილი

### გ უ ს გ უ ლ ი

ზ ღ ვ ი ს მ თ ხ რ ი ბ ა

დავქარგე დღე. მაგრამ, როგორც იტყვიან, ზოგი ჭირი მარგებელია, ხალითმა ისევ ზღვისაკენ მიმაბრუნა. ძალაუნებურად ჩემი შარშანდელი თავსგადანახალი გამიცოცხლა.

მაღნით და მარგანეცით დატვირთული ვეება საოცეანო ხომალდი იაპონიისაკენ მიემართებოდა და გეზს ბოსფორისაკენ იჭერდა.

დღიურიდან: 18 დეკემბერი, 197... ეპ, რა სიხარული დაგეუფლებოდა, გოგლა რომ გრძნობდე როგორი შტურმით შედიხარ იმ სატახოში, საცდანაც სულთანმა ოდესლაც წაგვაგლიზა მთელი სამხრეთი, აკვანი ჩვენი კულტურისა.

ისე გავთეთრდი, ისე დავბერდი,  
ვერ ვინახულე ტბეთი, შატბერდი, —

ჩიოდა პოეტი, მაგრამ დღეს აღსდექი და იმარჯვებ.

წიგნში თუ ჭიუის ნატამალი არაა, ძიგარის ქაღალდადაც არ იტმარება, თუთუნსაც გაგიუგემურებსო, მეუბნებოდა ხალითი.

ბათუმში, მისი ოთახიდან რომ გავდიოდი და უკან ცოლისაგან მიტოვებული ხალითი მომყვებოდა, ზღვაში ცხოვრების პირველ დღეთა ყოველი დეტალი ცოცხლდებოდა თვალშინ.

რადიომ გამოაცხადა, პირველ თანაშემწეს კაპიტნის ხილურზე თხოვნო.

— ესეც შენ! — მომახალა ხალითმა, — ადგა და გავიდა. — სხვა დროს გავაგრძელოთ... ადი ზემოთ, რა ხდებაო.

— შენაც წიმოდი, — ვუთხარი გაუბედავად.

— არა, მე არ მექახიან, არც მეკუთვნის იქ ასვლა.

შაგრამ უცნაურია, ყველაფერს, თავისთავსაც კი, ხალითს თვალით ვხედავდი. იგი ან ცხადად თვალშინ მედგა და, თითქოს ჩემს სათემოლსაც მიყარნახებდა, ან წარმოდგენაში მუდამ ვხედავდი მას. იგი გამოდმებით ყურში ჩამჩრდილებდა:

— ვიშრო ტრაპზე ჩამორბოდი. ლოფებლუდებული იური მაქსიმოვი, მეოთხე თანაშემწე, რაღაც ფურცლებს მოაფრიალებდა. ერთი ხელში მოგაჩეჩა, ეს გემის როლიათ, გითხრა.

ვეკვევის შემაღებელობის სია იყო დაწვრილებითი. ოდნავ გაჯავრდი, იფრეჩე, თუ ერთერთ უფროსად გოვლის, კაიუტაში შემოეტანა. მაგრამ ასეთი წვრილმანი მაინც არაფრად ჩათვალე, ქალალდი ოთხად გაკვეთ და გულის ჯიბეში ჩაიდე. თან, გემის ყოფას ოდნავ უკვე შეჩვეულს და ერთგვარად უკვე გაშინაურებულს, დაწვრილებით, თანმისყოლებით გაგონებოდა პორტიდან გამოსვლის თუ რეილზე დგომის საათები. მეშვიდედ რომ გასაცილებლად მოვიდნენ, შინილან პალტოც მოგიტანეს, დეკემბერი უკვე ზამთარია, დაგჭირდებათ. შენ კი არწმუნებდი, აქ ზამთარია, იქ ზაფხული იქნებათ, მაგრამ ვერაფრით ვერ იჯერებდა აქმიზებული, ოდნავ შემონებული, დანაღვლიანებული და გულაჩვილებული შენი ცოლი. რომ გემი რამდენიმე დღეში უფრო თბილ სარტყელში შევიდოდა, ხოლო უფრო გვიან, სახალწლოდ კაი შუა ზაფხულის პაპანაშებაში მოხვდებოდით.

შემდეგ ბუნკერმა მიაღო ფერდი გემს და მთელი დღე ტანკერში გრძელი შლანგებით საწვავი ისხმებოდა.

ამასობაში კამბუზისაკენ ჩემი გემბანის მეზღვაურები კარტოფილიან ტომრებს ეზიდებოდნენ. ზოგიერთს ზურგზე ძროხის გაყინული ბარკალი თუ ნახევარი ფერდი მიედო და მიათრევდა. პატარა ყუთებში სახაშე მასალაც ჩაეწყოთ ლაბაზად.

ალაგ-ალაგ გახეულებში ეანგისფერად გატრუსული ჩლიქები ამოშვერილიყო. შენი ხათრით იყო, რომ ხორცის კომბინატიონ სახაშე გამოიწერეს. ვინ არ ჩაერია ამ საქმეში. კომბინატის დირექტორს უთქვამს, შარტო ფაშვს თუ ყაბულს გახდებიან, მივცემო. ფეხები, თურმე, გადარჩეული, გახეხილი მსუქანი ფეხები, ცალკე ჰქონიათ გადანახული სხვები შათვის. მერე პორტის კაპიტანი ჩარეულა საქმეში, განუმარტავს იმ დარეკეტორისათვის, გვემი ნახევარი წლით მიღიას, გრძელი, მომქანცველი რეისია, ბიჭები ცოდვანი არიან, მოუხერხეთ როგორმე სახაშეო. სანაოსნოდან მინისტრთა საბჭოში დაურეკავთ დამატებით, მაგრამ შენი გემის

უფროსი თანაშემწერ რომ კომბინატიში მისულა, დირექტორს ძაან დახათ-  
ებია. ერთი კვირის დაგროვილი მთელი სახაშე მასალა სანაოსნო  
მიპყიდა შენი გემისათვის. ნიორი სანაოსნოს საკუჭნაოშიც მოინახა. ჭა-  
ჭა, მოგეხსენება, ყველას ჰქონდა რამდენიმე ბოთლი ჩამალული ბარ-  
ვებში.

ბოლოს ცოცხალი ნაძვის ხეც მოიტანეს თავისი მიწიანი ყუთით.  
ესეც შენი ხათრით. საახალწლოდ რომ მიწისგან შორს არ გეგრძნო თავი.  
ნაძვის ტოტები დრაცენის ფოთლებით შეეკონათ. ბიჭებმა კოხტად,  
ფრთხილად ისწიეს და ისევე ფეხზე მდგარი აიტაცეს გებბანზე. გებბანი  
დიდი იყო, პროსპექტივით ფართო, ამიტომ ბევრი რამე ჯერჯერობით იქ  
ჩიხებოდა. ამინდი კარგი ბედაური იდგა. უმჯობესი იყო და ადვილი, მე-  
რე, შორს ზღვაში ყველაფრისათვის ალგის მიჩნა — მილაგება.

მე ბოცმანს მომნახავდი ზშირად. საწყალი კაცია, ამბობდი გულში  
ჩემზე. ალბათ იმის გამო, რომ ყველაფერს გულახდილად ცვევებოდი და  
ოდნავ უკამაყოფილო ვჩანდი. კაცმა თუ თავისი ცხოვრების ამბები  
წრფელად თქვა, თუ არაფერი დამალა, უსათუოდ საცოდავი მოგეჩვენე-  
ბა იგი. ასე გართ ყველანი. ცუდა, ე. ი. ზეულებრივს გმალავთ ხშირად  
ჩათა კარგები ვამოვჩნდეთ.

ერთხელ იმაზეც გითხარი, პატიარაობაში ბაბას თუ როგორ არ მო-  
ცუსმინე და შინიდან გავიძეცი. ურახანს სოფლელები გიაურს მექანიდ-  
ნენ.

ნაოსნობისას გემზე ხშირად მეკითხებოდნენ, რა ქვეყანაა მაინც  
ეს აჭარა, ვინა ხართ თქვენ, იქაურებიო.

ზოგმა არც კი იცოდა, რომ ჩვენი ენა და ჯილაგი ქართულია. მე  
კი მუდამ მჯერა, კაცის სამშობლო ენაა სწორედ. ეს მთავარია, — ენა.  
კაცისთვის ენა რელიგიაცაა, რაც მართალი მართალია. პოდა, გულში ვა-  
ძახოდი, ნენეი რომ ჩვენებურად რაცხას იტყოდა, იმფრად დღეს ზოგ-  
ჯერ სწავლულებიც ვერ ამბობენ-მეთქი.

სამა ასეული წელიწადი ოსმანური ისლამის ხელში გურაჯ მუსლი-  
მანად ვიქეცით. რამდენი ჩვენისთანაა კიდევ იქ, გადაღმა. შეიძლება  
მალიონი, შეიძლება მეტიც. აბა, ასეთი ამბავია, ძიავ, რაც მართალი  
მართალია...

ისე ძალიან კი გვათამაშა ისტორიამ. მარტო ჩვენი მხარე კი არა,  
მთელი სამხრეთი საქართველოსი ისტორიამ ბურთივით ათამაშა. ხან ერთ  
ჯრში შეაგდო, ხან მეორეში. ვისაც შეეძლო და რამდენიც შეეძლო, გვი-  
რტყეს ფეხები. ბოლოს დაფრეშილი, დაჩუტული სადღაც კუთხეში  
მაგვატოვეს.

გამოგვიცვალეს რწმენაც, სახელიც და თვით ჩვენი სახელმიზუ  
დაგვაშინეს.

მთელ კაცებისაში პირველმა ჩვენმა ქართულმა კუთხემ, აჭარამ, იცნო  
და მიიღო ქრისტე და პირველმა თვითვე დაკარგა იგი.

ახალმა დრომ წაგვატანა ხელი და ფეხზე წამოგვაფორჩიხა, თორეშ  
ისევ იქ, ძველი ნანგრევების ძირას, ტალახში ვეგდებოდით დღესაც.

ცრემლმომდგარი მოძმე ლუქმას იყლებდა, რომ ჩვენთვის დაეთმო  
სარჩო საქათველოს თავად უჭირდა, მარა ჩვენისთნა, — მისი ახალშემო-  
ერთებული ძმებისთანა, საცოდავი და ფუხარა მაინც არ იყო....

ხიდურზე ახვედი. საშტურმანო ჯიხურის კარი შეაღე. კაპიტანი შა-  
ლვა დიდიძე რუკაზე დამხობილიყო და ფანქრით რაღაცებს ხაზავდა.  
ჰო, ჰო, რაც მართალი მართალია, დამხობილიყო რუკაზე, რომელიც  
ძირს, ბანზე დაეფინა, პირჩალმა გაწოლილიყო და ჩაპირკიტებდა. თავი  
არ აუღია, არც უთქვამს შენთვის არაფერი. აბა რაღაზე გეძახოდა? შენ  
ისევ სამართავ პულტთან გახვედი, იქ შტურმანები აღგნენ, ფოსფორუ-  
ლი ციმციმით მოკამქამე სკალები რაღაც უცხო ენაზე გესაუბრებოდნენ  
და შენთვის გაუგებარ რამეს გამოთქვამლნენ.

ვიდაცა კარი შემოაღო, მიმავალ გემის გამჭოლმა ქარმა ფარდები  
და ფურცლები ააშარიშურა, აფანტ-დაფანტა. კარი ჯახუნით სწრაფად  
დაბურეს და შენ ბნელი საპულტე ხიდურიდან განათებულ საშტურმა-  
ნო ჯიხურში დაინახე, როგორ შევიდა დაცევეფილი, ყვითელი, სუსტი,  
ჭორფლიანი რაღისტი ვალერი სნეგოვი. მას ხელში ბლანზე გადაბეჭ-  
დილი დეპეშა ეჭირა. მოკრძალებით დაიხარა და ფურცელი ძირს დამ-  
ხობილ კაპიტანს წინ რუკაზე დაუდო. კაპიტანს არც შეუხედავს, ვინ  
მიაწოდა ქაღალდი, გვერდულად გადახედა ტექსტს და წკიპურტის კვრით  
გადაისროლა იქით ფურცელი.

ეს პირველი რაღიოგრამა იყო, რომელიც შენმა გემმა მიიღო ახა-  
ლი რეისის დაწყებიდან. შენ ყველაფერი გაინტერესებდა. ჭერ კარგად  
არც კი იცოდი, რომ კაპიტანთან ერთად შენც ვალდებული იყავი გცო-  
ლნოდა და პასუხი გაგეცა ყოველი ახალი მოვლენის მერ დასმული  
ქითხვისათვის.

განშორება, გამგზავრება სულ წინ იღვა.

ლოკატორში მთებისა და ხეობების მთვარისებური გამოსახულება  
ნელნელა პატარავდებოდა, ილეოდა, შორავდებოდა, შენ კი იღუმალად  
გული გეკუმშებოდა, ღელავდი, შფოთავდი, უცნაური, საიდანდაც შემო-  
პარული შიში გეუფლებოდა.

ვახტე მყოფი შტურმანი სტანისლავ ზოლოტოვი ცდილობდა შენ  
თან საუბარი გაება. გამუდმებით ხვიხვინებდა, ჯავრსა და მოწყენილობას  
გიშსუბუქებდა.

გიხსნიდა და თვალის დახამხამებაში ზომავდა ლოკატორში ნაპირა-  
მდე მანძილს. სინათლის ხაზი ყვითელ სალებავივით წრიულად მოვლე-  
ბოდა ექრანს. სტანისლავი პატარა ჩარხს მოატრიალებდა, წრეხაზი გა-  
ფართოვდებოდა. როცა მისი ცალი გვერდი სასურველი საგნის თუ მა-  
წის მთვარისფერ წერტილებს შეეხებოდა, სკალაზე ისახებოდა ციფრები,  
რაც გემსა და მოცუმულ ობიექტს შორის მანძილის ზუსტი სიდიდე იყო.  
და ყველაფერს ისე სხაპა-სხუპით გიხსნიდა ზოლოტოვი, თითქოს მისი  
გამოგონილი იყო.

საშტურმანოში შეხვედი. კპიტანი წამომდგარიყო და ახლა მაღალ  
მაგიდაზე იდაყვებდაბჯენილი წინ იმზირებოდა. რადიოგრამა გამოგიჩინია.  
„ხმელთაშუა ზღვაში, ჩრდილოეთის განედის 38 გრადუსსა და დასავლე-  
თის სიგრძეზის 10 გრადუსთან დაცურავს მოდრეიფე ხის მორი ათი მე-  
ტრი სიგრძისა და ნოლ რვა მეტადი დიამეტრისა გემებისათვის საშიშია“.

გამეღიმა. რამდენი სახელმწიფო, რამდენი სანაოსნო თავის რამდენ  
გემს აფრთხილებს ალბათ ასეთი რადიოდეპეშით. ამ და ამ განედის ამ-  
დენ გრადუსზე ხის მორია, არ დაეჭახოთ. ვინ შენიშნა პირველად, ვინ გა-  
ვრცელა, ანდა, ნუთუ მართლაც ასე საშიშია, ვთქვათ, ეს ერთი ხის მო-  
რი ამოდენა ხომალდებისათვის? ანდა, ამისთანა წვრილმანებისათვის ცა-  
ლიათ რადისტებს?..

\* \* \*

ლაზი იქნები შენ — დაუფიქრებლად მოგახალე რატომდაც. არ ვიცი,  
გეწყინა, თუ უბრალოდ, გაიკვირვე. შეგატყვევა უცებ შეშფოთდი. ჩვენგან  
მარცხნივ, მწუხრის ბინდუნდში, თვალებს აფახულებდა შორეული ლაზის-  
ტანის ფაცხებიდან გამომერთალი კერის ცეცხლი. გემის ქიმზე რომ ზვა-  
რთები ეთქაშუნებოდა, ის ხმა ძრავების გაბმულ ზუზუნს უერთდებო-  
და, რაც მცირე ზეფირისას გემის რყევის რიტმს და ტაქტს უთანმდე-  
ბოდა თუ ერწყმოდა თითქოს. და თანდათან გატებობდა ეს ახალშეცნო-  
ბილი მელოდია. შენ მალულად გიხაროდა, რომ ზღვის ცხოვრებას ერ-  
თობ ეთვისებოდი, ატყობდი, რყევები მაინცდამაინც არ შეგაწუხებდა.

მაგრამ იმ ლამეს ცოტათი ხასიათი მოგიშალა ჩემმა ნაამბობმა. გე-  
მზე, ეკაპაუის ცხოვრებაში იქედენ, ხმელეთის ცხოვრებიდან შემოჭრილ  
და ფეხვმოკიდებულ მავნე ჩვევებსა და გადანაშთებზე გითხარი რაღაც.  
მგონი.

რაც მართალი მართალია, ადამიანი ყველგან ადამიანია. თავისი ცო-  
დეა-მაღლი თან ახლავს. მაგრამ გემი და ზღვა მაინც ისე ვერ იტანს

სიყალბეს, ტყუილს, ქურდობას, პირფერობას, ქიშპობასა და მექრთაშვილის გამოცემას განვითარებას, როგორც მაგალითად, ხმელეთი.

ჩვენი გაჭირვებული გლეხური ოჯახიდან წამომყვა ეს ოხერი მომჟირეობა და სიძუნწე. ბევრმა შემიძულა კიდეც ამის გამო.

ყველამ როდი იცის, იმ ჩვენს აყვავებულ მანდარინებთან რომ გადიოდა პირდაპირ ფრონტის ხაზი ომის დროს.

კადი გათავდა, ლაგაში აღარ ცხვებოდა თონეში.

მოხარშული ხაბერასაგან გამოფხეყილ ცომს დედაჩემი გამხმარ, მოხალულ და ხელწისქვილზე დაფეხეულ ქერეშს შეურევდა და ისე კვერს გამოგვიცხობდა. ერთ ტომარა კარტოფილში მამაჩემს ბაბუას მიურ არდაპანიდან მოტანილი მთელი ნოხი მიუცია. ზღვაზე თევზი და ხამსაც გამოილია და ადამიანები საწყალ დელფინებს შეესივნენ. ბათუმის სასაფილოებში, მახსოვს, დელფინის ხარჩის შეხვდებოდი იმ დროს.

პოდა, არ ვაძლევ საშველს ახლა არავის იქურდოს. ბაგირის თოკის ნაწყვეტია თუ ტროსის ნახვევი, ხის და რკინის ხელსაწყოები, ფანრები, ლამპები, შუშები, სათადარიგო ფიცრები, საღებავებით სავსე კანისტრები, ყველაფერი ჩავეტილში მაქვს. ზოგ სათავსოს შინიდან მოტანილი ბოქლომი დავადე.

„მაინც მპარუვენ მამაძალლები“ — შეგვჩივლე.

გემის სპორტდარბაზისათვის გადამალული ორი წყვილი ჩინური კეტები დააძროვილი ვიღაცამ ფოთის პორტში დგომისას და ლიტრა ჭაჭის არა-ყზე ეგავყიდა. მატროსმა მთელი კასრი ოლიფა ჩააგორა ტრაპზე დღისით, მზისით, ტუაპსეში. კარგი ლინოლეუმის ნაჭრები, რაც კაიუტებში და შიგა ტრაპებზე დასაგებადაა შენახული, უფროსმა თანაშემწემ სტუმრად მოსული ახლო-მახლო კოლექტივების თავმჯდომარებში სულ გაასაჩუქრა. კაიუტის კარებში რომ ჩატანებულია მონიკელებული საკეტები, ერთი ცალი შენც მომთხოვე, ხომ გახსოვს? კაპიტანმაც დამიძახა და შითხრა, მიეცი კაცო ერთი საკეტი, რა მოხდაო. მაგრამ ვერ მოგეცი, რაც გინდა ის მიყავი და ისა თქვი ჩემზე.

უცნაური სევდა შემიპყრობს ხსოლმე ბოსფორს და დარღანელს როცა გაფრიგონ. მე ერთი დაუანგული ბოცმანი ვარ, მაგრამ ბევრი რამ გამეგება.

ნაშუადღევს ბოსფორი გამოჩნდა.

შენ რაღაცაზე ჩაფიქრებული იყავი. უფროსი თანაშემწე საშტურმანი ვახტზე იდგა და ველოდი ყოველ წუთს გემის ცხვირზე გამიძახებდა. რადიო ჩუმად იყო ჭერ და შენთან საუბარი მომინდა ისევ.

— რამდენადაც ზღვაში ვარ, იმდენად უფრო მიწისა ვარ — გითხარი შემოსვლისთანავე. — გული მიკვდება, რატომ ჩემი შვილიც არ უნდა გაეზარდოს ამ მიწას ერთ პატრონადამეთქი.



მიყვარს მარო, ძალიან მიყვარს, მაგრამ ზოგჯერ დაუფიქრდები თავის თავს ვეკითხები: ნეტავ რა ურჩევნია ბუნებას, სიყვარული სიყვარულისათვის თუ სიყვარული შთამომავლობის გაჩენისათვის.

ხუთუ აჭიბებს მაროს სიყვარული სხვისი შვილის გაზრდით გადავარჩინო?

ძალიან მინდოდა შენ დამხმარებოდი ამაში, — ჩემი გულის იღუმალებათ, ჩემი სიცოცხლის ამ გაუგებრობათა ამოხსნაში.

შენ კი იღუმინატორში იცქირებოდი. ორი კონტინენტის ბაგეები ერთმანეთს მიახლოებოდნენ და ისე გაშეშებულიყვნენ, თითქოს მათი ამჟორი მუდამ ყოვლის გადამბუგველი და დამანგრეველი იყო.

შეჩერებულიან პირისპირ და სახეში შესცეკრიან ერთმანეთს. ბოსფორი ვიწროდ გაჩრილა უფრობასა და აზიას შუა. იგი ჩვენი ძველი ნაცობია. მას ალბათ ჩვენც კარგად ვახსოვართ.

ჭირობიდან რიონზე მისვლამდე და იქეთაც, ყველაფერი გაიყვლიფა და გაჩინაფდა. კი შესახედ გოგო-ბიჭებს, ერთიმეორებზე თოკით გადაკილებს ტყე-ტყე, ბილიკ-ბილიკ ზღვის ბოლაზთა ლიმანებში მოლოდნებ თურქ-ფაჭართა ფელუქებისაკენ მიერკეცებოდნენ.

რაც შართალი მართალია, მას ალბათ შენც იტყვი, რომ იმ ტყეებს და იმ ბილიკებს გადამთიელი ვერ გაიგნებდა. ჩვენებური მიერკეცებოდა ჩვენებურ გოგო-ბიჭებს გასაყიდად. ჰოდა, ჩვენი უბედურებაც ამაშია, ძიავ.

შემდეგ ამ სრუტეში გაატარებდნენ ტყვეებს. ცოცხალ საქონელს სტამბოლის ბაზარზე გაასაღებდნენ. მერე ეგვიპტელი ვაჭრები ქაიროში გადაყიდდნენ. გადამთიელებთან ნათრევ-ნამსახურინი, უკვე დავაუკაცებული და სულგამწარებული მეომარი-მამელუკები ხმლებით მიაპობდნენ სივრცეებს. დაბერებულ, დაშინებულ, დაპყრობილ ეგვიპტეს ახალ პატრინად ევლინებოდნენ.

ღლუღებოდნენ მომხდურს და მეზობელთ შიშის ზარს სცემდნენ. მაგრამ შენ მუჰამადირთა ჯავრი და სევდა უფრო გიჯიჯნიდა გულს. იგი უფრო მწვავე და ახლობელი იყო შენთვის. იგი ფიზიკურად უფრო შეხებია შენს სხეულს და სულს.

შეაზე როგორ გაგლიგა და დაპუანტა მტრობამ და ომებმა ჩვენა ჰალხი?

დღევანდელი კაცი ძნელად წარმოიდგენ ყველაფერ ამას.

## ს ა მ შ ო ბ ლ ო ვ

ასი ათასჯერ გული მატკინე,  
მე მაინც ვიტყვი — არაფერია.

დამწვი,  
დამფერფლე  
და ქმატირე,  
მე მაინც ვიტყვი — არაფერია.

ტანზე ჩამაცვი ჯაჭვის პერანგი,  
ოშში დავეცე — არაფერია.  
ვერ გაძხარებს ჩვენში ვერაგი —  
ჩემთვის სამშობლო ყველაფერია.

გამომიგზავნე შევლა ურიცხვი,  
მკერდით ბოროტი გული თუ ვზიდო,  
რაა სიცოცხლე შენი გულისთვის,  
ათას სიცოცხლეს დავთმობ უსიტყვოდ-  
არ მინდა ქება, ტაში, ზანზარი,  
შენი დუმილიც დასაჯერია.  
დამაწერინე ულამაზესი  
ლექსი, რომელიც დასაწერია...

დაე, იწამეთ, ჩემი თაობაც  
სამშობლოსათვის ერთხელ მოქვდება,  
მირზას ბიჭების გამბედაობას  
ჩვენი ბიჭებიც გაუტოლდება.

ოღონდ გვიბრძანეთ, მთას მოვერევით,  
ზღვას გადავლახავთ ცისფერ ზოლიანს,  
ისევ ცოცხლობენ ფორე, ოლეგი,  
ჩვენი დღეების თინა, ზოია.

ჩვენ დავაჩოქეთ ქარი, ავდარი,  
დავაძმობილეთ მთა მთას, ბარი ბარს,  
გზა დავულოცეთ შზისკენ გაგარინს,  
ლეგენდები რომ გააღარიბა...

ათი ათასჯერ გული მატკინე,  
მე მაინც ვიტყვი — არაფერია.  
დამწვი,  
დამფერფლე  
და ამატირე,  
მე მაინც ვიტყვი — არაფერია.

სამშობლოვ, შენი მზე და ვარდობა,  
ჩემი სიმღერის გასაღებია.  
არ მინდა ტაში, ქება, მადლობა,  
გვიბრძანე, რაიც ასაგებია.  
მხოლოდ დანდობა,  
მხოლოდ დანდობა,  
სხვა დუმილითაც გასაგებია!

## უცნობი პარისკაცის საფლავთან

მწვანე მინდორში გულალმა ვწევარ,  
ველის ქარია ჩემი ნუგეში.  
მეც ახლა ცაში აწვდილი ხე ვარ  
და ჩიტუნები მიზის უბეში.  
წლები უკანვე ჩამოვიტოვე,  
შზემ გამიხუნა ბევრჯერ ფარავა.  
ასე მგონია, ამ დიდ მინდორ-ველს  
ისევ ვუდგავარ ერთგულ დარაჯად.

---

\* \* \*

Ցե Սռցլելո զար —

Արա ցւլլսերկազոլոն դա արա տաշելո,  
ԱՅ ծոլոյցն ցըրացրոտ զարհից վալայի,  
Ոև հաճ լուրս, წոնաձրուս սաղլացն հռմ դաշելաց  
Դա օգոս սաճա ցայցն մալութեսալացն.  
Ոև հաճ լուրս, նացելունի հմունու ցուրեծոտ  
ցայչենեծն ծպնեծա սլու პորմոմբոնարե,  
Ցե ծոնծլաջն սակլոնեն Շենո ցրտցուլեծո  
Ըա պացել քոմարյ լոռցազեն წոնաձրեծն.  
Ոև հաճ լուրս, ծացացո հռմ ցիոննի ցազլուն,  
Վո՛շյահտան Շիմութոնոտ Շեցեցլեծա նացածն,  
Ուժմլաջն դացարոնծս սոհնելո պազոլուն,  
Ցիպուրուս սուրութելոյ, սոմլերա լամածն  
Ամոցա ցւլլունան, ուպոնո սամպարուն...  
Եղոտոնաց ցցոննա ցուրոնու մտա-ցորու,  
Ըլլու լամես Շեցեցլեծա ցոտ ցոցոն սայմարուն,  
Տալնարեծն Շեցարտոնծս սոուտա ամծորու.  
Իոյրայից ոցուլունեծն ատասո մամալու,  
Նաեւորու լուրուն միւն Շեցեցլեծա ծլազոլուն.  
Ուրոնեծն հացլուն ծարեծուն ամալու,  
Եղալութամիւն Շեցոմոնծս ֆյորֆյուրու պազոլու.  
Ժմեծու ծալս ցտոենոտ դա ամպոնից ցևացներոնետ,  
Ցմլյարուցարու, ցուրոնոտ, ցեռորեռուցոնետ, ցեարոնետ...  
Ահ մոցումալուն լմերոնմա ցու սալուլու —  
Լոնեչե նարհինիւ դասիւն դա ցալոնծս.

## სოსო აბაშიძე

### სპობა სახელისა მოხვეჭა

გამქვირვებია: დამპყრობლები აქ როგორ ჩეხავდნენ ვაშს, ან ხეხილს რა ხელი მისწვდებოდა ასაკაფავად. აქაური ბუნების სილამაზე ერთნაირად უნდა ატყვევებდეს გულმოყვასსა თუ უგლიში გულის კაცს. მიჰყები აქარისწყლის ხეობას და თავი ზღაპარში გონია. თვით სიკვდილის არსებობას დაგავიწყებს შემოჯარული მთები, რომ არა ვიწრო გზები, ზოგჯერ თოთქოსდა ცაში გამოკიდული. თვალს ჭრის ზაფხულის სიმწვანე. ბზინაეს ბალახზე დაყრილი ცვარი. მოგორავს მთის წვერზე მზე — ნახტომისათვის გამზადებული. ქვევით კი ნება-ნება მისდევს კალაპოტს მდინარე აქარისწყალი, სავსე ცამეტ-თოთხმეტი წლის ტიტლიკანა ბიჭებით, ბადე რომ გაუშლიათ და კალმახებს ელიან. ნახავ მოხუცსაც, მზეს რომ უფიცებს ნაჯაფარ სხეულს და ზანტად გასინჯავს ხოლმე ანკესს თევზის მოლოდინში.

— აბა, დოლოგანი! ვინ ჩამოდის? ცოტა ჩქარა, ჩქარა, — კარგად გაზეპირებული ლექსივით სხაპასხუპით ყვირის მძლოლი და ხურდა ფულით საგსე მუჭს უკაუნებს მინას, ფიქრებში წასულ მგზავრთა გამოსაფხილებლად.

ზანტად ვითრევ წელს და ჩასასვლელისაკენ ვეშურები, ისე ზანტად, რომ მძლოლს ნამთვრალევი ვგონივარ, ფულს იღებს და თავისებურად, მხიარული კაცის გულწრფელობით მლოცავს, ხეირი ნახეო.

კანტორის ეზოში თვმოყრილი ხალხი რაღაცაზე კამათობდა. ცოტა

მოშორებით ბიჭს მანქანის კაპოტი აეხადა და ჩაჰერიულებდა მოტორს,  
თან ცალი ხელით შუბლზე ჩამოშლილ თმას ისწორებდა ჩანდახან გადამოვიდა  
— თქვენ, ალბათ, თვამჯდომარის ნახვა გნებავთ? — მომიახლოვდა  
ერთი.

— გამოცანა გერგებათ. თუმცა, როგორ მიხვდით? — შევუბრუნე  
კითხვა.

— ჩემი სოფლის რიყეზე რამდენი ქვა აგდია ის ვიცი და უცხო კაცის  
გამოჩენა ვერ შევამჩნიო? პატარა სოფელი გვაქვს, ესეც არ იყოს, სხვა-  
ნაირად ათვალიერებდით აქაურობას.

საუბარში ავათავეთ კიბე.

ოცდათხუთმეტი წლის კაცია დოლოგნის კოლმეურნეობის თავმჯდო-  
მარე იოსებ ლორთვითანიძე. აგრე ხუთი წელია სათავეში უდგას თანა-  
სოფლელთა შრომა-საქმიანობას და წარმატებებსაც აღწევს. ლაპარაკს  
შევყვავით, ვიღაც ბიჭზე მიამბობდა: სალამომდე მუხლჩაუხრელი იმუშა-  
ვებდა, ოღონდ წიგნის სახსენებელს ვერ იტანდა. დავიბარე ჩემთან, გვა-  
რიანად შევახურე და პროფტექნიკურ სასწავლებელში გავგზავნე. კაცი  
დაღვა. ამასწინათ შემხვდა. ისეთი ღიმილით შემომხედა და მომესალმა,  
რომ მივხვდი არ დავიწყებოდა კეთილი საქმე.

თითქოს მაწონებდა დოლოგანს. გატაცებით ყვებოდა თავისი კუთ-  
ხის წარსულისა და დღევანდელობაზე: 250-მელი კომლი ცხოვრობს სო-  
ფელში. უმრავლესობას საფარიძეები შეადგენენ. მიწის ერთგულება მო-  
სდგამს ამ ხალხს ოდითვან. გამორჩეული ახალგაზრდობა გვყავს. საკოლ-  
მეურნეო მინდვრებში ტრიალებენ. მაღლობა ღმერთს, რომ ასეთი კარ-  
გები არიან. ზოგი მათი თანატოლი სოფლიდან ქალაქში გარბის და უსა-  
რგებლოდ წოწიალობს ღილიდან საღამომდე. სოფელში ოთხი უბანია:  
წინკაძეები, ჭალაბერელა, ბელტური და დოხოძები. სიტყვამ მოიტანა და  
ბარებ ვიტყვი, წინკაძეებს მეორე სახელად ჭინკაძეებსაც ეძახიან. იქ ძვე-  
ლისძველი სასაფლაოა და საფლავის ქვებს წარწერები აჩნია, რომელსაც  
შესწავლა სჭირდება ნაღდად.

სტუმრობის მიზეზი რომ გავამხილე, გაიხარა ალალმა კაცმა.

— ბელტურში ცხოვრობს ის ბიჭი. მამამისს აბდული ჰქვია. თეითონ  
არ ვიცი სახლში დაგხხვდება თუ არა. მგონი წასული იქნება უკვე. თუმ-  
ცა, ნახე, მშობლებსაც ელაპარაკე, საინტერესო ხალხია.

თვალზინ გაზრდილის ბავშვობა მოიგონა. მაინც იძუნწა, ბევრი არა-  
ფერი უთქვამს.

— მიღი, გაიცანი და ნახავ საქები ბიჭი გავზარდეთ თუ არა?

ბელტურამდე სამი კილომეტრია. მზე უკვე კარგა მაღლა ასულა სა-  
შეკრზე და ისე უმოწყალოდ ცხელა, რომ ღილის ხასხასა მწვანე ფერი

პი ახლა შევად მოჩანს. ფეხით სიარულის სურვილი ყველაზე უკუღმარეს თი ფანტაზიის პატრონსაც ძნელად მოუვლის ამ წევატში.

იოსები მაქანას მპირდება. ეს წუთია დაამთავრა მძღოლმა მისი გამართვა. ეტყობა, ისიც შეუწუხებია შუადღეს, პერანგი გაუხდია და დროდადრო იღლიას იმშრალებს. დალლილი ბიჭი შვებით სუნთქვის. როგორც იქნა მოძებნა ქვა ჩამოსაჭრომად.

— ადექი, ბიჭო, რას ჩამოსკუპლი ბეგის ქვისლივით. ცივია ეგ ოხერი.

— დამანებე, იოსებ თავი, ცივი კი არა, მგონი ქვაც დუღს. — იღრინება თენგიზი.

— ადექი, ბიჭო! — შენთვის გეუბნები, სიღედრი გაგიცივდება.

— რა გააცივებს, შენი კანტორა რომ აპიდო ბუღალტერ-მოანგარიშებიანად, სახლში მისვლამდე ერთს არ დაიკვერესებს.

— მით უარესი შენთვის; ასეთი ტიდედრისაგან თუ დაგერქვა ობოლი, მაშინ რალა კაცი ხარ.

გაკვირვება შემამჩნიეს თუ არა, სიცილით ამისხსნეს — ძველები იტყვიან ცივ ქვაზე თუ დაჯდები, სიღედრს გული აუცრუვდებაო...

თენგიზი გულჩათხრობილი ბიჭი გამოდგა. მთელი გზა ხმა არ ამოულია: დაძაბულად იქტირებოდა კაბინიდან. შემხვედრ ტრანსპორტს ზედმეტად გაუტედავად უთმობდა გზას. ალბათ ახალტედაა-მეთქი, — ვფიქრობდი. მხოლოდ ეს იყო, სიგარეტს რომ ეწეოდა ზედიზედ და მძიმე ნაფაზებით.

— ესეც აბდულ ჭინჭარაძის სახლი. — იქვე, ჭიშკართან გამიჩერა მანქანა და მაღლობაზე თავისდაკვრით, უსიტყვოდ მიპასუხა.

ბელტურში ცხოვრობს თამაზი ჭინჭარაძე, საინტერესო შროშითი ბიოგრაფიის ქიონე ჭაბუკი. იგი 1950 წელს დაიბადა. ცელქი, ონავარი ბავშვი იყო. 1967 წელს დაამთავრა მახუნცეთის საშუალო სკოლა. სწავლისათვის გული არ დაუკლია, მაგრამ იმ წელიწადს მაინც ვერ მოხვდა უმაღლესში. არ დაუწყია სხვებივით ქალაქში უსაგნოდ ხეტიალი. სოფელში მცრუნდა.

ლიდა ამოუდგა შვილს მხარში. დამოძღვრა, მომავლის იმედი ასწავლა და კოლმეუზრნეობის თავმჯდომარესთან გაგზავნა სამუშაოს სათხოვნელად. სოფელში სამუშაოს რა გამოლევს. თამბაქოს საშრობი ფარდულის მცველად დაიწყო მუშაობა.

როცა ბიჭების წახედულობით თუთუნს გაუსინჯა გემო, დედამ გაუგო და კაი დღე არ დაუყრია.

— თავის ნელ-ნელა მოკვლა რა ვაუკაცობაა, ან შენ რა შეგმოხვევია ისეთი, რომ მაგ საზიზლრობას უმეგობრო და ჯანი გაატანო. მოაცილე

აქობას, თორემ შარვლის ჭიბეებს ამოგიკერავ და ერთ სიჩტევილად გეყოფა ტოლებში.

თუმცა, ჯობია თავიდან დავიწყოთ...

მარადიდში დაიბადა ლიდა გაბიტაძე. მის ხსოვნას დღესაც ნათლად აჩნია იმ პირველო გაკვირვების კვალი, ხორცითა და სისხლით ნათესავს. საზღვარს იქით რომ ხედავდა და მისვლა არ შეეძლო. ბიძაშვილების ქორწილში ვერ ილხინა და ვერც მათი სატირალი იტირა.

მერე ცხოვრების გზაშ აბდულ ჭინჭარაძეს შეახვედრა 17 წლის გოგონა. შეკვარებისათვის ვის ეცალა, ან ვინ იტყოდა მაშინ ქალის სიყვარულს? წესი უშლიდათ და ძველი ადათი. საქმე მაჭანკალმა გაარიგა, ცოტა ძღვენი მიითვალა და მარადიდელი პატარძალი დოლოგანში შავიდა.

სიყვარული პირველ შვილს მოყვა. ზურაბი დაარქვეს პატარას. მოწყენისათვის დრო სადღა იყო, გამრჯე გამოლენა აბდული. ცოლის მოყვანისთანავე გააშეკრინა კერა, მისი ბუხრიდან ასული კვამლიც შეჰვლიმოდა ზეცას.

ორმოცდასამი წელი გაატარა ამ კაცმა საჭესთან. იგი ერთ-ერთი პარველი მძლოლია აჭარაში. ხუთი წლის წინათ გავიდა პენსიაში, მაინც მაქანისკენ მოუწევდა გული, შვილებმა არ დაანებეს.

— კაცი ხარ, განა რკინა, ვაი თუ ჯანმა საჯ გიმტყუნოს. შენი ვალი უკვე მოხდილი გაქვს და ჯობია დაისვენო.

საყვარელ საქმეს რომ ჩამოაცილეს, თოხს დაუამხანაგდა, ყანაში უთენდება და უღამდება.

ხშირად ეტყვის შვილებს:

— ექიმსა და მძლოლს, ადამიანის სიცოცხლე უფრო მეტად... აბარიათ, ვიდრე სხვა პროფესიის კაცს. ზედმეტი აჩქარებით შეიძლება ერთმაც და მეორემაც გამოუსურობელი დანაშაული ჩაიდინოს. სიცოცხლე კარიცით რა არის? — იგავური ენით მოგიყვება მართალ ამბავს:

— ერთ კაცს ვიცნობ. აგერ ორმოცი წელია თვალში სინათლე წაერთვა, ვერც ავს ხედავს ქვეყნისას, ვერც კარგს, მაინც სიცოცხლეს აღმერთებს. თვალდავსებული კაცი თუ არსებობას ელტვის, თვალხილულ რომ იგი წართვა, ჩამოსახრჩობი ყოფილხარ და ეგაა.

სიცოცხლე უყვარს აბდულს.

ლიდასაც უყვარს სიცოცხლე და სწორედ ამიტომ აჩუქეს იგი თორმეტ პირმშოს. შვიდი ბიჭი გაზარდეს და ხუთი გოგონა. გაგიკვირდება, როგორ გვანან ძმები ერთმანეთს — საშუალო სიმაღლისები, ჩადგმული, მკვრივი ტანით, წაბლისფერი, ხვეული თმებით, ცოტა ენამოკიდებით რომ ლაპარაკობენ.

ხუთი რძალი შემოვიდა ოჯახში. მათ შემხედვარეს დაგავიწყდება დედამთილისა და რძლების ყბადალებული კინკლაობის ამშავი ლიდა დედა.

მათვეის. ჸმააწეულს არ უთქვამს და არც ერთისაგან გაუგონია თუნიდა  
მცირე რამ საყვედურნარევი.

ხუთი პატარძალი წაიყვანეს ოჯახიდან. დედის გულს კიდევ პატარე-  
ბი და გაუწაფავი ეგონა. არც ცოტა საქმეა და მოსათმენადაც ვაგლახია  
შვილის აუგი ქალობის მოსმენა.

— სულაც არა ბევრი შვილის გაზრდა ძნელი, — ამბობს ლიდა. —  
საქმეს პირი ისე უყავი, ერთი მეორისათვის მაგალითი იყოს. ბევრიც არ  
მჯერა იმათი, ქართველების სიცოტავეს რომ ჩივიან და ორ კინკილა  
ბავშვებს თუ ზრდიან თვითონ.

სიამაყე არ ათქმევინებს, თორემ მოტეხილა ქალი. ბიჭი მოკვდომია.  
25 წლისა იქნებოდა ახლა. რძლები ნახავენ ხოლმე განმარტოებით, ჩაფი-  
ქრებულს და სუვერენიტეტულს, იმ მეცამეტის ლანდადქცეულს...

— შენ თუ გყავს, ბიჭო შვილები? — მეკითხება ლიდა.

— კი, ქალბატონო. — იძულებული ვარ მოვიტყუო, იგი ფესვაჭმოვ-  
დებულს ეძახის უპირმშოო კაცს.

— ერთი და ორი შვილი არაშვილია. კაცი ჭირ-ლხინისათვის, გაჩენი-  
ლა, მტერ-მოყვრისათვის. ბევრი შვილი დიდი ლხინია. ბევრი ცოყვა-  
რეა. ჭირიც მეტი მოგეწევა, მტერიც ცოტა მეტი გეყოლება, მაგრამ შენი-  
წილი ტკივილები არ უნდა გაიცხოოს. 27 წლისა თამაზი და ცოლი არ-  
შეურთავს. სულ გარე-გარე დამიღის. ერთი, ლამაზად ვერ მოვიგდვ ხე-  
ლში. მოვა, დიდი ხნის უნახავს მოვეფერები, საყვედურს ვერ ვასწრებ,  
გახედავ წასკვლის დრო მოწევია და მიღის, — ასე ამბობს შვილს სამდუ-  
რავს.

თმაზი იქ მიღის, სადაც საქმე ეძახის. არადა, სანამ თავის აზგილს  
ნახავდა, მანანდე გულხელდაკურეფილი როდი იჯდა. შორეულ ციმბი-  
რში იხდიდა ვალს სამშობლოს წინაშე. მადლობის წერილები მოსდიოდათ  
მშობლებს ნაწილის უფროსისგან. შვებულებითაც იყო ჩამოსული.

ვალმოხდილმა გარისკაცმა ცოტა ხანს დაჰყო სახლში. ენგურზე მა-  
იხეაროდა იმ ხანებში ჩვენი რჩეული ახალგაზრდობა. თანატოლებს  
არც იქ ჩამორჩა, ორ წელიწადს შრომობდა თამაზი. შვილის ქება ესმო-  
დათ მშობლებს, მისი ალალი მარჯვენის ქება და უხაროდათ.

ღოლოვნელი ჭიბუკი უფროს ძმასთან წავიდა სტუმრად. საშა თოთხ-  
მეტი წელიწადით უკრაინაში ცხოვრობს. მოწონა თამაზს კრივოიროგი,  
იქაური გულლია ხალხი და... ასე გახდა იგი ლენინის ორგენოსანი კომ-  
ბინატის მძღოლი.

ეტყობა, მამის პროფესიამ დიდი გავლენა მოახდინა შვილებზე. ზუ-  
რაბი შუახევში მუშაობს მძღოლად, ნური ბათუმში. მამის შეგონებით  
მართავენ შვილები საჭეს. წვეთი სამელი არ გადასცდებათ ყელში, როცა  
მანქანას უზიან.

თავდაპირველად შეაშრნა თამაზი გიგანტურმა „ბლზ-450“-მა, რომელის ტეირთამწეობა ორმოცი ტონაა. გაუბედავად დადიოდა. უფრო ჩვენს რჩევა-დარიგების გარეშე ვაგლახად არაფერს მოჰკიდებდა ხელს. ეჭვია-ნად უსმენდა ირგვლივ მყოფთა საუბარს, ჩემს მუშაობაზე ხომ არაფერს ამბობენ.

მალე დასძლია თავის თავი, მეგობრებიც წამოეხმარნენ, როცა გაი-გეს მისი გასაჭირი. ნელნელა დაიწყო გასავლელი სიმაღლეების დაპყრო-ბა. აქლა კი ყოველთვიურ დავალებებს დიდი გადამეტებით ასრულებს. არასდროს არ გააცდებს სამუშაოს.

— უწესრიგო კაცისაგან კარგი მშრომელი არ გამოვა, — იტყვის ხოლმე თამაზი. — გულის კარნახით რომ იფრინო, მალე დაიღლები. ცო-ტა გონებასაც უნდა მოჰკითხო, სად და როგორ მოიქცე.

ოქრო მიყვება: შარშან, შვებულება აიღო თუ არა, სოფელში ამოვი-და. სათევზაოდ დავდიონით ძმები, საკოლმეურნეო ჭალებს ვცელავდით, მეზობლებს გავუწვდიდით ხოლმე დახმარების ხელს და კვირაში ერთხელ ზომიერად მოვულხენდით. ნაბახუსევზე სიგარეტით შევედი მის ოთახში. ჯერ ლონდონს კითხულობდა. თავდაპირველად ყურადღება არ მიუქცევია. ორჯერ თუ სამჯერ ჭირვეულად ჩაახველა და მაშინ იგრძნო თაშბაქოს კვა-მლი. ისეთი თვალებით შემომხედა, რომ უსიტყვოდ გამოვბრუნდი ოთა-ხიდან. მასხრობაც ზომიერი იცის თამაზი. შენ სადაც მიდიხარ, იქაურ ქუდი იხურავ, თორემ რუსივით შიშველი საულვაშეთი არ ივლიდიო, — გააქილებეს ძმებმა, თავად კოხტად შეკრეპილი ულვაშებით რომ იწონე-ბენ თავს.

როდის იყო, ჩემი ქართველობა ასეთი წვრილმანებით გაირჩეოდა, — გულგარეთ გაბრაზდა თამაზი.

ერთბაშად ვერაფერს მოიმკი. მეოთხე წელია, რაც კრივოიროგში მუშაობს. წარმატებაც უნახავს და იმედის გაცრუებაც, მაგრამ ყოველ-თვის სკეროდა თავისი არჩევანისა.

ორი ათას ხუთასი კომპავშირელია კომბინატში, ბევრს მუშაობის დაწყების პირველ დღიდანვე იცნობს. წერილებში გულთბილყდ იხსენებს გრეგორი კარბიუქს, ვასილ სმირნოვს, თეოდორ რეზნიკს და სხვებს. კარგ მეგობრობას უწევენ ისინი თამაზი. მერედა რამდენჯერ გაუმასპინძლდა ქართული ხილით. გააკვირვა ბიჭები ჩეურჩელებმა. ხშირად უთვლიან მო-კითხვას შვილის თანატოლები და თანამშრომლები აბდულს.

— უნდა გიყვარდეს ადამიანი, გეროდეს მისი, — ამბობს თამაზი. — უნდა გიყვარდეს, რადგანაც სხვანაირად ცხოვრება უინტერესოა. ფრთა-მოტეხილ ფრინველს ემსგავსები უმეგობრო კაცი, ფრენის სურვილი რომ

გაწვალებს და შეძლება არ მოგდევს. ერთგული ბიჭების გვერდით რომ არა, გული გამიტყდებოდა გზის დასაწყისშივე.

\* \* \*

ილხენდა ლიდას გული, როცა უკრაინელი კინემატოგრაფისტები დოლოგანს ეწვივნენ. უცხოსგან ნახა შვილის უზომო დაფასება. უცხოსგან და სწორედ ეს იყო მიზეზი სიხარულისა.

— ჯოხით ჩამოვრეკავდი ორივეს, კაცურად რომ არ იქცეოდნენ. აქ ჩემი საქართველოა. განა ერთ-ორ უქნარას ითმენს იგი, ამათაც ვაუდლებდა როგორმე. სუსტი ბიჭი იყო საშა. აქ ბევრს ვაჩვევდი, მაგრამ არ მეგონა თუ ასე ივარგებდა. ინკინერია ახლა. მასზეც წერენ გაზეთები.

ზედმეტი ჰამო ხარს უკან წაიყვანს, არც შევრი ჭირისნაცვლობა შველის საქმეს, — ასე უზრდია ლიდას შვილები. მათ მოფერება არ დაპერდიათ, და როცა საჭირო იყო, მკაცრი და მომთხოვნი ლიდა აღმაცერი მზე-რით აგრძნობინებდა შეცდომას.

ამიტომაც თამაზი თანამშრომლებისათვის ქართველი კაცის საუკეთესო თვისებების განსახიერებას წარმოადგენს. შეიძლება ერთი ადამიანი შეცდეს მეორის შეფასებაში, მისი ავ-კარგი სრულად ვერ გაისიგრძევა-ნოს, მაგრამ მთელი კოლექტივი არამც და არამც არ მოტყუცდება არჩევანში.

კომბინატიმა ერთსულოვნად მოითხოვა ფილმის გადაღება ქართველ ჭაბუქზე. ამ მიზნით ჩამოვიდა დოლოგანში კინოსტუდია „მეტალურგის“ რეკილინი ი. ტკაჩიუკი, სუენარისტი და ოპერატორი ა. კოპელოვი. სრულ-მეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი-ტრილოგია, რომელსაც „რკინის მაწა“ ჰქვას, ოქტომბრის რევოლუციის საიუბილეო თარიღს — 60 წლის-თავს ეძღვნება და გვაჩვენებს საბჭოთა ადამიანების თავდადებულ შრო-მას; იმ დიდ ენთუზიაზმზე მოგვითხოობს, სახელოვანი დღესასწაულის მოახლოებისას რომ იგრძნობა.

ფილმი შემდეგ თემებს აერთიანებს: „პარტია და ხალხი“, „ინტერნა-ციონალიზმი“, „ჩვენი ცხოვრების წესი“.

სულ უფრო ფართო მასები დებულობენ მონაწილეობას სახელმწა-ფოს მართვა-გამგეობაში. ახალი კონსტიტუცია ნათელი დასტურია იმი-სა. თუ რაოდენ დიდ ზრუნვას იჩინენ პარტია და მთავრობა ხალხის მი-მართ, მისი საჯარო, საყოველთაო განხილვა კი იმის მაჩვენებელა, რომ ხალხს ეკუთვნის მთელი სულიერი და მატერიალური დოკუმენტი, რომ ხალხს აქვს უფლება — თვითონ შექმნას ის უზენაესი კანონი, რომელ-საც თითოეული მოქალაქე დაემორჩილება და აღარულებს კიდეც.

ამ ფონზეა წაჩვენები კომბინატის მრავალრიცხვოვანი კოლექტივის-



“შრომა-საქმიანობა, სწორედ აქ აღწევს დიდ წარმატებას ჩვენი თანამდებობის მულები.”

კინო-ტრილოგიის მეორე ნაწილი — „ინტერნაციონალიზმი“ ერთ მიზანს ემსახურება: გვაჩვენოს ის ადამიანები, ვისთანაც თამაზი მეგობრობს. აქ ნათლად ვხედავთ დიდ სიყვარულს, რასაც ქართველი ჭაბუკის მიმართ იჩენენ. ნიშანდობლივია ის, რომ ფილმს მეორე გმირიც ჰყავს. იგი უკრაინელია, სამამულო ომის მონაწილე, შრომის მოწინავე, კაცური ძაცი.

ორი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი, დაუზარელი მშრომელები, ერთი მიზნისაქენ გაწეული ირი ადამიანი შრომით სასწაულებს ახდენს.

აი, რას გვეუბნება ამ სიუჟეტის შესახებ ა. კოპელოვი.

კომბინატის მშრომელთათვის საინტერესო იყო იმ გარემოს გაცნობა, საიდანაც თამაზ ჭინჭარაძე მოვიდა მათთან.

ვინ იცის, რამდენჯერ იტყოდა დოლოგნელი ჭაბუკი თავისთვის და სხვათა გასაგონადაც: „იქ ისე ცოცხალია ყოველი, გეშინია ფეხი არ აიღვან, სადმე არ წავიდნენ ბუჩქები და ხეები, გეშინია, რადგანაც მთის კალთებზე დასასვენებლად ჩამომჯდარებს მოჰვავან ისინი“. სამოთხეში თუ მოწევდითო, — ამპობდნენ კინემატოგრაფისტები. ალბათ სოფლის ყველა მცენარე დაიხსომეს. ცისკრის ნათებიდან ვიდრე სალამომდე ბუნებაში იყვნენ და გული არ უსვენებდათ დასაძინებლად. იღბლად მეზობლის ქორწილი დაემთხვა მათ სტუმრობას. გულმოდვინედ ალბეჭდეს ფირზე ახალი ოქანის შექმნა. როცა სადლეგრძელოებს უთარგმნიდნენ, მაშინ გაამხილეს: ეხლა მივხვდით ქართულ სუფრას აკადემიას რად ეძახიანო.

ალბათ ვინმე იტყოდა, რომ ზომიერი პურისჭამა და ურთიერთპატივისცემა წინაპრებმა უპირატესად იცოდნენ, ვიდრე თანამედროვე ქართველებმა.

„ჩვენი ცხოვრების წესი“. — ასე ჰქვია ფილმის ამ ნაწილს. ეცადნენ ის გადაელოთ, რაც ჩვენი კუთხისათვის იყო დამხასიათებელი, სისხლხორცეული; ისე გადაელოთ, რომ ნათლად ეჩვენებინათ ის კეთილმყოფელი გავლენა და ურთიერთკავშირი, რაც ცხოვრებაში აღამიანთა შორის არსებობს, ახლებურად დაენახათ თამაზ ჭინჭარაძე, ისე დაენახათ, რომ მთელმა უკრაინაშ შეიყვაროს იგი, და განა მარტო იგი — მთელმა აქართველო!



შეითხვეს ვთავაზობთ საქართველოს შეცნიერება-  
თა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტი-  
ტუტის ფონდებიდან ამოღებულ, ჩერ გამოუქვეყნე-  
ბელ ხალხური შემოქმედების ნიმუშებს. ამ ლექსებში  
გამოხატულია მშრომელი კაცის ფიქრები და განცდე-  
ბი.

### პ პ რ ტ ი პ ს

კომუნისტური პარტია  
არის ჩვენი ქვეყნის თვალი,  
მან სწორ გზაზე დაგვაყენა,  
ასარულა თავის ვალი.  
მშრომელები გაგვახარა,  
მან გაგვასნა გზა და კვალი,  
მოგვცა სიცოცხლის ნათურა,  
უზრუნველყო მომავალი.  
ის ომ ხალხისათვის ზრუნავს,  
ვინ არ იცის, ყველას გვჩერა,  
მე გლეხობამ დამავალა,  
მასზე ლექსი დამეწერა.  
სახელად მქვია თოფია,  
თვითონ გლეხი ვარ მგოსანი,  
არ ვარ შოთა რუსთაველი,  
არც საყდი ტკბილმოსანი.

ავტორ-მთქმელი თოფია ქათამაძე,  
შუახევის რაიონის სოფელ ვარ-  
ჯანაულის მცხოვრები.

## ლ ე ქ ს ი ა ჭ ა რ ა ზ ე

აჭარის მინდვრებო, ბარაქიანო,  
 და მაღალო მთებო, ზურმუხტოვანო,  
 მთას კალთებო, ბაღ-ვენახით მოსილო,  
 ზღვისპირეთო, ციტრუს-ყვავილოვანო, —  
 ტყეები და ბუჩქარები გამშვენებს,  
 კლდეებიდან ჩანჩქრები ჩხრიალებს,  
 გმრჩე სელი ახალს ქმნის და აშენებს,  
 ძმობის ჰანგი გუგუნებს და გრიალებს.

ფერდობებზე, ნაცვლად ბილიკებისა,  
 შარაგზებზე მანქანები სრიალებს,  
 დღეს აჭარის დიდების და ქებისა,  
 სიმღერის და მუსიკის ხმა წკრიალებს.

ბრძოლითა და ცეცხლით მონაპოვარი  
 გამარჯვების დროშა მიმოფრიალებს,  
 გმირულ შრომით წინსვლა სახელოვანი  
 ცხოვრების ჩარხს მარად წინ ატრიალებს.

ივტორ-მთქმელი ბინალი ფუტკარაძე,  
 შუახევის რაიონის სოფელ  
 დარჩიძეების მცხოვრები.

## შემოდგომის სუნი მეცა

შემოდგომის სუნი მეცა,  
 როგორც ვატყობ, ახლოს არის,  
 ზღვა ყანების გასალეწყდ  
 აგუგუნდა რკინის ხარი.

ერთნაირად დატვირთულა  
 ველ-მინდორი, მთა და ბარი,

მუყაითი მშრომელისთვის  
გაუღია გულის კარი.

ავტორ-მთქმელი რომან ანანიძე,  
ქობულეთის რაიონის სოფელ ივ-  
უვისთავის მცხოვრები.

## შ უ ა მ თ ო ბ ა

შე ამოვა და ქვეყანას  
ეფინება ზიზა თვალი,  
მორთული და მოკაზმული  
ცხენზე ჯდება ყველა ქალი.

ერთი არის პატარძალი,  
თეთრ ცხენზე რომ ამხედრდება,  
ერთიც ნეფე, მხედრობით რომ  
ვერავინ ვერ შეეღრება.

ფანდური და ლექსების თქმა,  
შაირების ღვარად დენა,  
ამ მხარისა და იმ მხარის  
პასუხი და არ დათმენა.

აქა ჩნდება, ვისაცა აქვს  
სიტყვების თქმის დიდი ნიჭი,  
შაირებში ერთმეორეს  
უსხდებიან გოგო-ბიჭი.

მთქმელი წუგზარ ქათამაძე, ჩოხატაურის.  
რაიონის სოფელ ზოტის მცხოვრები

## ასეთებსაც ტავაზყდებით

საღაც მივალთ, გაღავხედავთ,  
სოფლად მინდვრებს, ბუჩქნარებს,  
ვაქებთ შრომისმოყვარულებს,  
ვაკრიტიკებთ უქნარებს.

მაშინ დროს არ გავატარებთ  
მხოლოდ უქმად ჯდომაში,  
ვაღიარებთ ავსა და კარგს  
სწავლაში თუ შრომაში.

ყველა სოფლის ბედილბალი  
კარგი შრომით ბრწყინდება,  
უქნარა და ზარმაცები  
სოფლად ჩვენ არ გვჰირდება.

ავტორ-მთქმელი ბინალი ფუტკარაძე  
შუახევის რაიონის სოფელ  
დარჩიძეების მცხოვრები.

---

ოდეჟსა ნოვიცი  
ვოღოვიმი გოღები  
მიხეიდ ჭიათურები

## ე ე ს ვ ე რ ა ა თ ი ც ლ ი ს გ ე მ ე რ ა

ახალი ერის მესაყვირეობი

მოძავ ქართველი ხალხის შვილმა, მეზნებარე ინტერნაციონალისტმა, სამოქალაქო ომის გმირმა, რევოლუციის მამაცმა ჯარისკაცმა ვასილ ისიდორეს ძე კიკვიძემ ბევრი რამ გააკეთა უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. მან ჩამოაყალიბა წითელი გვარდის რაზმები, წინ მიუძლოდა მათ ჰაიდამაჯებთან, გერმანელ ინტერვენტებთან ბრძოლაში.

ათას ხუთას კაციანი მოხალისეთა მებრძოლი რაზმისაგან მან შეემნა მე-16 მსროლელი ღივიზია, რომელმაც უკვდავი დიდება მოიპოვა კონტრ-რევოლუციური ცენტრალური რაიას ჯარებთან ბრძოლაში. ბერდიჩევისა და ეიტომიჩის რაიონებში ნაწილებმა კიკვიძის მეთაურობით საკადრისი მიუზღვეს გერმანელ ოკუპანტებს, შავი ღრუბელივით რომ მოიწევდნენ უკრაინაზე.

კიკვიძის ცხოვრება მთლიანად შეეწირა ოქტომბრის დიად საქმეს. ჩვენ არ შეიძლება არ აგვალელვოს წითელი არმიის პირველ შენაერთთა ამ ბრწყინვალე ორგანიზატორის მხედართმთავრულმა საქმიანობამ. მისი საბრძოლო ოპერატორული რუკა აჭრელებულია შინაგანი კონტრრევოლუციის, პეტლიოუროვშინის, კაიზერელ ოკუპანტთა წინააღმდეგ ყოველ-დღიური იერიშების, შეტევების, ბრძოლების ისრებით.

დაუგიწყარია კიკვიძის შეხვედრა ვ. ი. ლენინთან. რაც 1918 წლის მაისში მოხდა. სამხედრო და საზოგადო საქმეთა სახალხო კომისარიატის

ოპერატიული განყოფილების ყოფილი უფროსის ს. ი. არალვასის მოვლა  
ნებებში ჩვენ ვკითხულობთ ვ. ი. ლენინის სიტყვებს ლეგენდარული დღიუ  
ვიზის უფროსის შესახებ: „ხალხი გვაძლევს ნიჭიერ მეთაურებს. ა. მაგა-  
ლითად, კიკვიძე, ის აერთიანებს პატარა რაზმებს დიდ შენართებად. მამა-  
ცი, ქვემით უფროსია“.

ვასილ ისიდორეს ძე სასიკვდილოდ დაიჭრა ხუტორ ზუბრილოვისთან,  
დონზე. სახელვანი მხედართმთავრის ცხედარი. მოსკოვს გადასვენეს.  
ვ. ი. კიკვიძე განისვენებს ვაგანკის სასაფლაოზე. ლეგენდარული დივიზიის  
უფროსთან გამოთხვებისას ა. ვ. ლუნაჩარსკი მიმობდა: „იძინე მშვიდად,  
გმირო! შენი სახელი სამუდამოდ იდიდებს შენი ქვეყნის ისტორიის ფურ-  
ცლებზე!“ მისი მე-16 მსროლელი დივიზია დაჯილდოებულ იქნა საპატიო  
რევოლუციური წითელი დროშით.

დივიზიის ნაწილებმა, რომელიც ვ. ი. კიკვიძის სახელს ატარებდა,  
ესტონეთში ფაშისტურ ურდოთა პირველი დარტყმები მიიღეს, მეზღვაურ  
ბალტიკებთან ერთად ისინი თავგანწირვით იცავდნენ ტალინს, იყვნენ  
ლეგენდარული ლენინგრადის დაცვის მონაწილენი.

ვასილ ისიდორეს ძე კიკვიძე დაიბადა ქუთაისში. ჭაბუკობის წლებიდა-  
ნვე დაკავშირებული იყო რევოლუციურ სტუდენტებთან, ვლადიმერ მაია-  
კოვსკისთან. მას, როგორც ძეველ მეგობარს, შეხედა კიდევაც მოსკოვშია  
ლეტერატურულ საღმომავრე. სწორედ მაშინ პოეტი მშრომელთა, ჯარისკაცე-  
ბისა და მატროსების წინაშე გამოდიოდა თავისი ნაწარმოებით. ეს იყო  
დაუვიწყარი შეხვედრა დიდი ხეილის განშორების შემდეგ.

სწორედ ამას ეძღვნება ფრაგმენტი კინოსცენარიდან ვასილ კიკვი-  
ძეზე, რომელიც დაწერილია ვ. გოლუბიანთან და გომიხენილ კინორეჟისორ-  
თან, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტთან მ. ჭიაურელთან ერთდ; ამ  
უკანასკნელმა მუშაობა დაიწყო გმირზე მხატვრული ფილმის შექმნასთ-  
ვის, მაგრამ მოულოდნენლმა სიკედილმა არ მისცა ჩანაფიქრის განხორციე-  
ლების საშუალება.

### ოლეადა ნოვიცია,

საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი.

\* \* \*

**აოსტოვი. 1918 წელი. მზანი დღე. ქუჩაში მოდის კიკვიძე. ქამარზე,  
ვიწრო წელს რომ არტყია, ვერცხლისფრად ბრწყინვას კავკასიური ხმალი,  
ხისბუდიანი მაუზერი ჰქილია. ფართო მხრები უხეშად შეუბოჭავს ყაწი-  
მებს. ტრამვაის ლიანდაგზე ნელა მიგორავს ტომრებიანი პლატფორმა.  
ჭვაფენილი ალაგ-ალაგ აყრილია. ხის ფენილის ნაწილი კი, ალბათ, ჯერ  
კიდევ ზამთარში წაიღეს შეშად. მაღაზიებთან ჩიგებია. საღებავი ჩამო-  
ლვენთილა. ვიტრინები დაბზარულია. ზოგი მათგანი დეკრეტებითაა და-  
წებილი. ბევრი სავაჭრო ფიცრებით აუჭედავთ. კიკვიძის გვერდით აჩქა-  
რებით მიმოდიან ადამიანები. ბევრ მათგანს ბარგი ჰქილია. იქმნება შთა-  
ბეჭდილება, თითქოს ქალაქიდან გარბოდნენ.**

უცებ დაიქუხებს ინტერნაციონალი. გამოჩენდება წითელგვარდიელი თა რაზმი. ყველა ახალგაზრდაა. მათი სახე და იერი სიმტკიცეს გამოხატავს. შაშხანებითა და ზურგჩანთებით არიან. გამაყრუებელი ხმაურით გამოვარდება მოტოციკლისტი: გეჩვენება, თითქოს სადღაც მოსახვევში ტყვიამფრქვევის კაჯანი ატყდა... კიკვიძე დიდ სადარბაზოსთან ჩერდება. აქ საგრძნობი გამოცოცხლებაა. შემოადიან ჭაბუკები, გოგონები. საღარბაზოს გვერდით წარწერაა: „დრომატული სკოლა“.

...ლამაზი სამსართულიანი ვილა. მეტად საზეიმო იერი დაჭირავს. ჩანს, ვერაფერი დაუკლია მისთვის ვერც ქარიშხლებს, ვერც ქუჩებში გაჩაღებულ ბრძოლებს. კარებზე უზარმაზარი აფიშაა: „დღეს საკუთარ ლექსებს კითხულობს ვლადიმერ მაიაკოვსკი“. კარებთან ორი ახალგაზრდა საუბრობს. გრძელმიანი ყმაწვილი თანამოსაუბრეს მისჩერებია და ეჭვითა და ამრეზით უსმენს. მეორე — ჩაფსკვნილი, შავხალათიანი, ჩანს, ახალგაზრდა მუშა, თავგამოდებით უმტკიცებს:

— ო, არა, შენ ჯობს შემოხვიდე და მოუსმინო! ის უწესრიგობისა და უხამსობის ჯილაგს სულ ამოატრიალებს... დაუნდობლად ანგრევს... წმენდის ყოველგვარი ობისაგან... ის ხომ რევოლუციის მომლერალია! შემოდი, შემოდი, გეუბნები, და შენც ბევრ რამეს მიხვდები...

კიკვიძე შეჩერდება, გადაიკითხავს აფიშას. ბოხობს გვერდზე მოიქცევს და შედის...

უზარმაზარი დარბაზი ახალგაზრდებით გაჭედილა. ისინი სხედან სკამებზე, იატაკზე, ფანჯრის რაფებზე, დგანან კედლების გასწვრივ. ჯგუფ-ჯგუფად სხედან იარაღსამული მატროსები და წითელგვარდიელები. მათი მზერა მიკარობილია დარბაზის ბოლოსაკენ, სადაც მაღალი ბოგირია. მასზე ფეხიფეხგაბაჭაგინებული დგას მაიაკოვსკი. ის ამთავრებს გამოსვლას. ხელის მოძრაობით, თითქოს ჰაერი გაჭკვეთათ, ადასტურებს ნათევამს:

— ჩვენი ლოზუნგი — ვიდგეთ კლდეზე სიტყვისა „ჩვენ“ სტვენისა და რისხვის აზვირთებულ ზღვაში იმისათვის, რომ სიხარულით შევაღოთ ხელოვნების პატარა „ჩვენ“ კომუნიზმის დიდებულ „ჩვენ“-ში...

ტაში გრიალებს. განსაკუთრებით ღელავენ მატროსები, რომელთაც მთელი პირველი რიგი უკავიათ. ისინი ფეხებს აბრახუნებენ. ყვირიან „ბრავო!“, „მაიაკოვსკი, ბრავო“. კიკვიძე იმათ შორის გაივლის, ბოგირთან ახლოს რომ სხედან, მაიაკოვსკი ხელს მაღლა აღმართავს. ტაში. ცხრება. დარბაზში ხმაური და ლაპარაკი ისმის. მჭექარე ხმით, რომელიც ფარავს უაზრო ურიამულს, მაიაკოვსკი ამბობს:

— „მარცხენა მარში!“... ვუძღვნი მატროსებს. — მატროსები ერთ-მანეთს გადაულაპარაკებენ. ურიამული წყდება. მაიაკოვსკი საუნიან ნაშიგს გადადგამს წინ და ხმამაღლა იწყებს კითხვას:

ორატორებო, ჩუმაღ!  
თქვენია  
სიტყვა,  
ამხანაგო მაუზერ...

ლექსის არაჩვეულებრივი ორატორული წყობა, რომელიც თითქოს  
პირდაპირ შებლში ურტყამს, რიტმას ენერგია, ამაფეთქებელი ძალა —  
სტრიქონები რომ დაუმუშავს, კითხვის შემტევი, მოირიშე მანერა —  
ყველაფერი ეს უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს აუდიტორიაზე. ზოგა  
დამსწრე დგება და ზეზე უსმენს. შაშხანას მაგრა ხელჩავლებული მატ-  
რისები მოჯადოებულივით სხედან.

ლურჯხალათიანებო!  
ფრთებით  
ოქეანის გალმა გასწით!  
რეიდებზე ჯავშნოსნებს  
დაუჩლუნგდა მახვილი მკერდი?  
დაე გრგვინავდეს ბრაზით  
ბრიტანეთის ლომი ფიცხელი —  
კომუნა არასოდეს დამარცხდება,  
მარცხენა!  
მარცხენა!

მაიაკოვსკი ამთავრებს კითხვას, გამოდის ბოგირის შუაში. ატყდება  
მქუხარე ტაში. ზეწამოკრილი მატრისები „ბესკოზირკებს“ ჰერში ის-  
ვრიან. ზოგი სკამზე შემდგარა და ყვირის: „ბრავო, მაიაკოვსკი!“. პოეტი  
ხელს მოიჩრდილებს. ბოგირისაკენ გზას მიიკვლევს კიკვიძე. რალაც წამს —  
მაიაკოვსკი ყურადღებით უცემერის მას: დაძაბულია, თვალებს არ უჭე-  
რებს. მაგრამ ეს მხოლოდ ერთ წამს გრძელდება. წამძახებით: „ეს შეუ-  
ძლებელია... ვასო! შენა ხარ, შე ღმერთძალლო!\* ნუთუ შენა ხარ?“ მი-  
ვარდება კიკვიძეს. ეხვევიან ერთმანეთს, კოცნიან. დარბაზი მათ გისჩე-  
რებია. ტაში ცხრება. მაიაკოვსკი ბოგირის კიდესთან მიდის. იღიმება,  
თვალები უბრწყინავს:

— დვირფასო ამხანაგებო! ეს ჩემი ბავშვობის მეგობარია — ვასილ  
კიკვიძე. ერთმანეთს ქუთასიში დავშორდით, ცხრას ექვსში... ამხანაგე-  
ბო, გთხოვთ მაპატიოთ. ვაცხადებ შესვენებას.

მატრისები და წითელგვარლიელები ინტერესით ათვალიერებენ კიკ-  
ვიძეს, მის ხმალს, მაუზერს. მეგობარს ხელმოხვეული მაიაკოვსკი გასასვ-

\* ხაზგასმული სიტყვები აქაც და ქვემოთაც ქართულადაა დელანში. — მთარგმნელი.

ლელისკენ გადის. მათ გზას უთავისუფლებენ. ყველგან ჯგუფ-ჯგუფად დგას ხალხი. კიბეებზე ეწევიან. ყველა კიკვიძესა და მაიაკოვსკის მისჩეუ რებია. ისინი ჩადიან დაბრა. მოედანზე სამი მატროსი დგას. ოოცა მაიაკოვსკი დაინახეს, ერთმანეთს ხელები ჩაჭიდეს, შეწყობილად წამოიწყეს: ვინ წარსდგა იქ ფეხი მარჯვენა?

მარცხენა!

მარცხენა!

მარცხენა!

მათ ჩაუვლის მაიაკოვსკი. გულიანად იცინის. კარებთან მას წამოე-შევა მორცხვი ქერა ყმაწვილი:

— ვლადიმერ ვლადიმერის ძევ, ოქენ ჭერ კიდევ გასულ კვირას და-მპირდით, რომ ჩემს ლექსებს მოისმენდით...

— დღეს, საშეო, აუცილებლად მოგისმენთ... აუცილებლად. მანა დამიცადეთ.

მაიაკოვსკი და კიკვიძე ეზოში შედიან.

\* \* \*

**მზოს** შუა ლამაზი აუზია. ის მიტოვებულია, ბალახს დაუფარავს. გვერდით ტალავერია. შედიან შიგ. მაიაკოვსკი მხერებზე ხელს მოხვევს მეგობარს:

— მოდი, ერთი კარგად შეგათვალიერო... ვაჟკაცი... დიდი ვაჟკაცი!

— ძალიან ახარებს შეხვედრა. შესციცინებს კიკვიძეს. მის ხმალს წაავლება ხელი.

კიკვიძესაც უხარია, იცინის:

— ძალიან კი გაზრდილხარ, შენ გენაცვალე. — ისინი სხდებიან.

— აბა, მომიყევი, ვასო...

— ვალოდია, ეს არის ლენინთან ვიყავი. — წყნარად და მოულოდნელად აცნობებს კიკვიძე. მაიაკოვსკი ყურადღებით უცქერის. — ახლაც ძლიერი შთაბეჭდილების ქვეშ ვარ... ეს ჭეშმარიტად არაჩვეულებრივი ადამიანია.

— კი, ვასო, მართლაც, ის არაჩვეულებრივი ადამიანია. ელაპარაკე?

— ველაპარაკე.

— ჩვენ შორის ცოტას თუ აქვს ბეღნიერება მასთან საუბრისა. მეც ვიყავი სმოლნში 25 ოქტომბერს, დაინახე... მხოლოდ დავინახე...

— გესმის, ვალოდია... მან შესანიშნავად იცის საომარი ვითარება. საბრძოლო მოქმედებათა გეოგრაფია. პირდაპირ მაკვირვებს მისი სამხედრო მსჯელობათა სილრმე. და ის ხომ წმინდა სამოქალაქო ადამიანია!

— ეს არის გენიალური ადამიანი... ჯერ შემიძლია მხოლოდ შენ გამოიყენო, ვასო... პოემა ჩავითქიქე... პოემა ლენინზე.

— თუ გავიმართლებს და მაგას მართლაც გააკეთებ, ეს რაღაც გრანდიოზული რამ იქნება... მე ვფიქრობ, რომ მთავარია გამოსახო ამ ადამიანის სიდიადე და უბრალოება. — მაიაკოვსკი ყურადღებით უსმენს.

— ასე, სწორედ ასე მაქვს ჩაფიქრებული...

— გესმის, ვალოდია, — გატაცებით განაგრძობს კიკვიძე, — მას შეუძლია მიგიხდეს გულისნადებს. ილიჩთან საუბრისას დაგრწმუნდი, რომ მისთვის მახლობელი და გასაგებია მებრძოლთა მისწრაფება და სურვილი. მას მთელი არსებით სწამს მათი...

— დიახ, ლენინი დიდი ოპტიმიზმით უცქერის რუსეთის მომავალს, — ამბობს მაიაკოვსკი. ისინი გაჩუმდნენ, ალბათ, ერთსა და იმავეზე ფიქრობდნენ. — ახლა კი, მეგობარო, მომიყევი საკუთარ თავზე. სად მოღვაწეობ ამჟამად?

— ამჟამად ტამბოვში ვარ... ფორმირებაზე... ვმეთაურობ. მე სამხედრო ვარ. აქ საგანგებო საქმეებზე ჩამოვედი... ვიყავი ვლადიმერ ილიჩთან, ვინაიდან სურთ დაშალონ ჩემი დივიზია.

— როგორ?! დაშალონ? — უკვირს მაიაკოვსკის.

— კი, კი, ვალოდია, სურთ დაშალონ საკისებით ბრძოლისუნარიანი დივიზია. მაგრამ ილიჩმა გადაწყვიტა ჩვენთან, ტამბოვს, გამოგზავნოს სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი პოდვოისკი. დღე დღეზე ველოდებით და დივიზიის ბედიც გადაწყდება. ეტყობა, თეთრებს დაგსცებთ ცარიცინის ფრონტზე...

— ჰო, გაგიჭირდება... — პოეტი დგება... — ოდესიაც იოლად გავრდიოთ. — ისინი ტოვებენ ტალავერს. ბალახით დაფარულ აუზთან მაიაკოვსკი განაგრძობს: — მაგონდება ქუთაისი... გიმნაზია... რიონში ბანაობა...

— არასოდეს დამავიწყდება, როგორ ჩაძერი უზარმაზარ ღვინის კასრში და იქიდან კითხულობდი ლექსებს, — ამბობს კიკვიძე. მაიაკოვსკი ილიმება. ხელებს შლის:

— ლექსები კასრიდან! აქამდე არ შემიძლია დავივიწყო, ვასო, თუ როგორ მიაბნიე პოლიციელის ზურგს იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის მიმართვა გიმნაზისტებისადმი... დღევანდელ დღესავით მახსოვს მისი ჩოფურა სიფათი...

— ქუთაისიდან შენი წასკლისთანავე, — განაგრძობს კიკვიძე, — დავმალე არალეგალური ლიტერატურა... მერე და როგორ გონია, სად?

— წარმოდგენა არა მაქვს, — მხერებს იჩეჩს მაიაკოვსკი.

— უანდარმერიის სამართველოს სარდაფში!

— იმ ორსართულიან სახლში, ლობე რომ ერტყა?

- სწორედ იქ...
- გახსოვს ჩვენი გიმნაზიის მასწავლებელი? — ეკითხება მაიაკოვსკი.
- რომელი?
- კაზმული სიტყვიერებისა...
- მახსოვს. ყნოსავდა თავის გრძელ წვერს, როცა პუშკინის სტრანები ავიწყდებოდა. მაში, კარგად მახსოვს.
- ქიკვიძე საათს დასცემრის.
- როგორ გადის ღრრო... მისმანე, ვალოდია, ჩამოდი ჩვენთან... როვორ გაეხარდებათ წითელგვარდიელებს...
- ემშვიდობებიან ერთმანეთს.
- ახალ შეხვედრამდე, ძვირფასო! — ამბობს მაიაკოვსკი. ქიკვიძე ეხვევა და გატაცებით კითხულობს:

კმარა ცხოვრება ზანტი  
ადამის და ევას ადათით.  
ჩვენ წინ გავდენოთ  
ისტორიის ჯაგლაგა ცხენი.

მაიაკოვსკი ხმამალლა აიტაცებს:

მარცხენა!  
მარცხენა!  
მარცხენა!\*

ჰაზეთი „ლიტერატურა“ უკრაინა

უკრაინულიდან თარგმნა  
ბრიგოლ დიხარულიძე



არ მიმდინარეობდა. მას წარმართვედა ლენინური კომუნისტური პარტია, რომელიც მიწყვივ იღვწოდა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებისათვის, შზრუნველობით ზრდიდა ლიტერატორთა და ხელოვნების მუშაქთა კადრებს ხალხის ერთგული სამსახურის სულისკვეთებით, იმასათვის, რომ მათ შეექმნათ ქვეყნად კომუნისტური იდეალების დამკიდრებისათვის ბრძოლის ასახველი, იდეურად მნიშვნლოვანი და მხატვრულად საინტერესო ნაწარმოებები.

ეს არ იყო იოლი, ადვილად გადასაწყვეტი ამოცანა. ლიტერატურის ერთიან — საბჭოთა საფუძველზე წარმართვას აფერებდა სხვადასხვა, ხშირად ერთმანეთთან მკვეთრად დაპირისპირებულ ლიტერატურულ დაჯგუფებათა არსებობა, რომელთა დიდი უმრავლესობა ფაქტიურად შორს იდგა ხალხის, მშრომელი მასების ინტერესებისაგან. საქართველოში, მაგალითად, ოციანი წლების დამდეგისათვის პროლეტარულ და მწერალთა ჯგუფთან ერთად არსებობას განაგრძობდა ცისფერყანწელთა ლიტერატურული ორდენი, აგრეთვე ახალშექმნილი „აკადემიური ასოციაცია“, რომელშიც ძირითადად გერმანიანდენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით უკმაყოფილო მწერლები, და „ლეფი“ ანუ „მემარცხენება“ — ფუტურისტთა ჯგუფი. პროლეტარულ მწერლებზე უფ-

რო შემარცხენებად რომ მოვქანდათ თავი.

უკელა ამ დაჯგუფებიდან ბოლომდე თანამიმდევრული რევოლუციური პოზიცია ეკავა მხოლოდ პროლეტარულ მწერალთა ჯგუფს (ს. ეული, ნ. ზომლეთელი, ი. ვაკელი დასხვ.). მართალია, ეს ჯგუფი ს. წერებლო ა. სარეზზე გამოვადა კი კიდევ რევოლუციამდე, ნაგრძა მისი იავიორც ორგანიზაციული განმტკიცება, ისე შემოქმედებითი აღორძინება დაიწყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როცა შეიქმნა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია. ამ ასოციაციას პქმნდა ყოველთვიური სამხატვრო-სალიტერატურო ორგანო უურნალი „ქურა“, რომელიც თავიდანვე ენერგიულად იბრძოდა ხალხურობისა და პარტიულობის ლენინური პრინციპების დამკვიდრებისათვას ქართულ ლიტერატურაში. „პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში, — წერდა უურნალი „ქურა“ პირველსავე ნომერში 1922 წელს, — ჰეშმარიტი პოეზია შეიძლება იყოს მხოლოდ პროლეტარული, კომუნისტური და ამ რევოლუციური კლასის დიქტატურის გატარების როლის შემსრულებელი“. ეს გარემოება განსაზღვრავდა უურნალის ამოცანასაც — გამხდარიყო „პროლეტარული ლიტერატურის, მხატვრული კრიტიკის და პოეზიის ქართული სამჭედლო“.

ცალკეულ ლიტერატურულ და-

კვეუფებათა შორის მიმდინარე პრძოლას განაპირობებდა მთელ ჩვერს ქვეყანაში გაჩაღებული გა- აფთრებული კლასობრივი შეტა- ცებანი. მშრომელი მასები ონა- ხული ენთუზიაზმით შეუდგნენ ტველის, დრომოჭმულის მსხვრე- ვას და ახალი ცხოვრების მშენე- ბლობას. პოლიტიკისა და ეკონო- მიკაში ისინი თანდათან მტკიცედ ეუფლებოდნენ მბრძანებელ სი- მაღლეებს და თავის ნებას უმო- რჩილებდნენ საზოგადოების გან- ვითარებას. ბუნებრივია, რომ გა- ნახლებისა და გადახალისების ორგიტაში ლიტერატურაც მოექ- ცა, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების დიდმნიშვნელოვანი ფორმა. განსაკუთრებით აფასებ- და პარტია მასებზე მწერლობის იდეურ-პოლიტიკური და ზნეობ- რივი ზემოქმედების ძალას, მის აღმზრდელობითს ფუნქციას.

ეს გარემოება განსაზღვრავდა კომუნისტური პარტიის დამკი- დებულებას ლიტერატურისადმი. იგი, რა თქმა უნდა, გულგრილად ვერ დარჩებოდა ლიტერატურაში მიმდინარე პროცესებისადმი, ვერ შეურიგდებოდა მის სტიქიურ გა- ნვითარებას. თავისი იდეოლოგი- ური პოლიტიკის განხორციელე- ბისას პარტია ეყრდნობოდა პრო- ლეტარულ მწერლობას, რომე- ლიც ერთადერთი გამოხატავდა მიიერიშე მუშათა კლასის, მთელი ხალხის ინტერესებს, ხელს უწ- ყობდა მისი იდეურ-მხატვრული წონის ამაღლებას, მისი ჰეგემო-

ნიის დამკვიდრებას, მაგრამ ამავე დროს დღენიდაგ ზრუნავდა „სუკა- ლიტერატურულ დაგუფება“ თა საუკეთესო წარმომადგენლების დაახლოებისათვის, იმისათ ვიც, რომ მათ სწორად შეეცნოთ საბ- ჭოთა ხელისუფლების მიზნები, მისი ნამდვილი ხასიათი და თავი- ანთი მდიდარი მხატვრული ნიჭი მოეხმარებინათ ზალხისათვის.

ცხოვრებამ დაადასტურა, რომ ეს იყო ერთადერთი სწორი პო- ლიტიკა. სწორედ მისი შემწეო- ბით და ახალი, საბჭოური სინამ- დვილის ზეგავლენით ბევრმა მწე- რალმა გადასინჯა იდეურ-ესთე- ტიკური პოზიცია, გადააფასა სუ- ლიერი ლირებულებანი და არათუ თვითონ დადგა საბჭოთა ხელისუ- ფლების პლატფორმაზე, არამედ ამასთან ერთად მხარში მოუდგა პარტიის მისი იდეოლოგიური პოლიტიკის განხორციელებაში, მოუწოდა თანამოკალმებს დაეგ- დოთ ძველი გზა და გაჰყოლოდ- ნენ ახალ ვარსკვლავს. იესახათ ახალი ყოფა, ახალი ცხოვრების მშენებლობის დიადი პროცესა, ახალი ადამიანები, რომლებმაც მიზნად დაისახეს არარა გაეხადათ სკიანად.

ერთი პირველთაგანი, ვინც „ახალ ვარსკვლავს“ გაჰყვა საქა- რთველოში, ჩვენი დროის უდი- დესი ლირიკოსი გალაკტიონ ტა- ბიძე იყო. მან ჯერ კიდევ 1922 წლის დამდეგს მოითხოვა კაფე- შანტანების პოეზიის უკუგდება და ხალხის ცხოვრებასთან დაახ- ლოება, ხოლო იმავე წლის მიწუ-

რულს მთელი სიგრძე-სიგანით აყენებდა ოცნელუციასთან, საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გარდუვალობის საკითხს: „შფოთით, გრგვინვით მოანგრევენ კლდე-ღრეებს რევოლუციის ნიაღვები. ისინი მარხავენ ძველ ფორმებს, ისინი მღერიან ჰიმნს მარადი სიახლისას“. ასეთ ვითარებაში, პოეტის რწმენით, ლიტერატორი, ხელოვანი ხალხს უნდა ედგას მხარში, მაგრამ განა ყველას ხელეწითებოდა ეს? და იგი მიმართავდა თავის თანამოქალმეებს: „შესძლებთ თუ არა განიცადოთ ყოველივე ეს ისე, როგორც მოითხოვს თანამეტროვეობა? გრძნობთ თუ არა, რომ ჩვენს ეპოქას უნდა ანათებდეს მისი შესაფერი ხელოვნება?“

გალაკტიონ ტაბიძისათვის უკვე მაშინ იყო ცხადი, რომ თანამეტროვეობის რთულ პროცესებში გაურკვევლობა, რევოლუციისაგან, ხალხისაგან განდგომა, განახლების უარყოფა არსებითად შემოქმედის სიკვდილს, მისი მხატვრული ნიჭის დაღუპვას უდრიდა და წამოაყენა კონკრეტული საბრძოლო ლოზუნგი: „განახლება ან სიკვდილი“. ამავე მისწრაფებით არის გამსჭვალული გალაკტიონის საეტაპო ლექსი ქართული საბჭოთა პოზიის ისტორიაში „ჩვენ, პოეტები საქართველოსი“, რომელშიც მან თანამოქალმეებს კვლავ მოუწოდა თავისი ჩანგი გადაეცათ რევოლუციისათვის, ხალხისათვის: „დავღგეთ იქ, სადაც

ქარიშხალია და სისხლიანი დგას ანგელოსი, ახალ გრიგალებს ვწროვათ სიცოცხლეს ჩვენ, პოეტები საქართველოსი“.

დიდი პოეტის ამ მგზნებარე, მოწოდებამ ბევრად შეუწყო ხელი ახალი იდეებით ქართული ლიტერატურის გამდიდრებას, ქართველ მწერალთა შულიერი გადახალისების დაჩქარებას. ახალი, საბჭოთა სინამდვილის ზეგავლენით ქართული მწერლობის თითქმის ყველა საჟღეთესო წარმომადგენელი თანდათანობით ეთხოვებოდა ძველ პოზიციებს, სულ უფრო მკაფიოდ ხედავდა საბჭოთა საქართველოს უპირატესობას, მის ნათელ შომავალს და გალაკტიონის მსგავსად იქ დგებოდა, სადაც რევოლუციის ნიაღვრები მიანგრევდნენ კლდე-ღრეებს და ახალი ცხოვრება იჭედებოდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ნიადაგი ეცლებოდა სხვადასხვა ლიტერატურულ დაჯგუფებათა არსებობას და მზადდებოდა პირობები ერთიანი საბჭოთა ლიტერატურული ორგანზაციის შესაქმნელად.

რამდენადმე თავისებურად მიმდინარეობდა ახალი, საბჭოთა ლიტერატურის დამკვიდრების პროცესი ჩვენს მშობლიურ კუთხეში — იჭარაში. საქმე ის იყო, რომ ოციანი წლების დამდეგისათვის ბათუმში თითო-ოროლა მწერალი თუ მოღვაწეობდა და, ცხადია, არც რაიმე ლიტერატურული დაჯგუფება არსებობდა. არ იყო გამომცემლობა, არ გამოდიოდა ლი-

ტერატურული უურნალ-გაზეთები. მართალია, ზოგჯერ იძეჭდებოდა ესა თუ ის ლიტერატურული გაზეთი ან უურნალი, მაგრამ ერთი-ორი წილის გამოსვლის შემდეგ ისინი, როგორც წესი, არ-სებობას წყვეტილენ. — არ კმაროდა მწერალთა კადრები და, მაშასადამე, ლიტერატურული პროდუქციაც. ამდენად „კანდელი“, „ისპირი“ და უურნალის სახელით ცნობილი სხვა გამოცემები პერიოდული ორგანო კი არა, ფაქტიურად აღმანახი იყო.

რა თქმა უნდა, ლიტერატურულ დაჯგუფებათა არარსებობა ერთგვარად ააღვილებდა პროლეტარული მწერლობის შექმნასა და განვითარებას, მაგრამ არ უნდა ვითიქროთ, თითქოს ახალი ლიტერატურის დამკიდრების პროცესი სტიქიურად, ან ზოგად-საბჭოური და ზოგადქართული ლიტერატურული ცხოვრებისა-გან მოწყვეტით, კარჩაკეტილად მიმდინარეობდა. ამას მოწმობს თუნდაც სამხატვრო-სალიტერატურო და სამეცნიერო უურნალი „ისპირი“ (რედაქტორი ვიქტორ გაბერსკირი), რომელიც 1924 წლის გაზაფხულზე გამოვიდა ბათუმში.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ „ისპირი“ იყო ლიტერატურული დამატება უურნალ „კავკასიონისა“, რომელსაც ლიტერატურული დაჯგუფება „აკადემიური ასოციაცია“ უშვებდა. გარდა იმისა, რომ „ისპირის“ ავ-

ტორთა დიდი უმრავლესობა „აკადემიურ ასოციაციაში“ შემოიწვადა, უურნალი „კავკასიონს“ თვლიდა იმ კიბის პირველ მარმარილოს საფეხურად, რომელსაც ქართული მწერლობა უნდა იყვანა „ზევით, უმტვერო თოვლით შემოსილ კავკასიონზე“. შინაარსითაც „ისპირში“ დაბეჭდილი მხატვრული პროდუქცია არ უპასუხებდა დროის მოთხოვნებს. ი. გრიშაშვილი, კ. მაყაშვილი, დ. მეგრელი, ლ. ქიახელი, ვ. გაბერსკირია ისევ ქალს, სიყვარულსა და სილამაზეს უმღეროდნენ, ხოლო კ. გამსახურდია ღმერთს შესთხოვდა: „მოგვხდე, უფალო, გვიხსენი, გვიხსენი, მოგვამადლე, უფალო, კურთხევა შენი“. გამონაკლისი მხოლოდ შალვა დადიანი იყო. იგი აღძრავდა აქტუალურ ცხოვრებისეულ პრობლემას. თუმცა ახლისათვის, პროგრესულისათვის აქტიურ მხარდაჭერას მაინც ლოდინს ამჯობინებდა.

ამის მიუხედავად, „ისპირს“ უკვე ეტყობოდა ახალ სოციალურ ქროლვათა კვალი. იგი აშკარად გამოთქვამდა თავის უკმაყოფილებას დაპირისპირების ულლიტერატურულ დაჯგუფებათა ურთიერთბრძოლით, მი ა ჩ ნ დ ა, რომ „ქართული ლიტერატურული სული“ დაიღალა და საერთო ეროვნული კულტურის ინტერესებისათვის მოიხოვდა ბრძოლის შეწყვეტას, ზავსა და სიმშვიდეს: არა ბრძოლა, არამედ ნათე-საობა და მირონი. საგულისხმო

ისიც, რომ თუმცა დიდი სიმპა-  
თიით ეკიდებოდა „აკადემიურ  
ასოციაციასა“ და მის უურნალ  
„ქავეყასიონს“, „ისპირი“ ცდილო-  
ბდა კავშირი დაემყარებინა ახალ  
ლიტერატურასთან, ამავე დროს  
თავს ესხმოდა ცისფერყანწელ-  
ებს, უპრინციპობისათვის აკრიტი-  
კებდა უურნალ „ლეილას“, მიესა-  
ლმებოდა ძველი თაობის ცალკე-  
ულ შერალთა დაახლოებას ახალ  
სინამდვილესთან. „ისპირის“ ეს  
ცდა როგორც გულწრფელი იყო, ამას  
ისიც ადასტურებს, რომ გამოაქ-  
ვეყნა პროლეტარული ხელოვნების  
განვითარებისათვის ზრუნვით  
გამსჭვალული შალვა გომართე-  
ლისა და ემილ ვალდის სტატიე-  
ბი. და თუ „ისპირმა“ მაინც და-  
ბადებისთანავე შეწყვიტა არსე-  
ბობა, ამის ძირითადი მიზეზი იყო  
იდეური ეკლექტიზმი, არათანა-  
მიმდევრული პრინციპულია,  
დაპირისპირებულთა მორიგების  
უურვილი საერთო ეროვნული  
კულტურის სახელით. არც ის  
უნდა დავივიწყოთ, რომ უურნა-  
ლის ავტორთა აბსოლუტური უმ-  
რავლესობა თბილისში მოღვაწე-  
ობდა, ე. ი. „ისპირს“ არ ჰქონდა  
მკვიდრი ადგილობრივი ნიადაგი.

ოქტომბრის იდეები კი სულ  
უფრო ღრმად. იქნებოდა ლიტე-  
რატურაში. ახალი ცხოვრების  
დამკვიდრების კვალობაზე სულ  
უფრო მძაფრდებოდა კლასობრი-  
ვი ბრძოლა და შერალთა იდეუ-  
რი დიფერენციაცია. ბევრმა მწე-  
რალმა უარყო ძველი იდეურ-ეს-

თეტიკური პლატფორმა და განა-  
ხლებული საქართველოს, მოიგ-  
რიშე მუშათა კლასისა და მთელი  
ხალხის გულწრფელი მომღერა-  
ლი გახდა. ქართულ სალიტერა-  
ტურო კრიტიკაში ხამართლიანად  
აღნიშნავენ, რომ ოქტომბრის  
იდეებმა ბევრი მწერალი გადაა-  
რჩინა როგორც მხატვარი, რო-  
გორც შემოქმედი და მათს დიდ  
ტალატნს სასარგებლო მიმართუ-  
ლება მისცა.

ოქტომბრის ყოვლისმძღვე იდ-  
ეების ზეგავლენით, პარტიის და-  
უცხრომელი ზრუნვით აჭარაშიც  
თანდათან იქმნებოდა ახალი,  
პროლეტარული ლიტერატურის  
დამკვიდრებისა და აღორძინების  
პირობები. ახალგაზრდა, დამწყებ  
ავტორებს ფართოდ გაუღო კარი  
პარტიულმა გაზეთშია „ფუხარამ“,  
რომელსაც იმხანად ცნობილი  
პროლეტარული პოეტი ნოე ზომ-  
ლეთელი რედაქტორობდა. იგი,  
ბუნებრივია, დიდ ყურადღებას  
უთმობდა ლიტერატურასა და ხე-  
ლოვნებას, სისტემატურად ბეჭ-  
დავდა ლექსებს, მოთხოვნებს,  
მხატვრულ ნარკვევებს, ლიტერა-  
ტურულ - კრიტიკულ სტატიებს,  
რითაც ხელს უწყობდა ლიტერა-  
ტურული ცხოვრების გამოცოცხ-  
ლებას, მწერალთა ახალი კადრე-  
ბის გამოვლინებასა და აღზრდას.  
აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რამ-  
დენადაც ლიტერატურის განვი-  
თარებას სათავეში ჩაუდგა პარ-  
ტიული გაზეთი, იგი თავიდანვე  
განიშვევალა რევოლუციური, კო-

მუნისტური შინაარსით და მტკი-  
ცედ დაადგა ხალხის პატიოსანი  
სამსახურის გზას.

მალე „ფუხარის“ მხარში ამო-  
უდგა უურნალი „აჭარისტანი“.  
რომელიც 1926 წელს გამოვიდა  
ცნობილი უურნალისტისა და  
ლიტერატორის გრ. ნუცუბიძის  
რედაქტორობით. მის მარტო პი-  
რველ ნომერში (სულ გამოვიდა  
სამი თუ თხი ნომერი) დაბეჭდი-  
ლი იყო ორი სტატია ლიტერა-  
ტურაში პარტიულობისა, კლასო-  
ბრიობისა და ხალხურობის ლე-  
ნინური პრინციპების დასამკვიდ-  
რებლად, იდეური სიწმინდის და-  
საცავად — ერთი („წარსულის  
ნანგრევებზე“) გმობდა ე. წ.  
„დემოკრატიული პოზიის“ წარ-  
მომაღენლების ხარიტონ ვარ-  
დოშვილისა და ალექსანდრე აბა-  
შელის იდეურ პოზიციას, ხოლო  
მეორე სტატია („ლიტერატურუ-  
ლი საქართველო“) ამხილებდა  
ქართველ ფუტურისტთა ფორმა-  
ლისტურ უონგლიორობას და  
ყალბ რევოლუციონიზმს. ამას  
გარდა, უურნალმა გამოაქვეყნა  
საგულისხმო სტატიები ხელოვნე-  
ბის, ქართული თეატრის განვითა-  
რების გზების, სერგეი ესენინის  
თვითმეცვლელობის გამო და სხვა  
მასალები, ყველაფერი ეს იმას  
ადასტურებს, რომ აჭარაში მოღ-  
ვაშე მხატვრული სიტყვის ას-  
ტატები განზე არ იდგნენ, თავია-  
ნთი წვლილი შეჯეონდათ პროლე-  
ტარული ლიტერატურის დამკვი-  
დრებაში, ფეხდაფეხ მიჰყვებოდ-

ნენ ქართულ და საერთოს უკავშირ-  
რო ლიტერატურულ ცხოვრიშის  
„აჭარისტანი“ ითვალისწიფებ-  
და დროის მოთხოვნებს და ლი-  
ტერატურული ცხოვრების აღმა-  
ვლობისათვის უცილებლად მიი-  
ჩნევდა როგორც ობიექტური,  
ისე სუბიექტური ფაქტორების  
განვითარებას. მართალია, „ფუხა-  
რის“ მეცადინეობით რესპუბლი-  
კაში აღიზარდა არაერთი ლიტე-  
რატორი, მაგრამ მიღწეული დო-  
ნე მაინც არ იყო საკმარისი. „აჭა-  
რისტანი, — წერდა ამის თაობა-  
ზე უურნალი, — ასე, როგორც  
საქართველოს ყოველი კუთხე,  
მდიდარია შემოქმედებითი ძალე-  
ბით. და თუ აქამდე ქართულ  
ლიტერატურაში არ ჩანს აჭარე-  
ლი მწერალი, ეს მხოლოდ იმი-  
ტომ, რომ აჭარისტანი ყველას გან  
მივიწყებული კუთხე იყო. ყვე-  
ლაზე ნაკლებად აჭარისტანის  
მცხოვრებთათვის ლიტერატურის  
ასპარეზი იყო გახსნილი“. აი ამ-  
იტომაც „აჭარისტანმა“ თავის  
ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად და-  
ისახა ახალგაზრდობის მიზიდვა  
ლიტერატურაში, მწერალთა ახა-  
ლი კადრების აღზრდა. ამ ამოცა-  
ნის დაჩქარებით რეალიზაციისა-  
თვის უურნალმა აუცილებლად  
მიიჩნია შემოელო საგანგებო რუ-  
ბრიკა „ახალი ძალების გამოფე-  
ნა“, რაც დღვევანდელ „ჭაშნიკს“  
შეესბამებოდა. რა თქმა უნდა.  
რედაქციამ იცოდა, რომ ახალ იტ-  
ოროთაგან შევრი არ შერჩებოდა  
ლიტერატურას, მაგრამ ტყუილად

ხომ არ არის ნათქვამი, წინა კაცი უკანას ხიდიაო და ასინი სწორედ ამ „შინაგაცობას“ გასწევდნენ, ნიაღას მოუმზადებდნენ ნამდვილად ნიჭიერთა გამოსვლას ლიტერატურულ ასპარეზზე. „შეიძლება, — წერდა ამის თაობაზე უურნალი, — ბევრი ამ განყოფილებაში მოთავსებულთაგან უნიჭონ და უშედეგო დარჩეს, მაგრამ რედაქციას სჯერა, რომ აჭარისტანში ბევრი ხალასი ნიჭი აღმოჩნდება, რომ ჩვენი უურნალი ბევრს გაუკაფავს ლიტერატურული კარიერის ძნელ დასაწყისს“.

გაზეთ „ფუნქარასა“ და უურნალ „აჭარისტანის“ მეცადინეო ბას უქმად არ ჩაულია. უკვე 1927 წელს, ე. ი. ზუსტად ნახევარი საუკუნის წინათ, საფუძველი ჩაეყარა მწერალთა პირველ ორგანიზაციას აჭარაში — შეიქმნა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა საოციაციის აჭარის განყოფილება. ამით დამთავრდა რესპუბლიკის ლიტერატურული კადრების აღზრდისა და ოქტომბრის დროშის ქვეშ მათი დარაზმების დიდმნიშვნელოვანი პერიოდი, დაიწყო ქართული მხატვრული სიტყვის განვითარებისა და აღმავლობის ახალი ხანა.

აჭარის მწერლები ერთსულოვნად ჩადგნენ ხალხის სამსახურში და მიზნად დაისახეს თავიანთ ნაწარმოებებში აესახათ გმირული თანამედროვეობა, ეჩვენებინათ ადამიანთა შეგნებისა და ფაქტოლოგიის მასობრივი გარდაქმნის

დიადი პროცესი, ახალი ცხოვრების მშენებელთა სულიერი სამყალებელი რო. ამას ადასტურებს პირველივე ალმანახი „სიტყვა ტრიბუნიდან“, რომელიც 1928 წელს გამოვიდა. მასში დაბეჭდილი ლექსები, მოთხოვნები, კრიტიკული სტატიები იდეურად აქტუალური და გამართული იყო, მაგრამ მათი ესთეტიკურ-მხატვრული დონე, სამწუხაროდ, ძლიერ დაბალი იღმოჩნდა. ამას აღიარებდა სარედაქციო კოლეგიაც, მაგრამ ალმანახის გამოცემას მაინც დადებით მოვლენად თვლიდა და მის მნიშვნელობას ასე განსაზღვრავდა: „პროლეტარული მწერლობის ასეთი კოლექტიური დარაზმება კრებულის სახით აჭარისტანისათვის პირველი მერცხალია, რომელმაც გაზაფხული უნდა მოიყვანოს“.

გაზაფხული კი მართლაც შორს აღარ იყო, ძალუმად მოისწრაფვოდა და უკვე ოცდათიანი წლების დამდეგს მხატვრული სიტყვის განვითარების ახალი ეტაპი დაიწყო. 1932 წლის 23 აპრილს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ცნობილი დადგენილება ლიტერატურული ცხოვრების გარდაქმნის თაობაზე, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა. არა მარტო ჩვენი ქვეყნის მწერალთა, არამედ მთელი საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაშიც.

ისე, როგორც ყველა მწერალთა ორგანიზაციამ, აჭარის მწერლებმაც ერთსულოვნად მოიწონეს.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, მხარი დაუჭირეს საბჭოთა მწერლების ერთიანი კავშირის შექმნას და დაშლილად გამოიცხადეს საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის აჭარის განყოფილება.

1932 წლის ოქტომბერში გაიმართა აჭარის საბჭოთა მწერლების პირველი საგანგებო ყრილობა. მწერლებისა და ლიტერატურული აქტივის გარდა, მას ესწრებოდნენ ქალაქის საწარმო-დაწესებულებათა პარტიული, პროფესიულული და კომერციული ორგანიზაციების წარმომადგენლები, დამკვრელი მუშები, მასწავლებლები, აგრეთვე თბილისელ მწერალთა დიდი ჯგუფი. ამით თითქოს ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ ლიტერატურა არ არის ცალკეულ მწერალთა კერძო საქმე, მას ფართო საზოგადოებრივი ხასიათი აქვს და იმ ამოცანებს უნდა ასრულებდეს, რასაც ეპოქა, საზოგადოება აყენებს მის წინაშე. ყრილობამ ერთსულოვნად მოიწონა პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილება და ერთხმად გადაწყვიტა: „ჩამოყალიბდეს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის აჭარისტანის განყოფილება, რომელშიც გაერთიანდნენ ყველა ის მწერლები, რომლებიც ნამდვილად დგანან საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე და გულწრფელად ისტრავებიან მონაწილეობა მიიღონ სოციალის-

ტურ მშენებლობაში თავიანთი შემოქმედებით და მოღვაწეობით“.

ეს იყო დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელმაც უზრუნველყო მხატვრული სიტყვის ახალი აღმავლობა, ხალხის ცხოვრებასთან ლიტერატურის დახლოება. ჩვენმა მწერლებმა გამოაქვეყნეს მთელი რიგი საინტერესო თხზულებანი, რომელშიც არაზოგადად და განყენებულად, არა დეკლარაციულად, არამედ კონკრეტულად ასახეს სოციალისტური სინამდვილე, ის დიდი გარდაქმნები, რომლებიც ცხოვრებასა და აღამიანთა შეგნებაში მიმდინარეობდა. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იპყრობენ პარმენ ლორიას დილოგია „ჩაი“, რომანები „განთიადი ხევში“, („დელი მურადი“), „მევლუდი“ და სხვა ნაწარმოებები, ამირან შერგაშიძის პიესები „მზე“, „პატარა შეცდომა“, პარმენ რურუსა და ნესტორ მალაზონიას ლექსები და პოემები, რომლებიც ოცდაათიან წლებში შეიქმნა და ფართო საზოგადოებრიობის მოწონება დამსახურა, დიდი პოპულარობა მოიპოვა. მათში მკაფიოდ ჩანს ახლებური დამოკიდებულება ობიექტური სინამდვილისაღმი, სოციალისტური რეალიზმის ისეთი განმსაზღვრელი პრინციპები, როგორიცაა პარტიულობა, კლასობრიობა, ხალხურობა და ცხოვრებისეული სიმართლე.

საგულისხმოა, რომ ჩვენი შწერლების იმდროინდელ ნაწარმოებებშიც პირველ აღგილზეა ადამიანი, მისი სულიერი სამყარო, ფიქრები და გრძნობები. მართალია, გარემო, ობიექტური სინამდვილე დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ფორმირებაზე, აღძრავს მასში სულიერ ჭარტეხალებს, მაგრამ იგი მაინც არ არის გარემოს პასიური პროდუქტი. პირიქით, თვითონ უკუმოქმედებს გარემოზე, თვითონ არის ახალი ცხოვრების, ახალი სინამდვილის დემიურგი და, კომუნისტური იდეალების შესაბამისად რომ გარდაქმნის ობიექტურ სინამდვილეს, თავის თავსაც გარდაქმნის, სულ უფრო უახლოვდება ადამიანობის იდეალურ მოდელს. ეს არის სოციალური რეალიზმის ლიტერატურას ერთი უმთავრესი დამახასიათებელი და განმასხვავებელი ნიშანი. მისი გმირია ადამიანი-მებრძოლი, რომელიც, თუ ჭაჭირო, სიცოცხლესაც კი სწორავს აღამიანთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის, სოციალური პროგრესისათვის და ამკვიდრებს ახალს, განვითარებადს.

სწორედ ასეთი ადამიანების მხატვრული სახეები შექმნეს, მათთი ფიქრები და გრძნობები გამოგვცეს თავიანთი ოცდაათიანი წლების ნაწარმოებებში პ. ლორიამ, ნ. მალაზნიამ, პ. რურუამ, ა. შერვაშიძემ. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა კომუნისტი ანდრო ბერტაძე (პ. ლორიას

„განთაღი ხევში“). ამ მხატვრული სახის უპირველესი ღირსება სწორედ ის არის, რომ კონკრეტულ ცხოვრებისეულ მასალაზე დაყრდნობით მწერალმა დამაჯერებლად, სრული სიმართლით გვიჩვენა, რომ ლენინური იდეებით შთაგონებული ადამიანი, კომუნისტი არასოდეს ქედს არ იდრეკს დაბრკოლებათა წინაშე, არასოდეს არ მიჰყვება დინებას. და ყოველთვის ცდილობს სასარგებლო მიმართულება მისცეს მათ. აი ასეთი აქტიური ცხოვრებისეული პოზიციისათვის შეიყვარეს მკითხველებმა ანდრო ბერტაძე და პ. ლორიას ნაწარმოებთა სხვა გმირები.

ოცდაათიან წლებში ჩვენი მწერლები არანაკლებ ყურადღებას უთმობდნენ იმ ადამიანებს, რომლებიც განხორციელებ უ ლიად სოციალურ გარდაქმნათა პროცესში თვითონც გარდაიქმნენ, იდეურად ამაღლდნენ და სულიერად გამდიდრდნენ. ამ თვალსაზრისით არის საინტერესო მურად ოდილავაძის (პ. ლორიას „განთაღი ხევში“), ახმედის (ა. შერვაშიძის „მზე“) და სხვა მხატვრული სახეები. ახმედი, მაგალითად, შორს იდგა პოლიტიკისაგან, პასიური ცხოვრებისეული პოზიცია ეკავა, მაგრამ მოვლენები ისე განვითარდა, რომ ბოლოს და ბოლოს აქტიური მებრძოლარევოლუციონერი გახდა. ასეთი გზა ოციან-ოცდაათიან წლებში მიღიონობით საბჭოთა ადამიანმა

განვლო. ამიტომ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ უანმათავისუფლებელ - რევოლუციური ბრძოლის პროცესი ამავე დროს ადამიანთა მასობრივი იდეურ-ფსიქოლოგიური გადახსლისების, სულიერი ამაღლების, პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესიც იყო.

საჭიროთა ლიტერატურის ერთი უმთავრესი თანდაყოლილი მოტივი იყო და არის ღრმა პატრიოტიზმი და ხალხთა მეგობრობა, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ერთგულება. 3. ლორიამ. ა. შერვაშიძემ, 3. რურუამ, 6. მალაზონიამ და სხვებმა ჯერ კისევ დიდ სამამულო ომამდე შექმნეს ამ მხრივ ფრიად ააკურადებო ნაწარმოებები. მათ გვიჩვენებ, თუ როგორ აერთიანებს და ადულაბებს სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს სოციალაზის რდეა, როგორ ბუნებრივად ჩნდება და ღვივდება პატრიოტულ - ინტერნაციონალისტური გრძნობა, რა დიდი სიკეთეა ივი. ამ პერიადში ა. შერვაშიძემ დაწერა პიესა „კრავჩუკის ცრემლები“, რომელიც მოძმე უკრაინის ეროვნული ორგანიზმის გამთლინებას მიუძღვნა. ეს პიესა წარმატებით იდგმებოდა უკრაინის თეატრების სცენაზე.

დიდი სამამულო ომის წინ და თვით ომის წლებში აჭარის ლიტერატორთა რაზმს შეემატენ ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტება, მწერლები, დრამატურგები, მათ შორის მ. ვარშანიძე, ნ. გვარიშ-

ვილი, გ. სალუქვაძე, ვ. კანჭალიძე, კი, კ. რუსიძე, ფრ. ხალვაში, ტომიშვილი ლმაც პირველი ლექსით „სილერია ისრაფილ ჭინჭარაძეზე“ მიიპყრო მკითხველთა ყურადღება, და სხვები. უფროსი თაობის მწერლებთან ერთად თავიანთ ნაწარმოებებში. ისინი სიმართლით ასახავდნენ საბჭოთა ადამიანების მასობრივ გმირობას ფრონტსა თუ ზურგში, აღვივებდნენ პატრიოტულ - ინტერნაციონალისტურ გრძნობებს. განუმტკიცებდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლებს ვერაგ მტერზე სრული და გარდუგალი გამარჯვების ჩამონას, ხოლო ზოგიერთი არა მარტო კალმით, არამედ იარაღითაც ებრძოდა პიტლერელ ოკუპანტებს (მ. ვარშანიძე, შ. იოსელიანი და სხვ.).

დიდი სამამულო ომის შემდგომი წლები აღინიშნა ლიტერატურისა და ხელოვნების ახალი მძღავრი აღმავლობით როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, ისე, კერძოდ, აჭარაში, სადაც მწერალთა უპვე საქმაოდ მრავალრიცხოვნ და ძლიერ რაზმს შეემატენ ნიჭიერი ახალგაზრდები: შ. როუვა, ჭ. ჯაყელი, ალ. ჩხაიძე, ი. რურუა, ქ. მეგარია, ი. მელია, ხოლო უფრო მოგვიანებით უდროოდ დაღუპული პოეტი ლ. გელაძე, ლ. სერიძევილი, ზ. გორგოლაძე, რ. ართილავა, ნ. გალავანია, ქ. ქათამაძე, მ. გორგილაძე, გ. სანალირაძე, ალ. სამსონიას უღუნტი, აგრეთვე ი. ფალავა

ვ. ლორთქიფანიძე, შ. ზოიძე, კ. ანთაძე, გ. ქუთათელაძე, ნ. მოდებაძე, ჩ. ძირკვაძე, ხოლო დღევანდელი ახალგაზრდული მწერლების ბირთვს ქმნიან ე. დავითაძე, დ. თელორაძე და სხვ.

აჭარის ლიტერატურის მიღწევათა მეტიონ დემონსტრაციად იქცა ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა, რომელიც თბილისში გაიმართა 1957 წელს და არა-ჩვეულებრივი წარმატება ჰვდა. ხელმძღვანელმა ორგანოებმა საჭირო ჩათვალეს აჭარას პეტონდა საქუთარი ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური უურნალი. სულ მალე — 1958 წლის დამდეგს მკათხველებმა უკვე მიიღეს უურნალ „ლიტერატურული აჭარის“ (ამჟამად „ჭოროხის“) პირველი ნომერი. ის ფაქტი, რომ წინამორბედ ლიტერატურულ ორგანოებს ჩვენს მხარეში დიდი ხნის არსებობა არ ეწერათ, „ჭოროხი“ კი თითქმის ოცი წელია ჩვეულარულად გამოიდის, თავისთავად მოწმობს, თუ რაოდენ გრძლიერდა აუგანტიკიტდა ლიტერატურული ცხოვრება ჩვენს რესუბლიკაში.

უკანასკნელ წლებში ჩვენმა პირველი, მწერლებმა, ღრამატურებმა შექმნეს არაერთი მაღალ-იდეური და მაღალმხატვრული ნაწარმოებები, რომლებმაც ფართო ილიარება მოიპოვეს როგორც კაცობრიობის სულიერ ფასეულობათა გამოყენების, ისე შემოქმედებითი ნიჭის გამოვლინებისა და გაფურჩქვნის შესაძლებლობა. სსრ კავშირის ახალი

საერთაშორისო სარბიელზე „ფრიგითაც“ დონ ხალვაშის ლექსიბი და პოემები, მაგალითად, იბეჭდება რუსულ, უკრაინულ, უზბეკურ და სსრ კავშირის სხვა ხალხთა ენებზე, აგრეთვე საზღვარგარეთის უურნალ-გაზეთებში, გამოიდის ცალკე კრებულებად. კინოდრამატურგ სულიერ უღენტის სცენარით შეიქმნა მთელ მსოფლიოში პოპულარული ფილმი „ჯარისკაცის მამა“, აგრეთვე კინოსურათები „წუთისოფელი“, „ნერგები“ და სხვ. ორმოცდარვა თეატრის სცენაზე იდგმება ღრამატურგ ალ. ჩხაიძის პიესები „ხიდი“, „თავისუფალი თემა“ და სხვები. „ხიდი“ დიადგა მომე სოციალისტური რესპუბლიკების თეატრების სცენაზეც.

მხატვრული სიტყვის აღმავლობა აჭარაში, მისი შეუნელებელი განვითარება შედეგია იმ დიდი ზრუნვისა, რომელსაც ლენინური კომუნისტური პარტია იჩენს ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა, ეროვნების ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებისათვის, მასების ეთიკურ-ესთეტიკური აღზრდისათვის, იმისათვის, რომ ამაღლდეს საბჭოთა აღაშიანების კულტურის დონე და ყველას ჰქონდეს როგორც კაცობრიობის სულიერ ფასეულობათა გამოყენების, ისე შემოქმედებითი ნიჭის გამოვლინებისა და გაფურჩქვნის შესაძლებლობა. სსრ კავშირის ახალი

კონტიტუცია, რომელიც უდადესი აღფრთვანებით მოიწონა მთელმა საბჭოთა ხალხმა, აკანონებს ამ ფაქტს. ჩვენი ქვეყნის ძირითადი კანონის 27-ე მუხლში ამის თაობაზე ნათქვამია:

„სახელმწიფო ზრუნავს იმისათვის, რომ დაიცვას, ამრავლოს და ფართოდ გამოიყენოს საზოგადოების სულიერი ღირებულებანი საბჭოთა აღამიანების ზნებრივი და ესთეტიკური აღზრდისათვის, მათი კულტურული დონის ამაღლებისათვის.

სსრ კავშირში ყოველნაირად

ეწყობა ხელი პროფესიული მუსიკური და ხალხური შხატვ-რული შემოქმედების განვითარებას“.

ასეთი ყურადღებითა და მზრუნველობით არის გარემოსილობენს ქვეყანაში ლიტერატურა და ხელოვნება, ეს კი იმის საჭინდარი და გარანტიაა, რომ ჩვენი მწერლები, პოეტები, დრამატურგები, ხელოვნების მუშაკები ყველაფერს იღონებენ საბჭოთა აღამიანების სულიერ მოთხოვნილებათა სრულად დაკმაყოფილებასათვის.

---

## აუსედან თურნავა

### საგვირთა კავშირის დიდი მემკვარი

ქართველი მქითხველი გამოჩენილ ფრანგ მწერალს ანრი ბარბიუსს უმთავრესად იცნობს პროზაული და პუბლიცისტური ნაწარმოებებით, პირველ რიგში კი რომანით „ცეცხლი“, რომელიც თარგმნა თელო სახოკიამ.

დაძაბულ ლიტერატურულ მუშაობაში მოუწოდო ანრი ბარბიუსს პირველმა მსოფლიო ომმა. იგი მოხალისედ წავიდა პირდაპირ ფრანგის წინა ხაზზე. ჯარისკაცის ფარავაში გამოწყობილი მწერალი სანგრიდან სანგარში გადადიოდა, ბრძოლის დროს იწერდა ჯარისკაცთა მეტყველების ნიმუშებს, ადგენდა დღიურებს, გადაწყვეტილი ჰქონდა დაეწერა რამდენიმე მოთხოვაბა, მაგრამ ჰოსპიტალში ყოფნისას მიხვდა, რომ ამ ჩანაწერებით ქმნიდა დად წიგნს თავისი ნაწილის ცხოვრებაზე. ასე, ჰოსპიტლიდან ჰო-

სპიტალში დაიწერა რომანი „ცეცხლი“. ამ ნაწარმოებში ავტორმა ამხილა იმპერიალისტური ომის მტაცებლური ხასიათი, საშეკარითოზე გამოიტანა ომის საშინელებანი და ამით დიდი როლი შეასრულა ხალხთა მასების გათვითცნობიერების საქმეში. დიდმა ლენინმა მაღალი შეფასება მისცა „ცეცხლს“ და აგრეთვე მეორე ანტიმილიტარისტულ რომანს „სიცხადე“. მასებში რევოლუციური შეგნების ზრდის ერთ-ერთ განსაკუთრებით თვალსაჩინო დადასტურებად შეიძლება მივიჩნიოთ ანრი ბარბიუსის რომანები „ცეცხლი“ და „სიცხადე“, — წერდა ვ. ი. ლენინი. ანრი ბარბიუსი აღფრთოვანებით შეხვდა დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას. მას რუსეთის ამბების შესახებ დაწვრილებით ცნობებს

აწვლიდა ფრანგი პროგრესული უურნალისტი ჟაკ სადული. ის მივლინებით იმყოფებოდა რუსეთში 1917 წლის სექტემბრიდან, როგორც საფრანგეთის მისიის თანამშრომელი. საბჭოთა ხელი-სუფლების პარველმა დეკრეტებმა მიწისა და მშეიდობის შესახებ, ისტორიაში ჯერ არასულმა, სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების რევოლუციურმა გადაწყვეტამ უჩვეულოდ ააღლვა მწერალი. გულის სიღრმიდან ამოხეთქეს მისმა სიტყვებმა: „როდესაც განთავისუფლებული კაცობრიობა თავის განთავისუფლების თარიღებს აღნიშნავს, მაშინ უდიდესი აღმავლობით, უღილესი ენთუზიაზმით იზემდებს 1917 წლის 25 ოქტომბერს. კაცობრიობა პატივისცემით მოიხსენიებს ყველას, ვინც ეს რევოლუცია მოახდინა“.

საფრანგეთის კაპიტალისტური პრესა თავის ფურცლებზე, მაშინვე ცილისწამებით დაესახათავს საბჭოთა რუსეთს. ამ დროს ფრანგმა მშრომელებმა მოისმინეს ბარბიუსის მართალი, ომაჩიანი სიტყვა საბჭოების ახალგაზრდა ქვეყანაზე. იგი მრავალრიცხოვან მიტინგებზე და პრესაში განუმარტავდა მშრომელებს საბჭოთა კონსტიტუციის არსს. ამგვარად ასპარეზზე გამოიდის ბარბიუსი პუბლიცისტი, რომელიც მეხივით ატყდება თავს რეაქციის ძალებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1919 წელს, ინტერვე-

ნციის პერიოდში დაწერილი შინაგანგებების გადაწყვეტილებით „ბრალს ვდებ საფრანგეთის ყველა მთავრობას, რომლებმაც შესცვალეს ერთმანეთი ომის შემდეგ, მაში, რომ მათ თავშესაფარი მიცის, მხარს უჭერდნენ, ეხმარებოდნენ, აქეზებდნენ, აფინანსებდნენ და იარაღებდნენ თეთრგვარდიელთა ყველა ჯურის საზოგადოებებს, ეს საზოგადოებანი წარმოადგენდნენ ბოროტმოქმედთა საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც მიზნად ისახავდა მკვლელობასა და ომის მომზადებას“.

1923 წელს ბარბიუსი შევიდა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის რიგებში და ბოლომდე მისი ერთგული დარჩია. მწერალს ძალიან უყვარდა ჩვენი ქვეყანა, ხშირად ჩამოიდიოდა და სწავლობდა ჩვენი ცხოვრების სინამდვილეს. იგი პირველად ჩამოვიდა 1927 წელს, ხოლო მეცუთედ — 1935 წელს. ერთ-ერთი მოგზაურობის წინ ბარბიუსმა საპყრობილები ინახულა მარსელ წმენი და უთხრა: „მივდივარ სამშობლოში, ჩვენს საერთო სამშობლოში“. მართლაც, ფრანგი მწერალი ჯერ მოსკოვს ჩამოვიდა და შემდეგ გამოემგზავრა საქართველოსაკენ. 1927 წლის 8 ოქტომბერს იგი უკვე თბილისში იყო. ამავე დღეს სტელლოვნების სასახლეში მწერალთა კავშირში სტუმრის პატივ-საცემად გამართა საზემო სხდომა. ანრი ბარბიუსს სიტყვებით



შიმართეს ქართველმა მწერლებმა შიხეილ გავახიშვილმა, სოლიბისტრო თოდრიამ, არისტო ჭუმბაძემ. ამ უკანასკნელმა ფრანგ ტრუმარს მოადონა მათი შეხვეულა პარიზში. ამის შესახებ არისტო ჭუმბაძე მოგვითხრობს: „1914 წელია, გაცხარებული ომის დრო, ვზივარ „ლუმანიტეს“ რედაქციის მდივნის პოლ ვაიან-კუტიურიეს სამუშაო კაბინეტში, უცრად კარი იღება, შემოდის მაღალი, სახეგალეული კაცი. „გაიცანით, ჩვენი კორესპონდენტია, მწერალი ანრი ბარბიუსი, დღეს ჩამოვიდა ფრონტიდან,“ — მითხრა პოლმა. მე მივესაღმე ანრის, გვიამბო ფრონტის ამბები და შემდეგ სტატია ჩაბარა. პოლმა შემომთავაზა მეთანამშრომლა „ლუმანიტეში“ და მართლაც დავიწყე თანამშრომლობა, ვწერდი „პატუას“ ფსევდონიმით საქართველოს კულტურის საკითხებზე.“

ფრანგი სტუმარი ძალიან ნასიამოვნები დარჩა გულთბილი შეხვედრით. საპასუხო სიტყვაში მან თქვა: „მე ბევრი გამიგონია თქვენს სტუმართმოყვარეობაზე, გულლია ხასიათზე, მაგრამ სინამდვილემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ნება მომეცით გულითადი მადლობა გამოგიცხადოთ ასეთი შეხვედრისათვის. ჩემი აქ ჩამოსვლის მიზანია საქართველოს მდგომარეობის გაცნობა. ამ მიზანს ჩემი მოგზაურობის ამოცანებში განსაკუთრე-

ბული ადგილი უჭირავს. მე გამოგზაურობას მისი, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკური, ისე კულტურული ცხოვრება.“ ასე დაიწყო ანრი ბარბიუსის მოგზაურობა ქართულ მიწაზე. მწერალი სილიბისტრო თოდრიას თანხლებით 9 ოქტომბერს გაემგზავრა დასავლეთ საქართველოში. მან ათი დღის განმავლობაში ინაცულა მთელი დასავლეთ საქართველო—ქალაქები, დაბები. სოფლები, ესაუბრა ადამიანებს. მწერალმა ამ მოგზაურობის დროს შეაგროვა დიდძალი მასალა და 19 ოქტომბერს დაბრუნდა თბილიში.

ბარბიუსი დაინტერესდა თბილისის ისტორიით, გაეცნო ისტორიულ ძეგლებს, ინაცულა კომისარიატები, სხვადასხვა აღმინისტრაციული და სამეურნეო დაწესებულებები, ესაუბრა რესპუბლიკის ხელმძღვანელებს და მიიღო მისთვის საჭირო ძვირფასი ცნობები.

მწერალი გააკვირვა განახლებული საქართველოს სურათებმა. მოგზაურობის შთაბეჭილებებზე გაზიერ „კომუნისტის“ კორესპონდენტან საუბარში მან თქვა: „მე წინათაც არ მჯროდა საქართველოს მტრების — მენშევიკების ცილისწამება, მაგრამ ზანდახან ვფიქრობდი, რომ იქნებ ქართველი ხალხის ამ მტრებს მართლაც მოეპოვებათ სიმართლის ნატამალი. ახლა მე დავრწმუნდი რომ ყველაფერი,

რაც საქართველოს შესახებ უცხოეთში ვრცელდება, არის საშინელი ცილისწამების კამპანია, რომლის მსგავსი იშვიათია...

საბჭოთა საქართველოს მიღწევები იმდენად ღილა, რომ მათი ჩამოთვლა ხანმოკლე საუბრის დროს შეუძლებელია. საქართველოს შესახებ მე გამოვაქვეყნებ ცალკე წიგნს, სადაც შევეცდები დაწვრილებით აღვნენსხო საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები ოქვენში.

ანრი ბარბიუსმა შეასრულა დანაპირები. საფრანგეთში ჩასვლისთანვე იგი ჩასხლდა პარიზის ახლოს — მირამარში და დაიწყო საქართველოზე წიგნის წერა. ის-ის იყო ნაშრომი უნდა დამთავრებინა, მწერალს დასჭირდა დამატებითი ცნობები და გადაწყვიტა მოსკოვში გამგზავრება.

1928 წლის 26 ივნისს ანრი ბარბიუსი თავის პირად მდივან ანეტ ვიდალთან ერთად ჩამოვიდა და მოსკოვში. აქ მას საშუალება მიეცა შეხვედროდა პირადად სტალინს და მიელო მისგან საჭირო კონსულტაცია. ამ შეხვედრას ღილი მწერალი ასე ივნებს: „1928 წელს დავიწყე მასალების შევრცვება ახალი წიგნისათვის საქართველოზე, წიგნი უნდა გამოსულიყო მომდევნო წელს. მე სტალინს ვთხოვე მიღვა და თან მოვამზადე კითხვა-

რი, სულ მქონდა 160 კითხვა ამხანაგმა სტალინმა მისთვის ჩვეული თავაზიანობით მიმიღომე მას ჩემი წიგნის მიზანდასახულება გავაცნი. სტალინს მოეწონა ჩემი განზრახვა და მშვიდად დამიწყო ლაპარაკი. კითხვაზი ჯიბეში მეღო და წასვლისას მინდოდა სტალინისათვის დამეტოვებინა, რადგან მან ჩემი წიგნისადმი ინტერესი გამოიჩინა. სტალინის სატყვები გადამითარგმნებს, დავინახე, რომ სტალინმა ჩემს ყველა კითხვას უბასუხაისე, რომ არც კი უნახავს ჩემი კითხვარი“.

დამატებითი ცნობების მიღების შემდეგ ანრი ბარბიუსმა განაგრძო წიგნზე მუშაობა. მწერალი დასახლდა მოსკოვთან ახლომდებარე დასასვენებელ სახლ „არსანგელსკოეში“ და აქვე 10 ივლისს დამთავრა ნაშრომი. ეს არის პუბლიცისტური ნარკვეზი, რა უყვეს საქართველოს“.

როგორც მწერლის მდგვანი ანეტ ვიდალი მოგვითხრობს, როცა ბარბიუსს წიგნი დაუმთავრებია, აღფრთოვანებულს უთქვამს: „ყველაფერი მზად არის.“ ბარბიუსს ეს სიტყვები ისე მგზნებარედ წარმოუთქვამს, რომ ყველა იქ მყოფი საბჭოთა აღმიანი მიმხვდარა, რაშიც იყო საჭმე და „ვაშას“ ძახილით მისულან მწერალთან, მიულოცნიათ წიგნის წარმატებით დამთავრება,

ფრანგმა ხალხმა გაიგო სიმართლე საქართველოს შესახებ, 1929 წლის ოქტომბრი გამომცემლობა „ფლამარიონშა“ გამოსცა ბარბიუსის წიგნი „აი რა უყვეს საქართველოს.“ ერთი წლის შემდეგ ცნობილი მწერლისა და მთარგმნელის არისტო ჭუმბაძის წყალობით ქართველებსაც მიეცათ საშუალება გაცნობოდნენ ფრანგი მწერლის შთაბეჭილებებს თავიანთ სამშობლოზე.

ბარბიუსის წიგნი შედგება ხუთი თავისაგან: „კავკასიის საღამოები“, „დილები“, „ის, რაც მოხდა“, „მიღწევანი“ და „პიროვნება და თავისუფლება“.

პირველ თავში მწერალი დამატერებლად აგვიწერს თავის შეხვედრებს ახალქალაქის, ლენინაკანის, ბათუმისა და ბაქოს მცხოვრებლებთან. მშრომელები მწერალს მოუთხრობენ ამიერკავკასიის ხალხთა დუხშირ წარსულზე. მიმხილველად არის დახატული პირველი მოგზაურობის ცალკეული მომენტები. ავტორი თავის მოგზაურობას სოფელ იანეულამდე ასე აგვიწერს: „ამ საღამოს გაცნობილი სახეები მკაფიოდ აღმებეჭდნენ. იმერული ოდის ჩინებულ დარბაზში ვისხედით მაგიდას იდაყვდაყრდნობილნი. სამო სანახაობა

იყო, სიმშვიდითა და დაისის ბრნდით აღვსილი... ოთხი საათი ვიარეთ ცხენით ხორხებსა და ბნელში, სანამ აქ მოვიდოდით იმ წუთიდან, როცა ანაზდად შეურილ ხალხს ცხენიდანვე მივესალმეთ, ხეობა და ჭალები ბინდმათვალის დახამხამებაში მოიცვა... ნეტავ სად ვართ? საფრანგეთი შორსაა. არც რუსეთია ახლოს. საქართველოში ვართ, შუაგულ გურიაში, რადგან ეს სწორედ ის აღვილია, რომელზედაც გეოგრაფები თითქოს ვერ შეთახმებულან“.

წიგნში ვრცლად არის დახასიათებული ქართველი ხალხი, მისი უძველესი კულტურა. ავტორი მოგვითხრობს თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის ეპოქაზე; მიუთითებს, რომ თამარ მეფე ზველგან სუფევს, იგი ყოველ ლეგენდას აკოცხლებს, არ არის არც ერთი ქართული ხატი, ეკლესიის არცერთი შინაკედელი, სადაც არ იყოს გამოხატული თამარის სახე „ვერცხლითა თუ ოქრომკედით ნაქარგი გრძელი საეკლესიო წამოსასხამითა და გვირგვინით შემკული.“

ქართველი ხალხის გულში, — განაგრძობს ბარბიუსი, — წმინდად არის დაცული დიდი ქართველი პოეტის — შოთა რუსთაველის მეტყველი სახე, გენიოსისა, რომელმაც საქართველოში-

საშუალო საუკუნეების მიჯნაზე  
უმღერა ხალხთა შორის თანას-  
ტორობასა და მეგობრობას.

მწერალი ეროვნული საკითხის  
განხილვისას ამბობს, რომ ცარი-  
შობის დროს ქართველებს უკრძა-  
ლავდნენ ქართულ ენაზე ლაპა-  
რაქს, იგი ამხილებს მენშევიკური  
შთავრობის ანტიხალხურ ბუნე-  
ბას. აქვე აღწერილია გურიას  
აჯანყება 1919 წელს, მენშევიკე-  
ბის მიერ ამ აჯანყების განადგუ-  
რება და 15 რევოლუციონერის  
დახვრეტა.

ბარბიუსი აღფრთოვანებით  
ლაპარაკობს ქართველ ბოლშე-  
ვიკებზე, რომლებიც ხალხის სას-  
იცოცხლო ინტერესებისათვის თა-  
ვგამოდებით იბრძოდნენ. იგი  
წერს: „არ შეიძლება პატიოსანი  
ძყო, უკეთუ რევოლუციონერი  
არა ხარ და შეუძლებელია პატი-  
ოსანი რევოლუციონერი იყო, თუ  
ბოლშევიკი არა ხარ.“

მიმზადველად ხატავს ავტორი  
პათუმში მოგზაურობას, აჭარის  
ისტორიას, იგი ადარებს ერთმა-  
ნეთს აჭარის წარსულს და აწ-  
ყოს. ძველად აჭარა იყო დიდი  
ქვაბი, სადაც ეროვნული და სა-  
რწმუნოებრივა შუღლი სდუღდა.  
თურქმა დამპყრობლებმა, რომ-  
ლებიც აქ საუკუნეების მანძილ-  
ზე ბატონობდნენ, ქართველი ხა-  
ლხის კულტურა დეგრადაციის  
გზაზე დააყენეს. მწერალს თვა-  
ლწინ გადაეშალა აზალშენების მე-  
ტაჟველი სურათები, ყველგან, ქა-

ლაქად და სოფლადაც ნახა სკო-  
ლები და საავადმყოფოები, გრძ-  
ლიოთეკები, ქოხსამკითხველოები,  
ელექტრისადგურები; სახერხი  
ქარხნები, ხიდები და გზები,  
ყველგან ნახა გულმოდგინე მუ-  
შაობა სოფლის მეურნეობის გან-  
ვითარებისათვის.

ბარბიუსმა ინახულა აგრეთვე  
სოხუმი და გაგრა, გაეცნო აფხა-  
ზი ხალხის ისტორიას, ლიტერა-  
ტურასა და ხელოვნებას ქარ-  
თულ კულტურასთან მიმართება-  
ში.

მესამე თავში — „ას, რაც მო-  
ხდა“ ავტორი მოგვითხრობს იმ  
ბრძოლებზე, რომლებიც ქართვე-  
ლმა ხალხმა გადაიხადა მომხდუ-  
რი მტრების წინააღმდეგ. ამ-  
ბობს, რომ „საქართველო ათასი  
წლის განმავლობაში ითვლებოდა  
ქრისტიანობის მოწინავე რაზმად  
აზიური ისლამის წინააღმდეგ  
ბრძოლაში, და ჯებირივით აკა-  
ვებდა მის მოზღვავებასა და გავრ-  
ცელებას.“ მწერალი აღტაცებაში  
მოჰყავს ქართველთა მამაცობას  
ჩინგისხანისა და თემურლენგის  
წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი გან-  
საკუთრებით შთავონებულია ერ-  
ეკლე მეორის მეფობით, რომე-  
ლიც ლურ XVI-ის თანამედროვე  
იყო და თავი ისახელა ბრძოლე-  
ბში.

უფრო ქვემოთ ბარბიუსი აკ-  
რიტიკებს მენშევიკური მთავრო-  
ბის ლიდერებს. აშათრახებს ფრა-

ნგი სოციალისტის, რაიმონდ დიუგეს პოზიციას, რომელიც თავის წიგნში „წამებული საქართველო“ ნაციონალისტებს იცავს.

საინტერესოდაა გადმოცემული საბჭოთა საქართველოს წარმატებები მეოთხე თავში, „მიღწევანი.“ მწერალი გვესაუბრება მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, სწავლა-განათლების საკითხებზე. აღნიშვნავს, რომ უმაღლესმა სასწავლებლებმა ამ პერიოდისათვის მრავალი სამეცნიერო ნაშრომი გამოაქვეყნებს, რომელთა ნაწილი უცხოეთის უურნალებში დაიბეჭდაო. ბარბიუსი გამოყოფს ქართული ხელოვნების განვითარების საკითხს, მიუთითებს, რომ ამ დარგში ბევრი მკლევარი მუშაობს: „ქართველებს თავიანთი ეროვნული სიმღერების კულტი აქვთ, ბევრი მომღერალი და მკვლევარი მუშაობს წარსულის ამ ჰარმონიულ დარგში, რათა იქ ძვირფასი ზარგალიტები ამოქენოს და ეროვნული გენიალობის საიდუმლოებანი თანამედროვეობას შეაგუოს.“

აჯტორი დიდი სიყვარულით ლაპარაკობს თბილისის საოპერო ოეატრზე, რომელიც ქართველთა ეროვნულ სიამაყეს წარმოადგენს.

ბოლო თავში „პიროვნება და თავისუფლება“ მწერალი ეხება თავისუფლების საკითხს. იგი იშ-

ველიებს რა მარქსიზმის კლასიკოსთა შეხედულებებს, წერს: „რა არის თავისუფლება? განა იგი ინარის, რაც გსურდეს ის ჩაიდინო? განა იგი იმის საშუალებას იძლევა, რომ გიური იყო?“

ბარბიუსი საკითხს აყენებს, არის თუ არა საქართველოში თავისუფლება? იგი ამბობს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანიზაციამ ეროვნული კულტურის ყოველ დარგს გაფურჩქვნის შესაძლებლობა მისცა და ქართველ ხალხს ასეთი თავისუფლება არასოდეს არ ჰქონიაო.

ქართველი ხალხის ცხოვრების უშუალო განცდაში ფრანგი წალხის სახელოვან შვილზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. მას უმძიმს საქართველოს დატოვება: „მალე დავშორდები მათ, — წერს ბარბიუსი, — ეს-დაშორება პირადად მე ძალიან მეძნელება, რადგან შორისდან მუდამ მემახსოვრება მათი ძმობადა ტკბილი მეგობრობა... ამ ქვეყანაში მე ბევრი მეგობარი შევიძინე, ბევრი დოდი რამეც ვნახე...“

წიგნის დასასრულს ანრი ბარბიუსი ასე მიმართავს მთელს. საბჭოთა ხალხს: „რაც შეგეხბათ თქვენ, საბჭოთა თანამედროველენო, პატიოსანო, განთავისუფლებულო ხალხო, თქვენ, რომელთაც ცხოვრების მწარე ტკი-

ვილი სიტკბოებად აქციეთ, თქვენ, რომელთაც თქვენი ადგილი ქვეყნის ერთ მექქვესელზედ მხოლოდ თქვენივე ხელით მოიპოვეთ, თქვენ, ვისგანაც დასავლეთის ჯერ კიდევ დამარცხებული პროლეტარები გამარჯვებას ისწავლიან, თქვენ დიდი ხალხი ხართ, თქვენ ყველაზე დიდი ხალხი იქნებით“...

ასე ეცნობოდა ანრი ბარბიუსი საბჭოთა სინამდვილეს. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ლენინის ღვაწლს რევოლუციის ღიად საქმეში. მწერალი ლრმად შთაავონა ბელადის ტიტანურმა პიროვნებამ. მან გადაშევიტა 30-იან წლებში საფრანგეთში ახლად ჩამოყალიბებულ მარქსისტულ-ლენინური ჯგუფებისათვის მიეწოდებინა მასალები ლენინის მოღვაწეობაზე. ბარბიუსმა უზრუნველყო ლენინის მიერ ნათესავებისათვის 1894-1917 წლებში გავზავნილი წერილების გამოცემა ფრანგულ ენაზე. თარგმანი შეასრულეს პიერ მორანემა და მიშეღ მატვეევმა.

1933 წელს პარიზში ცხოვრობდა ბარბიუსის მეგობარი, გერმანელი კომუნისტი მწერალი ალფრედ კურელი. ისინი რამდენ-ჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს და შეთანხმდნენ, რომ ბარბიუსი ლენინის „წერილებს ნათესავებისადმი“ წარუმძღვარებდა ნარ-

კვებს, რომელშიც მოკლედ გადმოსცემდა. მარქსიზ-ლენინიზმის ძირითად დებულებებს. წერის ღროს ზოგჯერ ესმარებოდა კურელი. მუშაობა ორ წელიწადს გაგრძელდა. ასე დაიწერა ბარბიუსის ნარკვევი „ვ. ი. ლენინის შესახებ“, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა საზღვარგარეთ ლენინიზმის იდეების პროპაგანდის საქმეში. მწერალმა ალფრედ კურელისადმი მაღლიერების ნიშნად ნაშრომს ორივეს გვარი მიაწერა. წიგნი გამომცემლობა „რიდერმა“ გამოაქვეყნა 1936 წელს.

ნარკვევი შედგება ხუთი თავისაგან: „ლენინი“, „პროფესიული რევოლუციონერი“, „პოლიტიკური მოღვაწე“, „ლენინი თეორეტიკოსი“ და „ლენინი ფილოსოფოსი“.

ნაშრომის ფურცლებზე მკითხველის წინაშე ერთდროულად ცოცხლდება ლენინის საქმე და მისი ადამიანური სახე. ავტორი იწყებს ლენინის თეორიული და ლიტერატურული მოღვაწეობით პეტერბურგში, შემდეგ აღწერს მუშაობას რუსეთში შექმნილი მდგომარეობის შესასწავლად, ბრძოლას „ისკრის“ დაარსებისათვის და ცხოვრებას ემიგრაციაში, კერძოდ პარიზში. მწერალი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ემიგრაციაში ყოფნის ღროს ლენი-

ნება „კარგად შეისწავლა ფრან-  
გული, გერმანული. სწავლობდა  
პოლონურსაც, კითხულობდა ლე-  
ქციებს.“

მწერალი ლენინს უწოდებს  
პროფესიულ რევოლუციონერს:  
„ლენინი გამოჩენილი პროფესი-  
ული რევოლუციონერის ნიმუში  
იყო და ასეთად რჩება. კიდევ  
შეტს ვიტყვით: იგი ამ პროფე-  
სიის მამამთავარი იყო“, — წე-  
რს ბარბიუსი და იქვე განმარ-  
ტავს, თუ რას ნიშნავს, მისი აზ-  
რით, პროფესიული რევოლუცი-  
ონერი: „ეს არის ადამიანი, რო-  
მელიც მჭიდროდ დაკავშირებუ-  
ლია ჩაგრული მასების მოძრაო-  
ბასთან, უმეტეს შემთხვევაში გა-  
მოსულია მათი წრიდან, შეთვი-  
სებული აქვს მარქსიზმი და მემ-  
კვიდრეობით მიღებული ცოდ-  
ნის მთელი სიმდიდრე, რაც დღე-  
მდე კაცობრიობას გამოუმუშავ-  
ებია... ფართო მასებს გასაგები  
ფორმებით გადასცემს ცოდნას  
განმათავისუფლებელი ბრძოლის  
საკეთილდღეოდ. ეს ის ადამია-  
ნია, რომელმაც იცის მხოლოდ  
ერთი კეთილშობილური საქმე,  
რის განხორციელებასაც სწირავს  
მთელ თავის ცხოვრებას. ასეთი  
ადამიანია ლენინი.“

ნაკვევის ბოლო თავში ფრანგი  
მწერალი მოგვითხოვბს იმაზე,  
თუ როგორ ქმნიდა ლენინი ფი-

ლოსოფიურ ნაშრომებს და მა-  
ლალ შეფასებას აძლევს მათ კუთხით  
„მატერიალიზმი და ემპირიოკრი-  
ტიზმი“, რომელიც 1908 წელს  
შეიქმნა, საფუძვლიანი დიდტანი-  
ანი ფილოსოფიური ნაშრომია,  
— აღნიშნავს იგი. — ეს წიგნი  
რომ დაეწერა, ვლადიმერ ილიას  
— ე ლენინს დასჭირდა 150 ტომა-  
მდე ფილოსოფიური ნაშრომის  
წაკითხვა და შესწავლა — დაწ-  
ყებული არისტოტელეთი და და-  
მთავრებული ვუნდტით. ბარბი-  
უსი განახილავს ლენინის სხვა  
ფილოსოფიურ ნაშრომებსაც და  
დაასკვნის: „ამ ნაშრომებში ავ-  
ტორი დგამს გენიალურ ნაბიჯს  
წინ რევოლუციური აზროვნე-  
ბის ისტორიაში. როგორც ცნო-  
ბილია, მარქსმა და ენგელსმა  
დიალექტიკური მატერიალიზმი  
მიუყენეს შეცნიერების ყველა  
დარგს: პოლიტიკურ ეკონომიას,  
ფილოსოფიას, ბუნებისმეტყველე-  
ბას, მუშათა კლასის პოლიტიკასა  
და ტაქტიკას. ლენინმა კი განსა-  
კუთრებული ყურადღება მიაუცია  
იმ ფაქტს, რომ დიალექტიკური  
მატერიალიზმი მარქსიზმის ცო-  
ცხალი სულია, თეორიული საძი-  
რკველია.“

ვიხსენებთ დიდი რევოლუცი-  
ონერი მწერლის ცხოვრებას და  
თითქოს ვგრძნობთ ცეცხლის

ალის სიმხურვალეს. რევოლუცი-  
სათვის, მშვიდობისათვის, კაც-  
ობრიობის უკეთესი მომავლისა-  
თვის ბრძოლაში დაიფერფლა  
ანრი ბარბიუსის მგზნებარე სუ-  
ლი. იგი გარდაიცვალა მოსკოვ-

ში 1935 წლის 30 ოგვისტოს  
ასეთ მებრძოლებზე უფრვეშმა შეა-  
ლინსკის: „ადამიანები იმისთვის  
კვდებიან, რომ კაციობრიობაში  
იცოცხებოს“.

---

61557230

ვაკე 40 ვეზ.

საქართველოს  
მთავრობის



**ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**  
**„ЧОРОХИ“**

**ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ  
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ**

**ИНДЕКС 76118**